გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

№35 (791) 29 – 31 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ცოტნე გამსახურდია პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს?!

„არ ვიცი, ვინ აწყობს ზვიადობას... არ ვემხრობი ადამიანების გაფეტიშებას ისევე, როგორც არ ემხრობოდა მამაჩემი. ძალიან გთხოვთ, ეს დააფიქსიროთ. მე პირველად მესმის ასეთი ტერმინი „ზვიადობა". ვინ არის ამის ორგანიზატორი, არ ვიცი და რაღაც მარგინალური ჯგუფი მგონია, რომელიც ცდილობს ამით პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას. არ მიმაჩნია, რომ მამაჩემის გარდაცვალებიდან ასე მოკლე ხანში საჭიროა მსგავსი ღონისძიებების გამართვა და პომპეზური ორეულის შექმნა"

ექსკლუზივი

გვ. 3

„შუაზე რომ გასკდნენ, პირად თავისუფლებას ვერასოდეს შეველევი"

გვ. 6

რაში არ ეთანხმება ბიძინა ივანიშვილს, ვის მიმართ არ იქნება ლიბერალი და როდის დატოვებს უმრავლესობას

ზაზა პაპუაშვილი

„ეს ამბავი არავინ იცის! მეც პატიმარმა მიამბო..."

რა გაუმხილა პატრიარქის შესახებ „ვერსიას", რატომ ვერ გამოვიდა ქართული საზოგადოება „მამა ოხროხინეების" ეპოქიდან და სად ურჩევს მისვლას სასულიერო პირებისგან განაწყენებულ მრევლს

მამა თეოდორე გიგნაძე

გვ. 8



20 გვერდი 40 თეთრი

სქემა, რომლითაც თბილისის მერია სამედიცინო დაწესებულებების შენობებს ხელში იგდებდა

როგორ გაყიდა უგულავამ მე-13 პოლიკლინიკა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და რას აპირებენ დაზარალებული ექიმები

გვ. 10

საყოველთაო დაზღვევა, სინამდვილეში, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის პროგრამა აღმოჩნდა!

რატომ ვერ დაეზღვევიან 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები, რომელ სადაზღვევო კომპანიებს შეექმნა ფინანსური პრობლემა და როგორ გავერკვეთ სადაზღვევო ლაბირინთებში?

გვ. 5

„ნატახტარის" საქველმოქმედო ფონდში 243 000 ლარი შეგროვდა

რა პროფესიები შეარჩიეს მზრუნველობამოკლებულმა მოზარდებმა ფსიქოლოგების დახმარებით

გვ. 9

„ვაჩვენებთ, რა დონის სპექტაკლები უნდა დაიდგას მოზარდმაყურებელთა თეატრში"

როგორ შეუნარჩუნა ოთარ ბაღათურიამ „კუკარაჩას" შაღვა განწირულისეული სული

გვ. 12

საქართველოში ყველა მეათე ადამიანი დიაბეტითაა დაავადებული, დიაბეტიანი ბავშვების რაოდენობაც იზრდება!

რატომ არ უწევენ ამ კატეგორიის პაციენტებს ანგარიშს „სასწრაფო" თუ სადაზღვევო კომპანიები და დააწესებს თუ არა შეღავათებს ახალი ხელისუფლება

გვ. 11

უმრავლესობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრს ხმათა ორი მესამედით აირჩევს

ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, იუსტიციის სახლში გამართული კონსულტაციების შემდეგ, ავრცელებს. მისი განმარტებით, ეს პირდაპირ წერია ვენეციის კომისიის რეკომენდაციაში და უმრავლესობამ მოსაზრება გაიზიარა: **„თუმცა ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, საბჭოში ვაკანტური ადგილების დარჩენის შემთხვევაში, წევრების არჩევა უნდა მოხდეს უმრავლესობით – 76 ხმით. ჩვენ უფრო შორს მივდივართ და ვაწესებთ შეზღუდვას, 6-დან სულ მცირე, ორი წევრი არჩეული იყოს ხმათა ორი მესამედით და ეს ორი ადგილი ვაკანტური დარჩება მანამ, სანამ თანხმობა არ მიიღწევა“.**

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ახალი მოდელით, საბჭოს 15 წევრიდან უფლებამოსილება შეუწყდება 6-ს, რომელთაგან 4-ს პარლამენტი და 2-ს პრეზიდენტი ნიშნავს. უსუფაშვილის განმარტებით, დანარჩენი 9 წევრიდან კი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ის ერთი წევრი, რომელიც ახალი კანონმდებლობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ადგილებს შეინარჩუნებს. დანარჩენ შვიდ წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუმცა ექნება უფლება, მოსამართლეთა კონფერენციაზე საკუთარი კანდიდატურა დაასახელოს და მხარდაჭერის შემთხვევაში, ახალი ვადით დაბრუნდეს: **„ჩვენი მოტივაციაა, ისინი თანამდებობაზე დაინიშნონ ერთპიროვნულად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებითა და ღია კენჭისყრით. ახლა კი ვამკვიდრებთ ფარულ კენჭისყრას, ხოლო კანდიდატების წარდგენის საშუალება მოსამართლეებს ექნებათ. უფლებამოსილება უწყდებათ თანამდებობისა და დროებითი ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ გამწესებულ პირებს. ჩვენ სრულად ვიცავთ კოტე კუბლაშვილთან მიღწეულ შეთანხმებას და ეს ნაწილი უცვლელად გავა პლენარულ სხდომაზე. ესაა სრულ შესაბამისობაში უცხოელი ექსპერტების დასკვნასა და საღ აზრთან, რათა სასამართლო გათავისუფლდეს ჩარევისგან, მოსამართლეებს ჰქონდეთ გადაწყვეტილებების მიღების საშუალება, პროცესის დაბლოკვა კი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ შეეძლოს“.**

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს არ არის უმცირესობასთან შეთანხმებული მოდელი, მათ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, თუმცა პოლიტიკური კონსულტაციები, ამ ეტაპზე, დასრულებულია. მისი თქმით, სათანადო ცვლილებები რეგლამენტში აისახება, ამასთან, გამორიცხული არ არის, მეორე მოსმენით მიღებული კანონპროექტი კვლავ მეორე მოსმენაში დაბრუნდეს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ყველა საკითხი კანონში სათანადოდ აისახოს: **„ამოცანა იყო სასამართლოს გათავისუფლება და ჩვენი წინადადებები არასამთავრობოების მიერ მომზადებულ პაკეტს ეფუძნება. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ ამ ყველაფრის გასწორება არ ისურვა და ამიტომ ყველა მიესალმება ნაბიჯებს, რაც პოლიტიკური და ადმინისტრაციული წნეხისგან სასამართლოს გაათავისუფლებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს წინადადებები ვენეციის კომისიის დასკვნასთან სრულ შესაბამისობაშია, მივაღწიეთ შეთანხმებას სასამართლოც თავმჯდომარესთან, რადგან ახლა სასამართლოს თავისუფლდება. პოლიტიკური კონსულტაციები დასრულებულია, თუმცა კანონპროექტის განხილვის პროცესში ყველას ექნება აზრის გამოთქმის საშუალება“.**

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, უმრავლესობის ეს პოზიცია შეჯერებულია პრემიერ-მინისტრთან.

„ინტერპრესნიუსი“

რა კავშირი აქვს ფადი ასლის ორგანიზაციას ნარკოტიკების უკანონო შემომტანებთან?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ბრალდებით, შპს ICC GEORGIA-ს წარმომადგენლებს ბრალი წაუყენეს. შპს ICC GEORGIA-სა და საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატას — ICC GEORGIA-ს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვს. საერთაშორისო სავაჭრო პალატას ფადი ასლი ხელმძღვანელობს, ბორდ-ის წევრები კი ფინანსთა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ალექსი ალექსიშვილი, ნიკა გილაურის ყოფილი თანაშემწე ნიკოლოზ მჭედლიშვილი, სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე და ფინანსთა ექსმინისტრი კახა ბაინდურაშვილი, საქართველოს საბანკო ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ გვასალია, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი კახა კოხრეიძე, საქართველო-უკრაინის ბიზნესკლუბის პრეზიდენტი ვიქტორ ყიფიანი არიან. საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ოფიციალურად განმარტა, რომ შპს ICC GEORGIA შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და არანაირი კავშირი არ აქვს საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ნათია სუხიაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შპს ICC GEORGIA-მ საფრანგეთიდან საქართველოში, სარფის საბაჟოს გავლით, 300 კილოგრამი დამაძინებელი ყაყაჩოს — PAPAVER SOMNIFERUM L-ის თესლი შემოიტანა.

ნათია სუხიაშვილის თქმით, ყაყაჩოს თესლს საფრანგეთის მიერ გაცემული ორიგინალი ფიტოსანიტარული სერტიფიკატი ერთვოდა, სადაც მითითებული იყო აღნიშნული პროდუქციის სახეობა. ექსპერტიზის დასკვნით, ეს ნივთიერება შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას — მორფინსა და კოდეინს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა აღნიშნული ნივთიერების იმპორტის ნებართვა გასცეს, რის გამოც, საბაჟო სამსახურის თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილით მიმდინარეობს, რაც საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანას გულისხმობს და სასჯელის სახით, 100 000 ლარის ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს. მეტიც, ამ მუხლის მიხედვით, იურიდიულ პირს საქმიანობის უფლებასაც ჩამოართმევენ.

სააგენტო „ივერონი“ შპს ICC GEORGIA-ს დამფუძნებელს, რამაზ ლოდიას დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ გირაოს არ გადაიხდის. მეტიც, რამაზ ლოდია დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესს მოიგებს, რადგან კომპანიას საფრანგეთიდან კვების პროდუქტები, მათ შორის ყაყაჩოს თესლი ადრეც შემოჰქონდა, თუმცა პრობლემა არასოდეს შექმნია. რამაზ ლოდია აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ყაყაჩოს თესლის შემოტანა შესაძლებელია, რისთვისაც აუცილებელია, მომწოდებელი ქვეყნის ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, ხოლო საქართველოში — ნებართვა. რამაზ ლოდიამ ნებართვის აღებაში 35 ლარი გადაიხადა და ამბობს, რომ კანონი არ დაურღვევია.

ნარკოტიკული საშუალებები მხოლოდ ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე არ აღმოუჩენიათ. საქართველო ნარკოტიკებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სკანდალშიც გაეხვია. რამდენიმე დღის წინ, ბელორუსმა მებაჟეებმა, ბელორუსი-ლიტვის საზღვარზე, 85 კილოგრამი ჰეროინი დააკავეს, რომელიც საქართველოდან ბელორუსის გავლით, ევროპაში გადაჰქონდათ.

ბელორუსული მედიის ინფორმაციით, გამშვებ პუნქტ „კოტლოვკაზე“ დაკავებული ნარკოტიკი მანქანაში აღმოაჩინეს. მძღოლი მოლდოვას მოქალაქე აღმოჩნდა, მან მებაჟეებს წარუდგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, საზღვარზე უალკოჰოლო სასმელი გადაჰქონდა. მიუხედავად ამისა, მებაჟეებმა მანქანის შემოწმება მაინც გადაწყვიტეს, სადაც სპეციალურად მოწყობილი სამალავი იპოვეს. სამალავში 174 პაკეტი აღმოაჩინეს, ექსპერტიზამ კი დაადგინა, რომ ეს, სავარაუდოდ, ავღანური წარმოშობის ჰეროინი იყო, რომლის ფასი შავ ბაზარზე 5 000 000 აშშ დოლარია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ქართველი და ბელორუსი სამართალდამცავები, ამ ფაქტთან დაკავშირებით, აქტიურად თანამშრომლობენ. ნინო გიორგობიანის თქმით, ვიდრე ბელორუსში ჩავიდოდა, აღნიშნულმა მანქანამ რამდენიმე ქვეყნის საზღვარი გადალახა, ამიტომ ამ ქვეყნებისა და ბელორუსის სამართალდამცავებიც თანამშრომლობენ.

28 მარტს, სარფისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზეც გამოვლინდა ნარკოტიკული საშუალებების მალულად შემოტანის ფაქტები. წითელ ხიდზე, აზერბაიჯანის მოქალაქეს საბაჟო კონტროლის დროს, 5 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება, „მარიხუანა“ აღმოაჩნდა. სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოში რუსეთის მოქალაქე შემოვიდა, რომელსაც არადეკლარირებული მედიკამენტი — 150 აბი „ლირიკა“, იგივე „პრეგაბალინი p150“ აღმოაჩნდა.

ვერსიანიუსი

ბიზნესმენი ლაურა ღაჭავა გაზს იპარავდა?

კომპანია „ყაზტრანსგაზმა“ ბიზნესმენი ლაურა ღაჭავა დააჯარიმა. მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, კომპანიამ კომერციულ სექტორში ექვსი არაკეთილსინდისიერი მომხმარებელი გამოავლინა, რომლებიც გაზგამანაწილებელი ქსელიდან ბუნებრივ აირს მრიცხველის გვერდისავლით მოიხმარდნენ და ამ ქმედებით კომპანიას, ჯამში, 32 125 ლარის ზარალი მიაყენეს.

არაკეთილსინდისიერ მომხმარებელთა შორის ლაურა ღაჭავას კომპანია „პროფით დევიზიც“ აღმოჩნდა. თავად ბიზნესმენი აცხადებს, რომ აღნიშნული კომპანია დენით სარგებლობს და გაზი საერთოდ არ მიეწოდება. მისივე თქმით, ხაზი კომპანიის წინ, სხვის მიწაზე გადიოდა და იქ აღმოჩენილი „პროფით დევიზს“ მიაწერეს.

ლაურა ღაჭავამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ითხოვს კომისიას, რომელიც, მისივე თქმით, შეამოწმებს, რომ იგი გაზით საერთოდ არ სარგებლობს.

ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით კი, სამინისტროს მოთხოვნაა, ასეთი ფაქტები დაფიქსირებული იყოს: **„ჩვენ მივმართავთ ასევე ენერგოკომპანიებს, რომ ეს უკანონო დატაცებები მაქსიმალურად იყოს შემცირებული. პირველ რიგში, ეს ურტყამს კომპანიას, რაც ძალიან ცუდია და რა თქმა უნდა, შემდეგ ეს აისახება მოსახლეობაზეც და ტარიფზეც“.**

„ინტერპრესნიუსი“

ცოტნე გამსახურდია პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს?!

ეკა სეხნიაშვილი

31 მარტს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ გარკვეული ჯგუფი ამ თარიღის პომპეზურად აღნიშვნის დაკანონებას აპირებს. ექსპრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია ცოტა ხანია ციხიდან გამოვიდა. საინტერესოა, როგორია მისი პოზიცია მამის, ზვიად გამსახურდიას პატივსაცემად ზვიადობის აღმნიშვნელ დღესასწაულთან დაკავშირებით, რა გაიარა ციხეში, ვინ ებრძოდა, რა დამოკიდებულება აქვს ივანიშვილთან, პრორუსულ პოლიტიკასა და კოჰაბიტაციასთან, აპირებს თუ არა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვას და ვინ ესახება საქართველოს მომავალ პრეზიდენტად?! „ვერსიამ“ სწორედ ამ საკითხებზე ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა ცოტნე გამსახურდიასთან.

„შეიძლება, იყოს ვარაუდი, რომ ივანიშვილს აწყობს ასეთი ოპოზიცია და ნაციონალები ოპოზიციაში“

— ბატონო ცოტნე, 31 მარტს მამათქვენის დაბადების დღეა. საზოგადოებაში დღემდე არსებობს დამოკიდებულება, რომ საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლების მიერ არასათანადოდაა დაფასებული ზვიად გამსახურდიას ღვაწლი და პიროვნება. სააკაშვილის ხელისუფლებამ მამათქვენის ნეშტი ჩამოასვენა, მაგრამ ამაზე დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა, ამიტომ პირდაპირ გკითხავთ: ეს, რეალურად, არის ზვიად გამსახურდიას ნეშტი?

— უპირველესად, მამაჩემის ნეშტი წინა ხელისუფლებას არ ჩამოუსვენებია, ის მე ჩამოვასვენე. ამაში საამაყო არაფერია, უბრალოდ, გავაკეთე ის, რაც უნდა გაეკეთებინა შვილს. 2007 წელსვე გაჩნდა ეს ვერსია, როცა ნეშტის ძიებისა და შემდგომ, ჩამოსვენებისა და რუსეთის იმჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობდა. ორი აზრი არ არსებობს — გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნებითაც და ფაქტობრივი გარემოებებითაც დადასტურებულია, რომ ეს არის ზვიად გამსახურდიას ნეშტი.

— წინა ხელისუფლების პირობებში, ბრალს გდებდნენ სხვადასხვა დანაშაულებში, მათ შორის, რუსეთის აგენტურაშიც კი. შეგახსენებთ, თქვენს სატელეფონო ჩანაწერებს, სადაც 7 ნოემბრის აქციების დროს მოუწოდებდით პოლიტიკოსებს ქმედებებისკენ.

— სააკაშვილის ავადმყოფურ ბოდვებს კომენტარს ვერ გავუკეთებ. მან დააბრალა რუსეთის აგენტობა ყველას, ვისაც ის არ მოსწონდა.

— მაგრამ ბატონო ცოტნე, თქვენ ხომ რეალურად ურეკავდით იმ ადამიანებს.

— კი, ბატონო, მაგრამ სადმე ჩანს იქ აგენტობა?

— თქვენ ხომ ეუბნებოდით ლევან გაჩეჩილაძესა და სხვებს, რომ უნდა ემოქმედათ და პარლამენტში უნდა შესულიყვნენ?

— ზეწოლისგან გათავისუფლებულმა ახალმა პროკურატურამ ჩემდამი არსებული ბრალდებები უკან გაიწვია. მე არსად მითქვამს, რომ ვინმე პარლამენტში უნდა შეჭრილიყო. მეორეც, მინდა შეგახსენოთ, რომ ოთხი წლის განმავლობაში, ეს საქმე თაროზე იყო შემოდებული. როგორ გგონიათ, სააკაშვილის ხელისუფლებას რეალური მტკიცებულებები რომ ჰქონოდა ჩემი ჯაშუშობისა და შეთქმულების შესახებ, ამ შანსს ხელიდან გაუშვებდა? მე ვიჯექი სხვა შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე, რომელიც ასევე აბსურდი იყო.

— ციხიდან ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ გამოხვედით.

— მოხდა ისე, რომ მე, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილმა შემიწყალა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი თხოვნით მისთვის არასოდეს მიმიმართავს. არ არსებობს ბუნებაში არანაირი დოკუმენტი, რომელიც ჩემს მისდამი მიმართვას დაადასტურებს, თუმცა იმ შვიდი ბრალდებიდან, რომელიც ძველმა ხელისუფლებამ შემითითხნა, 4 მომიხსნა უკვე ახალი ხელისუფლების პროკურატურამ.

— ბატონო ცოტნე, სააკაშვილის ხელისუფლებამ ბრძოლა რატომ გამოგიცხადათ? ასე იყო თუ ისე, შევარდნაძის ხელისუფლების შემდგომ, სააკაშვილის პირობებში, ზვიად გამსახურდიას მომხრეების რეაბილიტაცია დაიწყო...

— მე არ ვთვლი, რომ რეალურად, რამე იყო სარეაბილიტაციო. ვფიქრობ, პირიქით უნდა მომხდარიყო, შევარდნაძის მთავრობიდან ბევრი მაღალჩინოსანი, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები უნდა მოხვედრილიყვნენ ციხეში, რომელთაც ათასგვარი ბრალდება შეთითხნეს მამაჩემის მისამართით. თუნდაც ანზორ ბალუაშვილი.

სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, მამაჩემის მომხრეთა ნაწილი გათავისუფლდა ციხეებიდან, ასევე სამეგრელოში გარკვეული ნაწილის შემორიგებაც მოხდა, მაგრამ ამას არათუ მასშტაბური სახე, არამედ კანონიერი საფუძველიც არ მისცემია. სამართლებრივი შეფასება სააკაშვილის მთავრობას ამაზე არ გაუკეთებია და არც უზრუნია. არც მამაჩემის როლზე ყოფილა საუბარი და არც ამ ადამიანების, მისი მომხრეების. რაც შეეხება ჩემს დაპირისპირებას სააკაშვილის ხელისუფლებასთან, ღია დაპირისპირება იმ პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ისინი ჩემგან ითხოვდნენ, მათთვის დამეთმო ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების პროცესის ხელმძღვანელობა, რაც არ გავაკეთე. მათ აამოქმედეს სხვადასხვა მეთოდები, მოქრთამვიდან დაწყებული, დაშინების მცდელობით დამთავრებული.

— მაგრამ თქვენ ხომ მაინც მიხვედით პარლამენტთან, სადაც პროცესია შეჩერდა და მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა კიდეც... ეს ყველაფერი ისე აისახა, რომ მთავრობამ ჩამოასვენა ნეშტი...

— მე არსად მივსულვარ. ეს ხალხმრავალი პროცესია იყო, რომელიც გზად, მამადავითისკენ, პარლამენტის წინ შეჩერდა. ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროცესია მიხეილ სააკაშვილისთვის გაკეთდა.

— როგორც ამბობენ, დედათქვენი მომხრე იყო, სახელმწიფო ჩაბმულიყო ამ პროცესში და ამის გამო, უთანხმოებაც გქონდათ.

— იყო გარკვეული უთანხმოებაც, რომელზეც საუბარი, ამ ეტაპზე, არ მსურს.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ დედათქვენთან?

— არავითარი ურთიერთობა არ მაქვს. ისე, თავისუფლად შემიძლია გიპასუხოთ, როგორც მეკითხებით...

— თქვენს ძმასთან, გიორგი გამსახურდიასთან?

— ამ თემებზე სასაუბროდ თუ მოხვედით, გავწყვიტოთ საუბარი.

— ბატონო ცოტნე, საპრეზიდენტო არჩევნებია კარსმომდგარი. ბევრი კანდიდატურა განიხილება: ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ალასანიას კანდიდატურა გაჟღერდა და „დაიბლოკა“, ითქვა სალომე ზურაბიშვილზეც... შემთხვევით, თქვენც ხომ არ ფიქრობთ პრეზიდენტობაზე?

— საპრეზიდენტო ამბიციები არ მაქვს. ყველაფერ დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, საამისოდ, ჯანმრთელობაც არ მიწყობს ხელს.

— პარტიის ჩამოყალიბებას ხომ არ აპირებთ ან სხვა პარტიას ხომ არ შეუერთდებით?

— მე მაქვს გარკვეული გეგმები პოლიტიკასთან მიმართებაში. არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ვგეგმავ. შესაძლოა, სხვა ტიპის ორგანიზაციისაც, თუმცა ჯერჯერობით, კონკრეტულად, ამ თემაზე საუბარი არ მსურს. ამ ეტაპზე, ანალიტიკური მუშაობითა და კონსულტაციებით შემოვიფარგლები.

დასასრული მე-4 გვერდზე



შინაგან საქმეთა სამინისტრო დაღუპული პოლიციელების ოჯახებს უსამძიმრებს

27 მარტს, გამთენიისას, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 35-ე კმ-ზე, შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონის სამმართველოს უფროსი ნუგზარ ლომიძე და მისი მოადგილე თენგიზ წივწივაძე, სოფელ წეროვანთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ.

თანმხვედრი მიმართულებით მოძრავი „მერსედესისა“ და „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ მარკის ავტომანქანები ერთმანეთს შეეჯახა, რა დროსაც, „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“, რომლითაც პოლიციელები მოძრაობდნენ, გზის უკიდურეს მარჯვენა ზოლში გადავიდა და ბეტონის გზისგამყოფს რამდენჯერმე დაეჯახა.

შეჯახების მიზეზების დასადგენად, ავტოტექნიკური, ავტოტრასოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა. მომხდარის გამო, მწუხარება გამოთქვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და დაღუპულების ოჯახებს სამძიმარიც გამოუცხადა.

„ვერსიანიუსი“

ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილს კომპრომატებს გამოუქვეყნებს

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებს. ცოტა ხანში იგი წარმოადგენს დოკუმენტაციას იმის შესახებ, თუ როგორ არ უნდოდა სააკაშვილს რუსეთთან ურთიერთობების დალაგება და როგორ დაბლოკა მან გერმანიის კანცლერის, მერკელის წინადადება, პრობლემები მისი აქტიური მონაწილეობით მოგვარებულიყო: **„კარგად დაინახავთ — სააკაშვილს არ აწუხებდა, რომ ბურჯანაძე თურმე პრორუსული იყო. მას ზუსტად ის აწუხებდა, რომ კარგად იცოდა, ყოველთვის პროქართული პოზიციის ერთადერთი ადამიანი ვიყავი“.**

ბურჯანაძემ განაცხადა, რომ იცის, როგორ მოგვარდეს რუსეთთან პრობლემები და კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. ბურჯანაძისვე განცხადებით, სააკაშვილი ის ადამიანია, რომელმაც ქვეყანა წინასწარ წაგებულ ომში ჩართო და მას უკვირს, ამაზე რატომ არ საუბრობს უმრავლესობა.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრები დაკითხეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრები — დავით წერეთელი და ვახტანგ ცაგარეიშვილი დაკითხეს. საგამოძიებო სამსახურში დაბარებული იყო ხვიჩა სანაია, მაგრამ უწყებაში მისი ადვოკატი მივიდა.

ვახტანგ ცაგარეიშვილმა საგამოძიებო სამსახური უკომენტაროდ დატოვა, დავით წერეთელმა კი განმარტა, რომ დაკითხვა პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა, თუმცა არ განუმარტავს, კონკრეტულად, რას. წერეთელმა ასევე აღნიშნა, რომ გამოძიებას მასზე ზეწოლა არ განუხორციელებია: **„ღირსება არ იყიდება და საკრებულოს უმრავლესობას არ დავტოვებ“.**

საკრებულოს უმრავლესობის წევრები დაკითხვაზე, შესაძლოა, კვლავ დაიბარონ. საგამოძიებო სამსახურში ხვიჩა სანაია მეშვიდედ, ხოლო დავით წერეთელი და ვახტანგ ცაგარეიშვილი მეორედ დაიბარეს.

„ინტერპრესნიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

საქველმოქმედო ფონდი „ქვიშის საათი“ სულ რაღაც ორი თვეა, ოთხმა მეგობარმა დააფუძნა, თუმცა უკვე არაერთ სოციალურად დაუცველ ოჯახს, ცერებრალური დამბლითა და აუტიზმით დაავადებულ ბავშვს ძვირადღირებული მედიკამენტებითა და საკვები პროდუქტებით დაეხმარა. 30 მარტს, ფონდის ორგანიზებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასახმარებლად აქცია იმართება, რომელიც მომავალში, ტრადიციულ სახეს მიიღებს. „ვერსია“ საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქვიშის საათის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, მარიკა შენგელიას ესაუბრა.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქვიშის საათი“ 30 მარტს, სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად აქციას გამართავს



— საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქვიშის საათი“, ოფიციალურად, 2013 წლის 12 თებერვალს დაარსდა, რომლის დაფუძნების იდეაც სპონტანურად გაგვიჩნდა. ორგანიზაციის შექმნამდე, ორი თვით ადრე, სოციალური ქსელის საშუალებით შევიტყვეთ, რომ თბილისში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახს დახმარება სასწრაფოდ ესაჭიროებოდა — ბავშვს საკმაოდ მძიმე დაავადება ჰქონდა. როცა მათთან სტუმრად მივედით, ერთის ნაცვლად, 14 ოჯახი დაგვხვდა, რომლებიც მართლაც, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ. შესაბამისად, ერთჯერადი დახმარების შემდეგ, საკუთარ თავს გაჩერების უფლება ვეღარ მივეცით. პირიქით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე არაერთი ინფორმაცია მოვიძიეთ. პირველ ეტაპზე, ცერებრალური დამბლით, აუტიზმითა და მსგავსი სნეულებებით დაავადებულ ბავშვებს ძვირადღირებული წამლებითა და მცირე თანხითაც დავეხმარეთ. ბუნებრივია, ეს საკმარისი არ არის და მათ ყოველ თვე საკმაოდ ბევრი წამალი სჭირდებათ, რომელთაგან მხოლოდ ერთი მედიკამენტის ფასი 120 ლარია, სახელმწიფო კი თვეში მხოლოდ 70 ლარით ეხმარება. არის შემთხვევები, როცა საკვებ პროდუქტებსაც გვთხოვენ, რადგან, ფაქტობრივად, ასეთი ოჯახები შიმშილობის ზღვარზეა.

— 30 მარტს საქველმოქმედო აქციას მართავთ, რომელიც ყოველი თვის ბოლოს, ტრადიციულად ჩატარდება. დახმარების სურვილი ორგანიზაციებმა უკვე გამოთქვეს?

— 30 მარტის საქველმოქმედო აქციის გარდა, სტუდენტების დახმარებით, „ბაბილო რივერსაიდში“ კონცერტს 13 აპრილსაც გავმართავთ. ბილეთის ფასი 50 ლარია, შემოსული თანხა მთლიანად სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს მოხმარდება. მომღერლებმა, რომლებიც კონცერტზე მონაწილეობაზე უპრობლემოდ დაგვთანხმდნენ, ჰონორარზეც კატეგორიული უარი განაცხადეს. დიახ, საბედნიეროდ, რამდენიმე ორგანიზაციამ ფინანსური დახმარების სურვილი გამოთქვა, ზოგი მის მიერ წარმოებული პროდუქტითაც გვამარაგებს. მსგავსი დახმარებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების პატარა წარმომადგენლები თეატრებსა და ბავშვთა გასართობ ცენტრებშიც ხშირად დაგვყავს, თუმცა, ცხადია, სურვილი გვაქვს, ასეთი ღონისძიებები მეტი ინტენსივობით გავმართოთ. ამასთან, ჩვენი მიზანია, ორგანიზაციებთან ერთად, აქციებში მოქალაქეებიც ჩავრთოთ. სხვათა შორის, მოსახლეობის წყალობით, ტანსაცმლითა და საოჯახო ნივთებით იძულებით გადაადგილებულ ოჯახებსაც დავეხმარეთ.

— სად უნდა მოგმართონ მოქალაქეებმა, ვისაც მიუსაფართა დახმარების სურვილი აქვთ?

— ჯერჯერობით, ჩვენი ორგანიზაციის „ფეისბუქის“ გვერდი ფუნქციონირებს, თუმცა მალე, ფონდის ოფიციალური საიტიც გაიხსნება. სოციალურ ქსელში ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მოგვწეროს. აქცენტს მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე არ ვაკეთებთ, ადამიანებს შეუძლიათ, იმით დაგვეხმარონ, რაც გააჩნიათ — ტანსაცმელი იქნება ეს თუ სათამაშოები. ჩვენ ისეთ ადამიანებს ვეხმარებით, რომლებსაც აბსოლუტურად არაფერი აბადიათ. სხვათა შორის, მედიკამენტებისა და საკვების გარდა, არის ოჯახები, რომლებიც გვთხოვენ, დავეხმაროთ სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებაში და ამის სურვილი ექიმთა ნაწილმა უკვე გამოთქვა. ორ ბავშვს გლანდების ოპერაციაც გავუკეთეთ, თუმცა მათ, გარკვეული ანალიზები ხშირად სჭირდებათ და კარგი იქნება, რომელიმე კლინიკა ჩვენთან თუ ითანამშრომლებს, ბავშვებს უფასოდ დაეხმარება. სამწუხაროდ, საქართველოში სამედიცინო მომსახურება საკმაოდ ძვირი ღირს, რისი შესაძლებლობაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს არ აქვთ.

ცოტნე გამსახურდია პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს?!

მე-3 გვერდიდან

— ბოლო დროს, ივანიშვილის მთავრობის კოჰაბიტაციასაც აკრიტიკებთ...

— კი, ბატონო. ახალმა ხელისუფლებამ, ჩემი შეფასებით, ვერ უზრუნველყო სამართლიანობის აღდგენა. რაც შეეხება კოჰაბიტაციას. ჩვენი საზოგადოება არასწორ შეფასებას ანიჭებს ამ პროცესს. კოჰაბიტაცია არ ნიშნავს კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულზე თვალის დახუჭვას. მაშინ გავაუქმოთ საერთოდ პროკურატურა, შსს, სასამართლო... რაღა საჭირო? ყველასთან მოვახდინოთ კოჰაბიტირება, ყველას თავზე ხელი გადავუსვათ და ყველაფერი დავივიწყოთ. ეს ასე არ გამოვა. პოლიტიკაში ყოფნა ვინმესთვის იმუნიტეტი და ხელშეუხებლობის გარანტია არ უნდა იყოს. ახალმა ხელისუფლებამ რომ ვერ უზრუნველყო სამართლიანობის აღდგენა, შესაძლოა, ეს გამოიწვია საკადრო დეფიციტმა ან სულაც, პოლიტიკური ნების არარსებობამ. ახალ ხელისუფლებას ჰგონია, რომ სამართლიანობის პროცესის აღდგენა მხოლოდ ზოგიერთი ადამიანის მისამართით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაა. არა, ბატონებო, სამართლიანობის აღდგენა მოითხოვს დამნაშავეების დასჯას. უნდა დაისაჯონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების, პროკურატურისა თუ სასამართლოს დამნაშავე მუშაკები, ის პოლიტიკური პირები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ამდენი წლის განმავლობაში ქმნიდნენ ტირანიას. 7 ნოემბერი, 26 მაისი და უამრავი გახმაურებული საქმე უნდა გამოიძიოს ახალმა მთავრობამ.

— როგორ ფიქრობთ, ეს „დაბრო“ ივანიშვილს რომელიმე გარეშე ძალებიდან არ აქვს თუ, უბრალოდ, შეიქმნა ქვეყნის მართვის ამერიკული მოდელი, როცა ხელისუფლებას, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, იყოფს ორი პარტია..

— მე ვერ გეტყვით, ვის რა „დაბრო“ აქვს. ძალიან კარგია, თუ ქვეყანაში მრავალფეროვანი პოლიტიკურ-პარტიული სპექტრი იქნება, თუმცა, სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობა ვერ გამოდგება ოპოზიციის როლში, რადგან ისინი კონკრეტული სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან. ხალხს ისე მოკლე მეხსიერებაც არ აქვს, რომ სამი წლის შემდგომ, ისევ ნაციონალები მოიყვანოს ხელისუფლებაში. შეიძლება, ვიღაცამ თქვას კიდეც და იყოს ამის ვარაუდი, რომ ივანიშვილს აწყობს ასეთი ოპოზიცია და ნაციონალები ოპოზიციაში, რომელიც მუდმივად მოწყვლადი იქნება, მაგრამ მაინც მგონია, რომ მალე გამოჩნდება ისეთი ალტერნატიული დამოუკიდებელი ძალა, რომელიც ღირსეული ოპოზიციის ადგილს დაიმკვიდრებს. როგორც რუსები იტყვიან, „სვიატო მესტო პუსტო ნე ბივაეტ“.

— რუსები ახსენეთ, ვალერი ხაბურძანიამ დააანონსა ახალი ოპოზიციური ძალის შესახებ, რომელთანაც კახა კუკავაც მოიაზრება...

— კახა კუკავამ, როგორც ვიცი, უარყო ხაბურძანიასთან მისი პოლიტიკური ასოცირება... და ზოგადად, ძალიან დიდ მნიშვნელობას ხომ არ ანიჭებთ ამ ხაბურძანიას? ვინ არის ხაბურძანია, როდის გამოჩნდა ის პოლიტიკაში, ვის გაუგია მისი ხმა, რა გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ მიშას პარლამენტის კარი გაუღო და შეაცილა... ამ სისულელეზე ნუ მალაპარაკებთ. ოპოზიციის გაჩენა დამოკიდებულია ხელისუფლების შეცდომებსა და იმ თეთრ ლაქებზე, რომელსაც ხელისუფლება საქმიანობისას ტოვებს. მე მაინც ვფიქრობ, რომ იმ ყველაფრის შემდგომ, რაც ჩვენ გავიარეთ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებას ველარავინ მოატყუებს, აქ აღარ მოხდება ვიღაცის მართულ-მარიონეტი და ფინიების მოყვანა ხელისუფლებაში.

— ბატონო ცოტნე, პოლიტიკურ სპექტრში საკამათო თემად იქცა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განსაზღვრა. ერთნი ემხრობიან, რომ ევროპას რადიკალური ენით არ უნდა ვესაუბროთ, ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთთან უნდა დავთმოთ პოზიციები...

— ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და ის, რომ რუსეთის მხრიდან ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიის ნაწილი, ძალიან პრინციპული საკითხია. ჩვენ არ უნდა ვთქვათ უარი ტერმინ „ოკუპაციაზე“. რუსეთთან ურთიერთობების დათბობა დაიწყო ასეთი ხაზით: დაწყებულიყო დიალოგი მეორეხარისხოვანი საკითხებით, იქნებოდა ეს კულტურულ-სამეცნიერო თუ ეკონომიკური ურთიერთობები, რათა ხელი არ შეეშალა ურთიერთობების აღდგენას, მაგრამ დღეს

> **არ უნდა გამოვიდეს ისე, რომ რამდენიმე ათასი ბოთლი ღვინისა და რამდენიმე ტონა მანდარინისთვის უარი ვთქვათ იმ პირველხარისხოვან საკითხზე, რომელიც, ძირითადად, განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობებს რუსეთთან. ცალკე სასაუბრო თემაა და არ მიმაჩნია სწორად იმაზე აპელირება, ვინ დაიწყო ომი და კონფრონტაცია რუსეთთან.**

ფაქტია, არსებობს სარკოზი-მედვედევის შეთანხმება, რომელიც არ შესრულებულა, რა თავისმართლების პოზიციაც უნდა ჰქონდეს რუსეთს. სწორედ ამისთვის არსებობს დიპლომატია, რომ მსოფლიო საზოგადოების თვალში ჩამოყალიბდეს ის პოზიცია, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. მე არ მგონია, რომ ივანიშვილის მთავრობა ცალსახა პრორუსულ პოლიტიკას ატარებდეს და რუსეთზე იყოს ორიენტირებული. ჯერჯერობით, ივანიშვილი ცდილობს, აწარმოოს მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას საკმაოდ გაუჭირდება ბალანსის დაცვა.

— ზვიად გამსახურდიას ჰქონდა, თავის დროზე, ასეთი საგარეო ბალანსის მცდელობა...

— დიახ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას დროს საქართველოს მთავრობას არ ჰქონია შესაბამისი საკადრო, მატერიალური და გეოპოლიტიკური ბერკეტები. სამწუხაროდ, ეს ასე უნდა ყოფილიყო, როგორც მოხდა მამაჩემის მმართველობის დროს. გახსოვთ, რა გააკეთა ედუარდ შევარდნაძემ? მან დახუჭა თვალი ყველაფერზე, ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ. ყველაფრის, მათ შორის, აფხაზეთის საკითხის ფასად, შეინარჩუნა რუსებთან კარგი ურთიერთობა, შემდეგ რუსეთი გამოიყენა ქოლგად გარკვეულ პერიოდამდე მისასვლელად და როცა შიგნით გაძლიერდა დასავლური გავლენა, ისარგებლა ალკოჰოლიკი ელცინის ქმედუუნარობით და დასავლურ რელსებზე გადავიდა. სხვა საკითხია თემა, რომ ეს შევარდნაძემ პირადი ძალაუფლების შენარჩუნებისა და საკუთარი კლანის კორუფციული გაძლიერებისთვის გააკეთა.

— ახალი ხელისუფლების საკადრო დეფიციტი ახსენეთ... ვის გულისხმობთ?

— უფრო ძალოვან სტრუქტურებს ვგულისხმობ. სახელდობრ, პროკურატურას. ფაქტია, რომ

> **ადეიშვილისდროინდელი პროკურორებით, ესენი სამართლიანობას ვერ აღადგენენ და ასევე ვერც იმ ადეიშვილის სტილის ტექსტებით, რომ „მიმდინარეობს გამოძიება“. სულ არ მაინტერესებს, აქვს თუ არა ვინმეს დიპლომი, ან ვინ როგორი ადვოკატი იყო წარსულში. მე მაინტერესებს შედეგები, რომელსაც ვერ ვხედავთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი პროკურატურა ძალიან დაემსგავსა ანონსთა ბიუროს და ეს, პირველ რიგში, მთავრობას მოუტანს ზიანს. მიმაჩნია, რომ ივანიშვილმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ამ უწყებებს. კბილაშვილმა კეთილი უნდა ინებოს, იკადროს და გამოიძიოს თუნდაც ციხეში მიმდინარე ის საშინელი პროცესები. ჩვენ მხოლოდ განცხადებები არ გვაინტერესებს.**
> **— ხომ არ აპირებთ, კბილაშვილის უწყებას მამათქვენის გარდაცვალების ფაქტის ხელახალი გამოძიება მოსთხოვოთ?**
> **— აუცილებლად და მალე. უბრალოდ, დღეს მართლმსაჯულება ძალიან მოიკოჭლებს და ამიტომ ჯერ პროცესებს დაველოდები.**

— ამბობენ, რომ ივანიშვილი გარკვეულ ჯგუფს საინფორმაციო იზოლაციაში ჰყავს..

— ივანიშვილის ვაკუუმში მოქცევა, არა მგონია, ადვილი იყოს. ტელევიზორს უყურებს, პრესას კითხულობს. გახსნილია საზოგადოებისთვის, სურვილის შემთხვევაში, თქვენც შეძლებთ, მას კითხვა დაუსვათ. ივანიშვილი არც კიმ ირ სენია და არც სტალინი, რომ მისი ვაკუუმში მოქცევა მოხერხდეს.

— 31 მარტს მამათქვენის დაბადების დღეა და ზვიადობა იმართება. მიიღებთ მონაწილეობას?

> **— არ ვიცი, ვინ აწყობს ან რას და არ ვემხრობი ადამიანების გაფეტიშებას ისევე, როგორც არ ემხრობოდა მამაჩემი. ძალიან გთხოვთ, ეს დააფიქსიროთ. მე პირველად მესმის ასეთი ტერმინი „ზვიადობა“, რაც გავრცელდა. ვინ არის ამის ორგანიზატორი, არ ვიცი და რაღაც მარგინალური ჯგუფი მგონია, რომელიც ცდილობს ამით პოლიტიკურ სარბიელზე გასვლას. არ მიმაჩნია, რომ მამაჩემის გარდაცვალებიდან ასე მოკლე ხანში საჭიროა მსგავსი ღონისძიებების გამართვა და პომპეზური ორეულის შექმნა.**

ეს ისტორიის საქმე და კუთვნილებაა. არსებობს სიახლოვის აბერაცია და მხოლოდ რაღაც დისტანციის, პერიოდის შემდგომ უნდა მოხდეს კონკრეტული ადამიანების პოლიტიკური საქმიანობის შეფასება. მით უმეტეს, ზვიადის მმართველობის დროს იყო არასწორი სვლებიც, მაგრამ იყო ეპოქალური მნიშვნელობის პროცესებიც. ეს დროისა და ისტორიის შესაფასებელია და არა ადამიანების გარკვეული ჯგუფის.

— ბატონო ცოტნე, გასული ხელისუფლების გამოცდილებიდან გამომდინარე, რას ურჩევდით ივანიშვილს?

— ამაზე არ დავფიქრებულვარ, თუმცა ახლა შემიძლია ვთქვა: ივანიშვილმა, ყველა შემთხვევაში, საკუთარი თავი უნდა აღიქვას არა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის ლიდერად, არამედ მთელი საქართველოსი. ეს მას არ უნდა დაავიწყდეს. პოლიტიკაშიც და ცხოვრებაშიც ემოციურ-პათეტიკური დამოკიდებულებები დამღუპველია და მესამე: ივანიშვილმა მუდმივად გულისხმიერად უნდა უგდოს ყური ხალხის გასაჭირს, რომ იმავე წრეზე არ წავიდეს, რაც წინა ხელისუფლებას დაემართა. სააკაშვილის ხელისუფლებასაც ჰქონდა ნდობის მაღალი მანდატი, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, მაგრამ პატარა კლანად ჩამოყალიბდა. ეს უნდა დაიმახსოვროს ივანიშვილმა. შეიძლება, კოალიციის შიგნით კულუარული ბრძოლები არის, მაგრამ ივანიშვილი ამაზე მაღლა უნდა იდგეს ყოველთვის.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2013 წლის 28 თებერვლიდან, მთავრობის 36-ე დადგენილება ამოქმედდა. ახალი დადგენილებით, საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი დააზღვიეს, რომელიც აქამდე არ ყოფილა დაზღვეული. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები და საქართველოში, სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების მოსარგებლეებისა (საქართველოს მთავრობის №218-ე და №165-ე დადგენილებების მოსარგებლეები); 2013 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირებისა და იმ ბრალდებული/ მსჯავრდებული პირებისა, რომლებიც პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში იმყოფებიან. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს გეგმურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და გადაუდებელ სტაციონარულ მკურნალობას.

საყოველთაო დაზღვევა, სინამდვილეში, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის პროგრამა აღმოჩნდა!

რატომ ვერ დაეზღვევიან 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები, რომელ სადაზღვევო კომპანიებს შეექმნა ფინანსური პრობლემა და როგორ გავერკვეთ სადაზღვევო დაბირინთებში?

დღეისათვის 1 700 000 ადამიანია დაზღვეული, მათ შორის სოციალურად დაუცველები და პედაგოგები. 500 000 მოქალაქე არასახელმწიფო პროგრამებითაა დაზღვეული და კორპორატიული პაკეტებით სარგებლობს, ხოლო 50 000 მოქალაქე — ინდივიდუალურად. „ვერსიასთან“ საუბრისას, დევი ხეჩინაშვილმა აღნიშნა, რომ დაზღვევის ის პროგრამები, რომლებიც აქამდე მოქმედებდა, პერსონიფიცირებაზე იყო დაფუძნებული — სადაზღვევო კომპანია სახელმწიფოსგან იღებდა ფულს არა კონკრეტული სიის მიხედვით, არამედ მხოლოდ პოლისებით. რა პრობლემები ექმნება მოსახლეობას დაზღვევის დროს, რატომ იბნევიან სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები და ექიმები, „ვერსიას“ სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტი **დევი ხეჩინაშვილი** ესაუბრება: **„ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, სადაზღვევო სიაში ეწერეთ, მაგრამ თუ სახელმწიფოსგან პოლისს არ აიღებდით, არ დაგაზღვევდნენ. სადაზღვევო კომპანიებს ამის გამო, სერიოზული ფინანსური ზიანი მიადგათ, განსაკუთრებით — „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“, რადგან მის სიაში, 70 000 ადამიანს არ ჰქონდა პოლისი. პროგრამა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ 28 თებერვლიდან აამოქმედა, საყოველთაო დაზღვევის კი არა, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პროგრამაა. საყოველთაო დაზღვევა მაშინ იქნებოდა, თუ ყველა ასაკოვან ადამიანს დააზღვევდნენ სიის და არა პოლისის მიხედვით. საყოველთაო დაზღვევის შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოს მოქალაქე ქვეყანაში ცხოვრობს, თუ მის ფარგლებს გარეთ, ის მაინც უნდა დააზღვიონ, რადგან ასეთი პრინციპი არ მოქმედებს, ეს არც საყოველთაო დაზღვევაა. მით უმეტეს, ხელისუფლებამ ამ ეტაპზე თქვა, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებიც უკვე დაზღვეულები არიან, არ დააზღვევდა. ასეთი მიდგომა მომწონს, რადგან ეს ხელს უწყობს სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობას“.**

დევი ხეჩინაშვილი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, მთავრობამ განსაზღვროს, რა უნდა — საყოველთაო ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე თუ მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და ზოგადად, ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა სრულიად ზედმეტია: **„თუ ჩვენ ვრჩებით სისტემაში, სადაც სახელმწიფო პროგრამები ბიუჯეტიდან ფინანსდება, უპრიანია, დავზოგოთ საბიუჯეტო სახსრები და მივხედოთ მათ, ვისაც სამედიცინო სერვისებზე წვდომა არ აქვთ, მათ შორის, ღარიბებსა და პენსიონერებს. თუ სახელმწიფო ყველა მოქალაქეს დაზღვევს, სადაზღვევო კომპანიაში ბევრი ადამიანი დაკარგავს სამსახურს და საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევა დაიხურება“.**

კერძო სამედიცინო დაზღვევის გაუქმებასთან ერთად, გამორიცხული არ არის, სადაზღვევო კომპანიები — „ალფა“, და „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ გაკოტრდეს. მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფოს მითითებით, ამ კომპანიებმა ჯერ საავადმყოფოები ააშენეს, მაგრამ ახალი ხელისუფლების პირობებში, მათი დაფინანსება შეაჩერეს. ხეჩინაშვილის თქმით ფინანსური ზარალი საავადმყოფოების პროექტის ბრალი არაა: **„სადაზღვევო კომპანიებმა საავადმყოფოების ასაშენებლად, 250 000 000 აშშ დოლარი დახარჯეს, მაგრამ პრობლემები ამის გამო არ შექმნიათ. ეს იმის ბრალია, რომ ზოგადად, სახელმწიფო პროგრამები ზარალიანია. მაგალითად, „ალფასთვის“ წამგებიანი აღმოჩნდა მთავრობის 218-ე დადგენილება, რომლითაც სახელმწიფომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები დააზღვია, ხოლო „არქიმედეს გლობალ ჯორჯიასთვის“ ზარალიანია 165-ე დადგენილება, რომლითაც 0-5 წლამდე და ასაკით პენსიონერი მოქალაქეები დააზღვიეს. რაც შეეხება „აი სი ჯგუფს“, ფინანსურად იმიტომ კი არ დაზარალდა, რომ საავადმყოფოები ააშენა, არამედ იმიტომ, რომ ეს საავადმყოფოები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთშია განთავსებული, სადაც, შესაძლოა, მხოლოდ დოტაციის პირობებში იარსებოს. თვითღირებულებით თავს ვერ შეინახავს“.**

ახლა მთავარია, ხელისუფლება ჩამოყალიბდეს — უნდა თუ არა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა, რას აპირებს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის პროგრამის მეორე ეტაპზე, რომელიც ივლისში დაიწყება და გამოყოფს თუ არა სახელმწიფო სუბსიდირებას იმ საავადმყოფოებისთვის, რომლებიც სადაზღვევო კომპანიებმა ააშენეს. მანამდე საქართველოს მოქალაქეებს იმ სადაზღვევო ლაბირინთებში მოუწევთ გზის გაკვლევა, რაც წინა და ახალმა ხელისუფლებამ, ნებსით თუ უნებლიედ, შექმნა. სადაზღვევო გაუგებრობას შორის, „ვერსიამ“ ორი ფაქტი გამოყო და დევი ხეჩინაშვილთან განიხილა.

წინა ხელისუფლების პირობებში, მთავრობის 165-ე დადგენილებით, 0-დან 5 წლამდე და პენსიონერი მოქალაქეები არიან დაზღვეულები. ქალბატონებს საპენსიო ასაკი 60 წლიდან უწევთ, მამაკაცებს — 65-დან. ახალი ხელისუფლების სადაზღვევო პროგრამის მიხედვით, მხოლოდ 6-დან 60 წლამდე ასაკის დაუზღვეველ მოქალაქეებს აზღვევენ. თბილისში მცხოვრები 62 წლის ასაკის მამაკაცი მთავრობის 165-ე დადგენილების მიხედვით, დაზღვეული არაა, რადგან საპენსიო ასაკამდე ჯერ კიდევ 3 წელი აქვს. ეს მამაკაცი ვერც 28 თებერვალს ამოქმედებული პროგრამით დააზღვიეს, რადგან 62 წლისაა. შესაბამისად, ძველსა და ახალ ხელისუფლებას, 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები, რატომღაც გამორჩა. ამ ფაქტმა დევი ხეჩინაშვილიც გააოცა: **„სამწუხაროდ, 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცები, უბრალოდ, გამორჩათ. მეტიც, პროგრამაში არ არიან ბავშვები, პენსიონერები და გნებავთ, სტუდენტები, რომლებიც სადაზღვევო სიაში იყვნენ, მაგრამ მისამართის მიხედვით ვერ მოძებნეს ან სადაზღვევო პოლისები ვერ აიღეს. სამწუხაროა, მაგრამ 60-დან 65 წლამდე ასაკის მამაკაცებს ამ გარდამავალ ეტაპზე, აღარაფერი ეშველებათ. დაზღვევის გარეშე დარჩნენ. იმედია, ამ საკითხს მეორე ეტაპზე გაითვალისწინებენ“.**

სადაზღვევო გაუგებრობის მეორე ფაქტი ახალგაზრდა გოგონას ეხება, რომელიც სტუდენტობის დროს, სახელმწიფომ დააზღვია. სწავლის პარალელურად, გოგონამ მუშაობა დაიწყო და სხვა სადაზღვევო კომპანიაში, კორპორატიულადაც დააზღვიეს. როდესაც სამედიცინო მომსახურება დასჭირდა და გადაწყვიტა, კორპორატიული დაზღვევის პაკეტით ესარგებლა, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელმა უხეშად მიმართა, სტუდენტური დაზღვევაც გქონია და სამედიცინო მომსახურების საფასური სახელმწიფომ აგიანაზღაუროსო. დევი ხეჩინაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებიც ხდება, მაგრამ სინამდვილეში, ამ ტიპის პრობლემის მოგვარება არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს: **„ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ხშირად მოქალაქეები სადაზღვევო ქაოსში ეხვევიან. მარტივად აგიხსნით, როგორ უნდა მოგვარდეს ასეთი პრობლემები. მაგალითად, თქვენ უფლება გაქვთ, ერთი და იგივე რისკი ორ კომპანიაში დააზღვიოთ, მაგრამ მე, როგორც სადაზღვევო კომპანია, ვალდებული ვარ, ვიზრუნო, ორმაგი ანაზღაურება არ მიიღოთ. თუ თქვენი მანქანა ორ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაქვთ დაზღვეული, ავარიის შემთხვევაში, ან ერთი კომპანიისგან უნდა მიიღოთ ანაზღაურება, ან მეორისგან. ეს არ ეხება სიცოცხლის დაზღვევას. ამ შემთხვევაში, ადამიანს უფლება აქვს, ერთი და იგივე რისკი სამ სადაზღვევო კომპანიაში დააზღვიოს. თუ ასეთი ადამიანი საავადმყოფოში მოხვდება და მას ურგენტული მომსახურება სჭირდება, ერთი სადაზღვევო კომპანიისგან იღებს მომსახურების თანხას, ხოლო დანარჩენი ორი კომპანია, იმ ერთს უხდის. მოკლედ, დაზღვეული ადამიანის მომსახურებას სამივე კომპანია იყოფს ერთმანეთში“.**

ბათუმში საია-ს თანამშრომელსა და აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს შორის ინციდენტი მოხდა

ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამ თანამშრომელსა და აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს, ვალერი თელიას შორის ინციდენტი მოხდა. საიას-ს იურისტის, გიორგი ხიმშიაშვილის ინფორმაციით, ქუჩაში მოძრაობისას მათ აჭარის პოლიციის უფროსმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მათი მიმართულებით ანთებული სიგარეტი ისროლა. თელია და შს სამინისტრო ამას კატეგორიულად უარყოფენ. გარდა ამისა, რამდენიმე პირი საია-ს წარმომადგენლებს ადანაშაულებს. ერთ-ერთი თვითმხილველი, მამული მახარაძე აცხადებს, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომობილი, რომელსაც საია-ს მძღოლი როინ ფარტენაძე მართავდა, დიდი სისწრაფით მოძრაობდა და გრიბოედოვის ქუჩიდან მომავალ „ჯიპს“ რომ არ გაეჩერებინა, „მერსედესი“ დაეჯახებოდა: **„შევნიშნე, „მერსედესის“ მძღოლი და თანმხლები პირები გადმოვიდნენ და დაუწყეს კამათი შავი „ჯიპის“ მძღოლს. ძალადობა არ ყოფილა, იყო კამათი. „მერსედესის“ მძღოლი აგრესიულად იქცეოდა, „ჯიპის“ მძღოლი თავაზიანად უხსნიდა ვითარებს“.**

შსს-მ ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას გაავრცელა: **„შემთხვევა ბათუმში 28 მარტს, 11 საათსა და 40 წუთზე მოხდა გრიბოედოვისა და გორგასლის ქუჩების კვეთაზე. ამ დროისთვის დადგენილია, რომ როინ ფარტენაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას. მძღოლი არ დაემორჩილა საგზაო ნიშანს „გზა დაუთმე“ და „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც ვალერი თელია მართავდა, ავარიული სიტუაცია შეუქმნა. ექსპერტიზის შედეგად, როინ ფარტენაძე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა, რის საფუძველზეც შედგა შესაბამისი საჯარიმო ოქმი. მძღოლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილითა (მანევრირების წესების დარღვევა, რასაც საავარიო ვითარების შექმნა მოჰყვა) და 116-ე მუხლის 1-I ნაწილის (საჭის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის დროს) თანახმად დაჯარიმდა“.**

როინ ფარტენაძე აცხადებს, რომ ალკოჰოლი მხოლოდ წინა დღეს მიიღო, ინციდენტის დროს ნასვამი არ ყოფილა და ვალერი თელიას მხრიდან სიტყვიერ მუქარასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე საუბრობს: **„თელიას გზა დავუთმე, უწყვეტი სიგნალით გზაჯვარედინი რომ გადაკვეთა, მინა ჩამოწია და მითხრა: შენ, იცი, რას გიზამ, ბიჭო? გავაჩერე ავტომობილი, თვითონაც მოვიდა, მაჯანჯღარებდა და ამ გაწამაწიაში ხელი უკან წაიღო, არ ვიცი, რისთვის.. შემდეგ ჩემი თანამშრომელი გადმოვიდა მანქანიდან და ბოლოს პოლიცია გამოიძახეს. თელიამ ხელი მკრა და სიგარეტის ნამწვი მესროლა“.**

საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძე გრიბოედოვის ქუჩაზე მომხდარი ფაქტის ობიექტურად გამოძიებას ითხოვს: **„შსს აქცენტს აკეთებს მხოლოდ საია-ს მძღოლის ნასვამ მდგომარეობაზე და არაფერს ამბობს უწყების მაღალჩინოსნის ქმედებაზე. მოვუწოდებთ შსს-ს, მისი სისტემის მაღალჩინოსნის ქმედებითაც დაინტერესდეს და გამოძიება ობიექტურად აწარმოოს“.**

კოჟორიძემ მათი მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის ან ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში, მზადყოფნა გამოთქვა, გათვალისწინებული ჯარიმა საია-მ გადაიხადოს და დამატებითი იმფორმაციის მოპოვების შესაძლებლობაც არ გამორიცხა, კერძოდ, ინციდენტის ადგილზე განთავსებულ აფთიაქთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის მეშვეობით. **„მივმართავ შსს-ს, ეს ვიდეომასალა გამოითხოვოს. იმედია, ის არ გაქრება და საზოგადოებას მიეწოდება სრული ინფორმაცია“.**

მოგვიანებით, შსს-მ ინციდენტის ადგილის მიმდებარედ, გრიბოედოვის ქუჩაზე, „ავერსის“ აფთიაქთან დამონტაჟებული ვიდეო სათვალთვალო კამერის ჩანაწერი გაავრცელა. სამინისტროს განცხადებით, ვიდეოკონტროლის მიერ გადაღებული მასალა 28 მარტს, 10:40 საათზე მომხდარ ფაქტს სრულად ასახავს: **„ჩანს, თუ როგორ დაარღვია „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის მძღოლმა როინ ფარტენაძემ საგზაო მოძრაობის წესები და „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც ვალერი თელია მართავდა, ავარიული სიტუაცია შეუქმნა. კადრებში ჩანს, რომ აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებისთვის ფიზიკური შეურაცხყობა არ მიუყენებია. აღნიშნულ ფაქტს შსს-ს გენერალური ინსპექცია იკვლევს“.**

„ვერსიანიუსი“

ეროსუდან შელია
557-100-768

„შუაზე რომ გასკდნენ, პირად თავისუფლებას ვერასოდეს შევველევი“

რაში არ ეთანხმება ბიძინა ივანიშვილს, ვის მიმართ არ იქნება ლიბერალი და როდის დატოვებს უმრავლესობას ზაზა პაპუაშვილი



ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება — დავით უსუფაშვილი პარლამენტში მსახიობების შეყვანას არ მირჩევს, რადგან დეპუტატებიდან სამი ადამიანიც კი ვერ მეხმარებაო, შეურაცხყოფად არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მიიჩნევს, რომ ორი ადამიანის პირადი საუბარი საჯარო განხილვის თემა არ უნდა გამხდარიყო. რა საკითხებში არ ეთანხმება მმართველ გუნდს, რატომ ატარებს ყურადღებისმიღმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და როგორ წარმოუდგენია ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკური კოჰაბიტაცია — „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, მსახიობი ზაზა პაპუაშვილი პასუხობს.

— დღეს პარლამენტში 17 ხელოვანი დეპუტატია... არ მესმის, რა მნიშვნელობა აქვს, მსახიობი ხარ თუ იურისტი, რადგან რეჟიმის წინააღმდეგ ერთად ვიბრძოდით, რაც სიცოცხლის ფასადაც გვიჯდებოდა. არ ვამბობ, რომ ამის საფასურად პარლამენტში უნდა შევსულიყავი, მაგრამ პროცესებში პოლიტიკოსებზე ნაკლებად არასოდეს ვერკვეოდი. მეტიც, ხელოვანებს კალთები არავისთვის დაგვიხევია, არც კარი აგვიტალახებია, გინდათ თუ არა, პარლამენტში შეგვიყვანეთ-მეთქი. ზოგიერთი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, იმდენი რეიტინგი კი გვქონდა, ხალხთან მივსულიყავით.

— როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილისა და დავით უსუფაშვილის პირადი საუბარი თქვენთვის არც ისე სასიამოვნო იყო...

— არა, ვერ ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადება შეურაცხყოფად აღვიქვი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი პასუხიც სხვანაირი იქნებოდა. უბრალოდ, საზოგადოებისთვის ორი ადამიანის პირადი საუბარი გახდა ცნობილი, რასაც პირადად არ გავაკეთებდი. მესმის, შეიძლება, დავით უსუფაშვილმა ბიძინა ივანიშვილს უთხრა, პარლამენტში ხელოვანები აღარ გვჭირდება, იურისტები შევიყვანოთო, მაგრამ ამის გახმაურებამ საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერპრეტაცია გამოიწვია.

— ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბიძინა ივანიშვილმა თანაგუნდელებთან პირადი საუბრები გაასაჯაროა. ფიქრობთ, მისი განცხადებები გაუმართლებელია?

— გააჩნია, სათქმელს ვინ, როგორ და რა ფორმით გამოხატავს. ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ საზოგადოებასთან გულწრფელად უნდა ისაუბროს. ამასთან, პოლიტიკაში არსებულ დაშტამპულ აზროვნებაში მეტი სიხალასისა და ადამიანობის შტრიხების შეტანაც უნდა. როგორც ჩანს, მას ეს მეთოდი მიაჩნია გამართლებულად, თუმცა არის საკითხები, რაშიც არ ვეთანხმები და განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ვიმეორებ, პარლამენტში მოღვაწეობას მართლაც, სჭირდება გარკვეული დონის გამოცდილება. ისიც ფაქტია, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 20-წლიანი სტაჟის მქონე დეპუტატებმა ქვეყანა დანგრევის პირას მიიყვანეს. ასე რომ, კითხვა — ვინ უფრო საჭიროა პარლამენტში? — შედარებით ფრთხილად უნდა დაისვას. ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ხელოვანები პარლამენტში მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ.

— იქნებ, დააკონკრეტოთ, თქვენი და კოალიციის შეხედულებები რა საკითხებთან დაკავშირებით არ ემთხვევა?

— ამას ახლა ვერ ვიტყვი, რადგან ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვარ. ჩემ ყველა ნაფიქრალს, ნააზრევსა თუ ეჭვსაც ვერ გაგანდობთ.

> **არ მჭირს სენი, პრემიერის თვალში უკეთესი გამოვჩნდე. ვარ ის, რაც ვარ და პოლიტიკაში ჩემი გამოცდილებით, აღზრდითა და ფიქრებით მოვედი. თავს ყოველთვის ვახსენებ, რომ პოლიტიკამ არ უნდა შემცვალოს და ის სულისკვეთება შემრჩეს, რითაც სააკაშვილის გაძაღლებულ რეჟიმს ვებრძოდი. სხვათა შორის, ეს რეჟიმი ჯერ კიდევ ბოლომდე დასამთავრებელია და ბევრ კითხვაზე პასუხი კვლავ კიდევ გასაცემია. ასე რომ, ჩემთვის უმთავრეს პრიორიტეტს სამართლიანობის აღდგენა და ქვეყნის მომავალი წარმოადგენს. ვინც ამ პრინციპს დაარღვევს და ვირის დაბმას სხვანაირად შეეცდება, მერწმუნეთ, მათ მიმართ ჩემი რეაქცია ლიბერალური არ იქნება.**

— უმრავლესობიდან, სოსო ჯაჭვლიანის შემდეგ, მეორე ხელოვანი ხართ, რომელიც ნაციონალური მოძრაობის დაუსჯელობის შემთხვევაში, გუნდის დატოვებით იმუქრება. ამ აზრს თქვენი კოლეგებიც იზიარებენ?

— იცით, პოლიტიკოსი ყოველთვის ცდილობს, მოზომილად ისაუბროს, თუმცა არ ვამბობ, რომ თავისუფლება მეზღუდება. სულ რომ შუაზე გასკდნენ, პირად თავისუფლებას ვერასოდეს შეველევი. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ წინ მივდივართ, რაც მაძლევს უფლებას, ბევრი რამ ყურადღების მიღმა გავატარო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვალს ვხუჭავ, უბრალოდ, გაგებით ვეკიდები ფაქტს — 6 თვეში ყველა სირთულის გადალახვა შეუძლებელია.

> **ვაღიარებ, არის შემთხვევები, როცა ადამიანური ემოცია მძლევს და თანაგუნდელებისგან დამნაშავე ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ მეტ პრინციპულობასაც ვითხოვ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში სამართლიანობა ვერ აღდგება. დიახ, გიდასტურებთ, თუ შევამჩნევ, რომ ჩვენი გუნდისთვის სამართლიანობის აღდგენის პრინციპი მეოთხეხარისხოვანი გახდა, ჩემი ადგილი მათ გვერდით არ იქნება. არავინ იფიქროს, ხელისუფლებაში შურისსაძიებლად მოვედი, უბრალოდ, ვლოცულობ ისეთ ქვეყანაზე, სადაც სიმშვიდე იქნება და კანონი იზეიმებს. უნდა გავიაზროთ, რომ ლიბერალობა დოყლაპიობას არ ნიშნავს.**

— კობა დავითაშვილის პათოსს იზიარებთ, რომელმაც სამართლიანობის აღდგენის პროცესში ხელისუფლების უმოქმედობა დოყლაპიობად შეაფასა?

— არ ვიცი, დავითაშვილმა რა თქვა, მაგრამ ვიმეორებ — ლიბერალობა დოყლაპიობასა და უნიათობას არ ნიშნავს. პირიქით, კანონმორჩილი უნდა იყო, მაგრამ პარალელურად, ის პრინციპები დაიცვა, რისთვისაც ხელისუფლებაში მოხვედი. ჩემთვის გამაღიზიანებელია იმ ადამიანების არსებობა, რომლებიც ნებისმიერ მთავრობას ერგებიან, ადრე ხელკეტებს გვირტყამდნენ, დღეს კი თანამდებობას ინარჩუნებენ და შოკოლადსაც მიირთმევენ. ქვეყანაში, ერთხელ და სამუდამოდ, ყველაფერს თავის სახელი ხომ უნდა დაერქვას?!

— თანაგუნდელებს ეკითხებით, წინა ხელისუფლების რეჟიმის წარმომადგენლებთან მეტ პრინციპულობას რატომ არ იჩენენ?

— ახლა საზოგადოების ზრდის პროცესი მიმდინარეობს, თანაც ქვეყანას, როგორც საცირკო სანახაობას, არ უნდა შევხედოთ. ეს ცოცხალი პროცესია — სადღაც შეიძლება, დროებით დამარცხდე, მაგრამ აუცილებლად წინსვლა უნდა გააგრძელო. საქართველომ 1 ოქტომბერს უზარმაზარი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ფაქტია, შემდგომი პროცესი ბევრად რთული აღმოჩნდა. ნაციონალებმა ე.წ. სამართლიანობის აღდგენა ერთ დღეში „მოახერხეს“, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ გვინდა, მათ დავემსგავსოთ. გარწმუნებთ, საზოგადოების უხილავად, დღეს ქვეყანაში კანონიერებას საფუძველი ეყრება, რომელიც ხელფასსა და პენსიას გვაძლევს, დემაგოგებისგან გვიცავს... უნდა გავიაზროთ, რომ კანონი ვიღაცების „ხოშს“ ვერ მოერგება. ქვეყნის მშენებლობას სიმშვიდე სჭირდება, რასაც ვუფრთხილდებით. სხვა საკითხია, სიფრთხილე რამდენად ძვირად გვიჯდება — თავი კბილებით გვიჭირავს, რადგან მოთმინების ზღვარზე ვართ. ასე რომ, როცა სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობ, არ ვგულისხმობ, რომ პოლიტიკაში სეირისა და საცირკო სანახაობის ყურების მოლოდინი უნდა გვქონდეს.

— საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ორ ძალას შორის დაპირისპირება, მართლაც, პოლიტიკურ საცირკო სანახაობას დაემსგავსა. ახლა, როცა შეთანხმება მიღწეულია, ნაციონალებთან კოჰაბიტაცია რეალურად წარმოგიდგენიათ?

— საერთოდ, ეს სიტყვა არ მომწონს. სამწუხაროა, რომ ადამიანები, რომლებიც ქვეყანას ღალატობდნენ, მოსახლეობას ჩაგრავდნენ და აუპატიურებდნენ, დღეს პოლიტიკაში არიან. მათი მოსვლა ხელისუფლებაში, ქართველების სერიოზული შეცდომა იყო. ნაციონალებმა ზოგი მოკლეს, ზოგი ცოცხებით გააუპატიურეს და დღეს ქვეყნის ერთგულებაზე გველაპარაკებიან. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ამ შემთხვევაში მთავარი შედეგია — მიხეილ სააკაშვილს მის მიერ მიღებული კონსტიტუციური უფლება ჩამოერთვა, რასაც თავადვე მოაწერა ხელი. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამ საკითხის ირგვლივ პოლიტიკური გრადუსი არ უნდა აწეულიყო, მაგრამ ისიც არ არის დასამალი, რომ კოალიციას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვქონდა.

— მაშინ რატომ ამტკიცებდით, რომ ნაციონალების გარეშეც, მარტივად შეძლებდით პარლამენტში ცვლილებების გატანას?

— ამას მე არ ვამტკიცებდი, მეტიც, ვფიქრობდი, რომ ნაციონალების ხმები მეორეხარისხოვანი სულაც არაა. ასეა თუ ისე, შედეგი გვაქვს, თანაც, პარლამენტმა პრესტიჟი ბოლომდე დაიცვა და პრეზიდენტი ცვლილებების მიღებამდე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობაში არ შემოუშვა. კაცს, რომელიც კონსტიტუციას პატივს არ სცემს და უმრავლესობის აზრიც არ აინტერესებს, იმის უფლება არ აქვს, ხალხის რჩეულებთან მივიდეს.

— თუმცა მოგვიანებით, ამ გადაწყვეტილების გამო, მმართველ გუნდს დასავლეთთან თავისმართლება მოუწია...

— საკონსტიტუციო ცვლილებები ხელმოწერილია. ახლა ნამდვილად აქვს პრეზიდენტს უფლება, პარლამენტში მოვიდეს და დაგველაპარაკოს. აქცენტს გამუდმებით დასავლეთზე ნუ ვაკეთებთ, რადგან ჩვენთვის მთავარია, რას იტყვის ქართველი ხალხი. რასაკვირველია, დასავლეთს ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ თითის, ქნევით ლაპარაკის უფლება არ აქვთ, ყურის აწევას ვერავისგან მოვითმენთ! ასე სააკაშვილის დროს გველაპარაკებოდნენ, როცა ქვეყანას თავმოყვარეობა არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ნაციონალებთან პირადი გადაკვეთა არასოდეს მქონია, ადრე მხოლოდ ტელევიზორში ვუყურებდი მათ სითავხედეს და როცა ნერვები მეშლებოდა, სხვა არხზე ვრთავდი. სამწუხაროა, დღეს ამის შესაძლებლობა არ მაქვს. ამ გუნდმა ქვეყანას უზარმაზარი შეურაცხყოფა მიაყენა. ვფიქრობ, ისინი პოლიტიკაში დიდხანს ვერ დარჩებიან.

ვერსიანიუსი

100 კვსაათამდე ელექტროენერგიის მომხმარებელს ტარიფი კიდევ უმცირდება

100 კვ/საათამდე ელექტროენერგიის მომხმარებლებს ტარიფი ნახევარი თეთრით შეუმცირდება, — აცხადებს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე. მისი თქმით, მთავრობის სხდომაზე გატანილი იყო ახალი მემორანდუმების გაფორმების საკითხი „ენერგო პრო ჯოჯრიასთან“ და „თელასთან“.

მინისტრის განმარტებით, მოლაპარაკებები დასრულებულია და გაფორმდება ხელშეკრულებები ოთხი წლის ვადით „თელასთან“, ხოლო ორი წლით „ენერგო პრო ჯორჯიასთან“, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიის ტარიფები იგივე დარჩება: **„ერთადერთი ცვლილება შეეხო იმ აბონენტებს, ვინც 100 კვ/საათამდე ელექრტოენერგიას მოიხმარდა, მათ ტარიფი კიდევ ნახევარი თეთრით, ანუ ჯამში 4 თეთრით უმცირდებათ“.**

მინისტრისვე ინფორმაციით, „თელასისა“ და „ენერგო პრო ჯორჯიას“ საინვესტიციო ვალდებულებები ძალაში რჩება და ტარიფები მხოლოდ კომპანიების ამონაგების ხარჯზე შემცრიდა.

„ინპრეპრესნიუსი“

ყოფილი მაღალჩინოსნის პირადი სკანდალური წერილები

რა კომპრომატებს აწვდიდნენ ერთმანეთს სამართალდამცავები და ნაციონალების კოორდინატორები მათთვის მიუღებელი პირების შესახებ

ეთორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

სკანდალური წერილები, კომპრომატების ძიება და ე.წ გაჩალიჩებები ნაციონალური მოძრაობისთვის მიუღებელ პირებზე. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ოთარ ჩრდილელი ძალოვანი უწყების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის პირად წერილებს აქვეყნებს. ჩრდილელის მტკიცებით, ეს არჩევნების წინ შედგენილი მონაცემებია, სადაც, სავარაუდოდ, სამართალდამცავები და ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები ერთმანეთს ოპოზიციის მხარდამჭერთა შესახებ ინფორმაციას აწვდიან, იქვე ახსენებენ მაკომპრომეტირებელ ფაქტებს. დეპუტატი ირწმუნება, რომ სკანდალური წერილი მას ძალოვანი უწყების ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა მიაწოდა.

ოთარ ჩრდილელი: „ეს არის წერილები, რომელსაც ძალოვანი უწყების ერთ-ერთი თანამშრომელი, სავარაუდოდ, თავის ზემდგომებს, ოპოზიციურად განწყობილ კონკრეტულ ადამიანებზე კონკრეტულ ფაქტებს აწვდიდა, თავად ეს ადამიანი კი, ალბათ, აღნიშნულ ინფორმაციას ნაცმოძრაობის კოორდინატორებისა და მხარდამჭერებისგან აგროვებდა. წერილებში ნაცმოძრაობისთვის მიუღებელი პირებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ დეტალური ინფორმაციაა, აღწერილია მათი წარსული, ამჟამინდელი საქმიანობა... აღნიშნული წერილები წინასაარჩევნო პერიოდშია შედგენილი და წინა წლის მაისით თარიღდება“.

ჩრდილელის მტკიცებით, სავარაუდოდ, ძალოვანი უწყების თანამშრომლები აღნიშნულ ინფორმაციას საკუთარი საქმიანობისთვის იყენებდნენ. წერილებში საუბარია კოდური სიტყვებით, რა და როგორ უნდა „გაეჩალიჩებინათ“ ამ ადამიანებისთვის, ზიანის მისაყენებლად.

„სწორედ მსგავსი ინფორმაციების შეგროვების შემდეგ აშანტაჟებდნენ ნაცმოძრაობისთვის მიუღებელ პირებს. წერილებში საუბარია კოდური სიტყვებით. მაგალითად „შეიძლება გავუჩალიჩოთ „ტბა“, „წყალკანალი“... ვერ გეტყვით, რას ნიშნავს ეს ტერმონილოგია, თუმცა, ცხადია, ამ სიტყვებით ერთმანეთს უთანხმებდნენ, როგორ მიეყენებინათ ზიანი ოპოზიციის მხარდამჭერებისთვის“.

წერილებში საუბარია საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ დეპუტატ გია ცაგარეიშვილზეც. თავად ცაგარეიშვილი ამბობს, რომ მისთვის უცხო არ არის, მასა და მის მეგობრებზე ან ოჯახის წევრებზე ინფორმაციას რომ აგროვებდნენ და ამის შესახებ არაერთხელ სმენია: **„ნამდვილად არ მიკვირს, რომ ვინმე ჩემზე ან ჩემს ახლობლებზე ინფორმაციას აგროვებდა. ადამიანი, ვისთან ერთადაც წერილებში ვარ ნახსენები, ნამდვილად არ მახსენდება. აქციებზე და კარვებში ბევრი პიროვნება დადიოდა. არ არის გამორიცხული, ვინმე შემოგზავნილი ყოფილიყო. ბევრჯერ გამიგია, რომ ჩემზე ინფორმაცია გროვდებოდა, თუმცა ამას არასოდეს შეუშინებივარ. მე ვიცი ნაციონალების მეთოდები, როგორ მოქმედებდნენ ისინი, როგორ აშინებდნენ და აშანტაჟებდნენ ხალხს... ეს მათი სახეა და ამაში გასაკვირი არაფერია“.**

წერილში ნახსენებია ასევე ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე და მისი ბიძა. **„ნამდვილად არ ვიცოდი, თუკი მსგავს წერილებში ბიძაჩემის გვარიც ფიგურირებდა, თუმცა ეს გასაკვირი არც არის“,** — აცხადებს ხუნდაძე.

ოთარ ჩრდილელი კი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული წერილებით გამოძიება დაინტერესდეს. მისი აზრით, „ნამდვილად უნდა დაისაჯოს ის, ვინც სხვის ცხოვრებაში ერეოდა“.













თელავის რაიონული პროკურორის მოადგილეს ბრალი წაუყენეს

თელავის რაიონული პროკურორის მოადგილე, პროკურორი ზურაბ ჯავახიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ხათუნა პაიჭაძემ განაცხადა, რომ ზურაბ ჯავახიშვილს ბრალად ედება სამსახურებრივი გულგრილობა, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმე ეხება ალექსანდრე ბახუტოვის ბრალდებას, რომლის მიხედვითაც, 2007 წლის 24 აგვისტოს იგი დამნაშავედ სცნეს ლაშა ჩოფიკაშვილის განზრახ მკვლელობაში მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ცოცხალი იყო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოში, აღნიშნულ საკითხზე გამოძიება 2012 წლის 26 დეკემბრიდან მიმდინარეობდა, რის შედეგადაც, დადგინდა, რომ 2007 წლის 27 ივნისს, შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ალექსანდრე ბახუტოვის მიერ ლაშა ჩოფიკაშვილისთვის სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე. საქმეზე, საპროცესო ხელმძღვანელი იყო კახეთის საოლქო პროკურატურის შსს-ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი ზურაბ ჯავახიშვილი.

იმ პერიოდში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 15 ივნისს, დაახლოებით 18:00 საათზე, ალექსანდრე ბახუტოვმა თელავის რაიონის სოფელ ფშაველში, მეცხოველეობის ფერმაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკლა ლაშა ჩოფიკაშვილი, გვამი კი ნაცნობების: ვეფხო ხაჩოშვილის, ალექსი ცოციაშვილის და ასლან გაუარაშვილის დახმარებით, მდინარე სტორში გადააგდო. გვამი წყალმა წაიღო და ვერ იპოვეს, 2007 წლის 26 ივნისს კი, ალექსანდრე ბახუტოვი განზრახ მკვლელობის, ხოლო ასლან გაუარაშვილი, ალექსი ცოციაშვილი და ვეფხო ხაჩოშვილი განზრახ მკვლელობის დაფარვის ბრალდებით დაიკავეს. 2007 წლის 24 აგვისტოს, პროკურორმა ზურაბ ჯავახიშვილმა ალექსანდრე ბახუტოვთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რაც დაამტკიცა თელავის რაიონულმა სასამართლომ. სასამართლოს განაჩენით, ბახუტოვს განზრახ მკვლელობისათვის მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2007 წლის 29 აგვისტოს, პროკურორმა ზურაბ ჯავახიშვილმა, ასლან გაუარაშვილის, ალექსი ცოციაშვილის და ვეფხო ხაჩოშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, განზრახ მკვლელობის დაფარვისთვის, განსახილველად გადასცა თელავის რაიონულ სასამართლოს.

2007 წლის 1 ოქტომბერს, გამოძიების მიერ მოკლულად გამოცხადებული ლაშა ჩოფიკაშვილი ცოცხალი აღმოჩნდა, თუმცა ამის მიუხედავად, 2007 წლის 22 ნოემბერს, ზურაბ ჯავახიშვილმა საპროცესო შეთანხმებები გაუფორმა ასლან გაუარაშვილს, ალექსი ცოციაშვილსა და ვეფხო ხაჩოშვილს, რომლებიც იმავე დღეს, თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენით, განზრახ მკვლელობის დაფარვის გამო დამნაშავეებად სცნეს და შეუფარდეს პირობითი მსჯავრი.მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროკურორმა ზურაბ ჯავახიშვილმა, დასახელებული მსჯავრდებულების ბრალდების საქმეებზე ჯეროვნად ვერ შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა, საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო. ზურაბ ჯავახიშვილმა არ დაადგინა ლაშა ჩოფიკაშვილის სიკვდილის უტყუარი ფაქტი და არ გამოიკვლია საქმის არსებითი გარემოებები. გვამი მდინარეში 2007 წლის 16 ივნისს გადააგდეს, ხოლო ალექსანდრე ბახუტოვს ბრალი განზრახ მკვლელობისთვის, 2007 წლის 28 ივნისს, 12 დღის შემდეგ წაუყენეს, საპროცესო შეთანხმება კი 2007 წლის 24 აგვისტოს გაუფორმეს — მდინარეში გვამის გადაგდებიდან 2 თვისა და 8 დღის შემდეგ. ამ დროს, გვამის გაუჩინარება ისეთ მცირეწყლიან მდინარეში, როგორიც სტორია, დაუჯერებელი იყო. პროკურატურაში განმარტავენ, რომ ჯავახიშვილის მიერ ალექსანდრე ბახუტოვისა და სხვა სამი პირის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა სცილდებოდა ყოველგვარ საღ აზრს, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები იყო უკიდურესად წინააღმდეგობრივი და სრულიად ალოგიკური ესოდენ მძიმე ბრალდებების წასაყენებლად. პროკურორ ზურაბ ჯავახიშვილის დაუდევარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია დასახელებული პირების უკანონო მსჯავრდება არჩადენილი დანაშაულისთვის, რითაც არსებითად დაირღვა მათი კანონიერი უფლებები, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები და შეილახა პროკურატურის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოს პრესტიჟი.

„ინტერპრესნიუსი“

„ეს ამბავი არავინ იცის! მეც პატიმარმა მიამბო...“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საპატრიარქოს ბიუჯეტის ფინანსური გამჭვირვალობა აქტუალური თემა, კიდევ ერთხელ, მას შემდეგ გახდა, რაც 1 წლის გოგიტა აბაშიძის სიკვდილის მიზეზებზე საუბრისას, საზოგადოების ნაწილმა ბრალი ეკლესიასაც დასდო — არასაკმარისი სოციალური პროექტები აქვს 25-მილიონიანი ბიუჯეტის პირობებშიო. მეორე ნაწილმა პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელის, ლაშა ჟვანიას ინიციატივა გააპროტესტა — მარხვაში, ხორცის ხარჯზე ქველმოქმედების შესახებ. პრობლემად სახელდება სხვადასხვა პარტიებისა და ლიდერების მომხრე-მოწინააღმდეგე სასულიერო პირთა პოლიტიკური ქადაგება ტაძრების ამბიონიდან და მათი აგრესიული ჩართულობა პოლიტიკურ ბატალიებში. ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ვერსიის“ კითხვებს ჯვართამაღლების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე პასუხობს.

რა გაუმხიდა პატრიარქის შესახებ „ვერსიას“, რატომ ვერ გამოვიდა ქართული საზოგადოება „მამა ოხროხინეების“ ეპოქიდან და სად ურჩევს მისვლას სასულიერო პირებისგან განაწყენებულ მრევლს მამა თეოდორე გიგნაძე

— ვინ გადაწყვიტა, რომ მღვდელი განდგომილი უნდა იყოს პოლიტიკური ცხოვრებისგან? ვის აქვს უფლება, გადამიწყვიტოს, ჩავერევი თუ არა პოლიტიკაში?! სხვა საკითხია, რამდენად სწორი იქნება ჩემი ჩარევა სასულიერო კუთხით. როცა ორი დაპირისპირებული მხარეა, უნდა გავიაზრო, რომ ორივეს ვჭირდები, როგორც სულიერი მოძღვარი. ჩემს მრევლში „ოცნების“ ძალიან ბევრი წარმომადგენელი იყო, მაგრამ იყვნენ საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მყოფი ნაციონალებიც. ურთიერთობისას არანაირი პრობლემა არ გვქონია, უბრალოდ, ეკლესიას თავისი შიდაკანონი აქვს, რომლითაც ქცევის წესებს არეგულირებს.

— მღვდელი აქციაზე, პარტიული დროშით ან საეკლესიო ამბიონიდან პოლიტიკური გამოსვლით — ეს ნორმალურია?

— მე დავდიოდი აქციებზე, რომელსაც „ოცნება“ მართავდა, ოღონდ მხარს ხალხის აღშფოთებას ვუჭერდი ხელისუფლების უზნეობის წინააღმდეგ და მუდმივად ვუსვამდი ხაზს, რომ პოლიტიკური მხარე არ ვიყავი. მღვდელი რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს შიშველ მხარდაჭერას არ უნდა უცხადებდეს, მით უმეტეს, ამბიონიდან. არ შეიძლება მე, როგორც სასულიერო პირი, თუნდაც გენიალურ ლიდერს მივეტმასნო. ქრისტე უნდა ვიქადაგო და არა რომელიმე პოლიტიკური ლიდერი.

— განსჯის თემა მუდმივადაა „პრადოს“ ჯიპები, საპატრიარქოს ბიუჯეტი, 25 მლნ ლარი, რომელიც საზოგადოების ნაწილის აზრით, გაუმჭვირვალეა...

— მონასტერში მეც დავდივარ და იქ დიდი მანქანის გარეშე ვერ ავალ, ისეთი ტალახია. რაც შეეხება ძვირადღირებულ მანქანას — მე რატომ მთხოვ პასუხს? ვისაც ასეთი მანქანა აქვს, იმას ჰკითხე. რატომ ვაზოგადებთ თემას? ეკლესიის შემოსავლით ამის ყიდვა გამორიცხულია, გამოდის, აჩუქეს. ისე, წინა ხელისუფლებისგან ამ საჩუქარს მე არ ავიღებდი!

— ამ ხელისუფლებისგან აიღებთ?

— არა! თუმცა ჩვენი ტაძრის გალავანი წინა ხელისუფლებამ ააშენა, განათებაც გაგვიკეთა... ეს რომ პირადად ჩემი საჩუქარი იყოს, არ ავიღებდი და ანგარიშვალდებული არავის წინაშე გავხდებოდი. წინა ხელისუფლებას ჰყავდა მომხრე მღვდლები. როცა მოვიდნენ და გალავანი გამიკეთეს, მათთვის მადლობაც არ მითქვამს. ვთქვი: ეკლესია ყველასია, ღმერთმა შეგიწიროთ-მეთქი და დამთავრდა. არავის ეგონოს, ამით მე მიკეთებს რამეს. იგივე დამოკიდებულება მაქვს ამ ხელისუფლების მიმართაც, ან საპატრიარქოს ბიუჯეტზე ადვილი გადასამოწმებელი რა არის? იმდენი სასწავლო ცენტრია საქართველოში, ბიუჯეტი, შესაძლოა, მათ შენახვას არ ეყოს. სიამოვნებით გავაკეთებდი საღვთისმეტყველო, თანამედროვე-მისიონერულ სასწავლო ცენტრს, რისი პოტენციური შესაძლებლობაც გვაქვს, მაგრამ დაფინანსება არაა. 25 მლნ დიდი რიცხვია, თუ წარმოიდგენ, რომ ერთ ადამიანს ეკუთვნის. აბა, ამდენ ეპარქიასა და სასწავლო ცენტრზე გაანაწილეთ? ვინმემ დაიანგარიშა? თუ დაითვლიან, აღმოაჩენენ, რომ ამ საქმეს 25 მლნ არ ჰყოფნის! ერთმა ადამიანმა თქვა, სამებას ოქროს გუმბათი რომ აქვს, ბარემ, ის მოვხსნათ, მშიერ ბავშვებს დავუნანილოთ, მერე ეს ადამიანები გაიზრდებიან, შუშის ხიდზე გადავლენ და შუშის კაზინოში ჩავლენო. შე დალოცვილო, ხიდში ამხელა თანხა დახარჯე, რომლითაც ერთი უზნეობა „ბუდა ბარიდან“ მეორე უზნეობა — კაზინოში გადადიხარ და ამის ხარჯზე უნდა მოვხსნათ გუმბათები ეკლესიას?!

— ერთი წლის ბავშვის შიმშილით სიკვდილმა ხალხში კითხვა გააჩინა: რას აკეთებს ამხელა ფინანსების მქონე ეკლესია სოციალურად დაუცველი ბავშვების დასახმარებლად — ეკლესიის მთავარი როლი მშიერი ადამიანების დაპურებაა?

— ეკლესიის უმთავრესი როლი მშიერი ადამიანის დაპურება არ არის. პავლე მოციქული ამბობს — მთელი ჩემი ქონება რომ გავცე და ბოლოს საკუთარი თავი მივცე დასაწვავად, თუ სიყვარული არ მექნება, არაფერი ვარო. ეკლესია იმისთვისაა, ადამიანებს ის სიყვარული ასწავლოს, რომელიც ქველმოქმედებაზე არ დაიყვანება. ეკლესიამ ადამიანს კაცად მოსული ღმერთი უნდა დაანახოს. მისი უმთავრესი როლი ადამიანების ღმერთთან მიყვანაა. აი, ამის შემდეგ, როცა საშუალება აქვს, გაჭირვებულსაც უნდა დაეხმაროს. არც ისაა ნორმალური, ხმამაღლა ილაპარაკო, რამდენს გაუმართე ხელი.

ამას წინ, ერთ საპატიმროში ვიყავი, სადაც პატრიარქი იყო მოსული და რამდენიმე ათასი დოლარი გადასცა პატიმრებისთვის ციხის ადმინისტრაციას. ეს ამბავი არავინ იცის! მე პატიმარმა მითხრა, რომელიც მძიმე ცოდვებით იჯდა და ახლა უკვე გამოსწორებულია. ჯერ მარტო რამდენი ადამიანის სული გადაარჩინა ეკლესიამ. საპატიმროებში მივიდნენ და ხალხს დაელაპარაკონ, რამდენი მკვლელი გამოსწორდა.

ჩემთან მოვიდა ვინმე და მითხრა, სადღაც, მთიან აჭარაში იმ ბავშვს საბუთი არ აქვსო და არ დავეხმარე?! რა სახელმწიფო პროგრამა ან ივანიშვილის პირადი მილიარდები ეყოფა საქართველოში სიღარიბის პრობლემის დაძლევას? აი, ახლა, მე მაქვს საპირისპირო კითხვა იმ ხალხთან, ვინც ეკლესიას ხმალამოღებული ებრძვის — რითი ცხოვრობენ, რა გრანტებს იღებენ, რით ერთობიან, სად და როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, რაში ხარჯავენ უდიდეს ხელფასებს? ეს გავარკვიოთ და მერე შევადაროთ მათი ცხოვრება ერთი რიგითი მღვდლის ცხოვრებას!

— აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ლაშა ჟვანიას ინიციატივამაც, მარხვის დღეებში ხორცსა და სხვა პროდუქტებზე დაზოგილი ფულით ქველმოქმედება უნდა გავაძლიეროთო. კითხვაც დაისვა — რატომ შენდება შეწირული თანხებით ახალი ეკლესიები და არა ბავშვთა სახლები?

— ეს ლაშა ჟვანიას ორიგინალური აზრი არ არის, ამას წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს მეოთხე საუკუნეში: თუ მარხვიდან რაღაც თანხები გამოგითავისუფლდა და ამ თანხით ადამიანს დაეხმარე, ეს იქნება ჭეშმარიტი მარხვაო. რა თქმა უნდა, ეს ნებაყოფლობითია. თბილისის ზოგ უბანში ტაძარი არ არის და ნუ ვიტყვით, რომ ახალი ეკლესია საჭირო არაა. მოსახლეობა რაც უფრო მორწმუნეა, მით კეთილშობილი ხდება და ალბათ, მის უბანში მშიერი ბავშვების რაოდენობაც მცირდება. ცუდი არაა ბავშვთა თავშესაფრის აშენება, მაგრამ ორგანიზაციულად, ეს საპატრიარქოსი კი არა, უფრო მდიდარი მამულიშვილების საქმე მგონია. ჩემს მრევლში ახლა ორი ადამიანი გამახსენდა, რომლებმაც რაღაც თანხები მოიძიეს და ადამიანებს უფასოდ აჭმევენ.

— ხშირად, ამ კითხვებს სწორედ მორწმუნეები სვამენ. რა აზრი აქვს, წლიდან წლამდე ისეთი მრევლის მატებას, ვისაც ეკლესიის მთავარი როლი დღესაც ქველმოქმედება ჰგონია?

— ერთი მხრივ, გასახარია, როცა ახალგაზრდობა ეკლესიაში დადის. მეორე მხრივ, რელიგიურობის ხარისხი ძალიან დაბალია. ამაში ჩვენი ლომის წილიცაა, რადგან ეკლესია ღმერთთან ურთიერთობის სკოლაა და თუ მე, პედაგოგმა, ეს საგანი არ ვიცი, მოსულს ვერ ვასწავლი. ესაა სწორედ უკულტურობისა და პროვინციალიზმის გამოვლინება — ძველი ქართული ფილმების გმირებიდან, „მამაო ოხროხინეებიდან“ ვერ გამოსულან! სირცხვილია, დემოკრატიაზე თავს დებდე და საბჭოეთის იქით ვერ გაიხედო. არსებობს ზნეობრივი საკითხების შემსწავლელი კომისია საპატრიარქოში, რომელსაც 5 ეპისკოპოსი ხელმძღვანელობს. სასულიერო პირების საქციელით თუ ვინმეა შეწუხებული, ჩემთან მოვიდეს და მე გავუშვებ იმ კომისიაში, თორემ უვარგისი ყველგანაა! იუდა ნახეს და ხელი ქრისტესკენ გაიშვირეს — ეს რა ხალხი ჰყავდაო... თუმცა, მაინც ვფიქრობ — სასიხარულო ისაა, რომ ადამიანები მასობრივად, გულწრფელად ეძებენ ღმერთს.

„ნატახტარის“ საქველმოქმედო ფონდში 243 000 ლარი შეგროვდა

კომპანია „ნატახტარისა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ წარმომადგენლებმა ერთობლივი, საქველმოქმედო პროექტის „იზრუნე მომავალზე“ ერთი წლის შედეგები შეაჯამეს. ეს პროექტი „ფონდი ნატახტარის“ ეგიდით ხორციელდება და მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში ეხმარება.

რა პროფესიები შეარჩიეს მზრუნველობამოკლებულმა მოზარდებმა ფსიქოლოგების დახმარებით

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა, თორნიკე ნიკოლაიშვილმა აღნიშნა, რომ თანხის შეგროვების ორი წლის განმავლობაში 243 000 ლარი შეგროვდა, 2012 წლის თებერვლიდან დღემდე კი 133 000 ლარი დაიხარჯდა. რას გულისხმობს პროექტი „იზრუნე მომავალზე“? თორნიკე ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მზრუნველობამოკლებული მოზარდი სრულწლოვანი ხდება, სახელმწიფო მასზე ზრუნვას წყვეტს, თუმცა მცირე საოჯახო ტიპის სახლს ტოვებს 18 წლის ზრდასრული ახალგაზრდა, რომელსაც არც პროფესია აქვს და ვერც სამსახურს იწყებს:

„ჩვენი პროექტის ფარგლებში, ზრუნვას 16-დან 18 წლამდე მოზარდებზე ვიწყებთ, მათთან მუშაობას ფსიქოლოგები იწყებენ, რათა გაიგონ, კონკრეტულად, რა პროფესიის შესწავლა სურთ და რა უნარ-ჩვევები გააჩნიათ. ამის შემდეგ, მოზარდები იმ ხელობას ეუფლებიან, რაც თვითონ აირჩიეს, მაგრამ ჩვენ მათზე მზრუნველობას არ ვწყვეტთ, დასაქმებაშიც ვეხმარებით და როდესაც დავრწმუნდებით, რომ მოზარდი მზადაა, დამოუკიდებლად იცხოვროს, მხოლოდ ამის შემდეგ გადის პროექტის ფარგლებიდან“.

თორნიკე ნიკოლაიშვილის განმარტებით, პროექტის შემდგომ ეტაპზე, 15-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს შეარჩევენ. შესაბამისად, საქველმოქმედო პროექტს 144 ახალი მოზარდი დაემატება. მისი თქმით:

„თოთეულ მოზარდზე ინდივიდუალური ქეისი არსებობდა, ჩვენ კონკრეტულ კითხვას ვსვამდით, რა აინტერესებდა მას. მონაცემების შეგროვების შემდეგ, პროექტში მზრუნველის ნაწილი ერთვებოდა, ანუ ვიწყებდით დადგენას, რამდენად შეესაბამებოდა ამა თუ იმ მოზარდის სურვილი, მის რეალურ შესაძლებლობებს. ეს მოზარდები, ძირითადად, „ნატახტარსა“ და ჩვენს პარტნიორ კომპანიებში დასაქმდებიან, მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ მათი დასაქმება არ არის, მთავარია, მათ ყველა საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევა ჩამოუყალიბდეს, რათა სამომავლოდ, თვითონ განსაზღვრონ, კონკრეტულად, რა სფერო აინტერესებთ“.

„იზრუნე მომავალზე“, ფსიქოლოგთა გუნდის ხელმძღვანელმა მანანა ომარაშვილმა განაცხადა, რომ 2012 წლის განმავლობაში, პროექტში 72 მოზარდი იყო ჩართული, მათგან 10 მოზარდის საქმე დაიხურა, 5 უკვე მუშაობს, ხოლო 5 გოგონა გათხოვდა. დარჩენილი 62 მოზარდიდან, 4 დასაქმებულია, 10 მოზარდი მზადაა, მუშაობა დაიწყოს, 2 სექტემბრიდან დასაქმდება, ხოლო 6 ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება. მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს, ძირითადად, ინგლისურში, რუსულში, მათემატიკაში, ისტორიასა და ქიმია-ბიოლოგიაში ამზადებენ:

„ჩვენი ძირითადი მიმართულება პროფორიენტაცია პროფკონსულტაციაა, რათა მზრუნველობამოკლებულმა მოზარდებმა პროფესია აირჩიონ, ჩვენ იმაშიც ვეხმარებით, კონკრეტულად, რომელი პროფესია შეესაბამება ამა თუ იმ მოზარდს, თუმცა ამის პარალელურად, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდასაც დიდ დროს ვუთმობთ, რადგან მოზარდები ალკოჰოლურ სასმელზე ან სიგარეტზე არ იყვნენ დამოკიდებულები. ჩვენი გუნდის საბოლოო მიზანია, მას შემდეგ, რაც მზრუნველობამოკლებული მოზარდები 18 წელს მიაღწევენ, ცხოვრება დამოუკიდებლად განაგრძონ“.

პროექტის „იზრუნე მომავალზე“ სტატისტიკა ასეთია: ამჟამად, 23 მოზარდი ხელობას სწავლობს, სხვადასხვა საგნებში 36 მოზარდი ემზადება, სტაჟირება 17 მათგანმა გაიარა, მართვის მოწმობა კი სამმა მოზარდმა აიღო. რაც შეეხება პროფესიას, ფსიქოლოგებისა და კომპანია „ნატახტარის“ წარმომადგენლების განმარტებით, მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ისეთ ხელობას ასწავლიან, რაც საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე, უფრო მოთხოვნადი და მაღალ ანაზღაურებადია. შესაბამისად, მოზარდები ეუფლებიან ინტერნეტ-ტექნოლოგიების, ავტოშემკეთებლის, მზარეულის, მასაჟისტის, სტილისტისა და დურგლის პროფესიებს.

ფსიქოლოგებმა განმარტეს, რომ ვიდრე მოზარდები ამა თუ იმ ხელობას შეარჩევენ, ეკითხებიან, იმ კონკრეტულ რეგიონში ან ადგილზე, სადაც ბავშვთა სახლია განთავსებული, რომელი პროფესიაა უფრო პოპულარული და ვის ჰყავს მეტი კლიენტი. ამის შემდეგ, მოზარდის უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, პროფესიულ კოლეჯს შეარჩევენ, სადაც ხელობას ასწავლიან და საბოლოოდ, მუშაობასაც აწყებინებენ. დასავლეთ საქართველოში ისეთი შემთხვევაც დაფიქსირდა, რომ მოზარდმა, რომელმაც სტაჟირება ავტოსალონში გაიარა, მუშაობა იქვე დაიწყო კიდეც.

მაია მიშელაძე

უნივერსიტეტ „გორგასლის“ პროფესორები თსუ-ს რექტორის წინააღმდეგ გამოდიან

რაფომ ითხოვენ დექტორები განათლების მინისტრთან შეხვედრას და გაიზრდება თუ არა სწავლის საფასური კერძო სასწავლებლებში

მერაბ ბერიძე

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ პროფესორ-მასწავლებლები უმაღლესი სასწავლებლის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს ეხმაურებიან. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ბოლო პერიოდში გავრცელებულ პოზიციას, უმაღლეს სასწავლებელთა ნაწილის დახურვის საჭიროებასთან დაკავშირებით. ეკონომიკის დოქტორის, ვაჟა კაკაბაძის თქმით, თსუ-ს რექტორმა, ალექსანდრე კვიტაშვილმა გააკეთა არაკორექტული განცხადება, არ არის საჭირო ქვეყანაში ამდენი უმაღლესი კერძო სასწავლებელიო. მისივე თქმით, რეფორმა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

„გორგასლის“ პროფესურა აცხადებს, რომ აუცილებელია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა არსებობა, რათა შეიქმნას კონკურენტუნარიანი გარემო. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მხარს უჭერენ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ახალ სტანდარტებს, ე.წ. დვალის კონცეფციას, განათლების სამინისტროში მიმდინარე რეფორმებს და მიიჩნევენ, რომ ეტაპობრივად, არსებული ხარვეზებიც აღმოიფხვრება. მიუხედავად ამისა, მათ კომუნიკესთან დაკავშირებით, გარკვეული შენიშვნებიც აქვთ: **„ჩვენი აზრით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 3% ძალიან მცირე თანხაა იმისთვის, რომ პატარა თუ დიდმა უნივერსიტეტებმა ტენუარის სისტემით ჩამოყალიბება მოახერხონ. ასევე, საგრანტო სისტემა ბაზარზე მძაფრ კონკურენციას წარმოქმნის და შესაძლებელია, ბევრი უნივერსიტეტი დაიხუროს. ამას შეიძლება, მოჰყვეს უმუშევრობის დონის მატება და შესაბამისად, პროფესორ-მასწავლებლების ქვეყნიდან გადინება. ხშირად, სურვილები, რეალობა და შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვევა. მიგვაჩნია, რომ რეფორმა გარკვეული სტრატეგიით უნდა განხორციელდეს. შეიძლება, იყოს მოსამზადებელი, მერე გარდამავალი სტადია და ბაზარი ამის მიხედვით დაარეგულირებს პროცესებს. გარემო აჩვენებს, რამდენად მზად არის უნივერსიტეტი, გაუძლოს გამოცდას და პროცესი უფრო უმტკივნეულოდ და სამართლიანად ჩაივლის. როცა მივუერთდით ბოლონიის ხელშეკრულებას, პროცესი სწრაფად განვითარდა, რამაც სისტემას გარკვეული ზიანიც მიაყენა. ახლა მეორე რეფორმა იწყება და აჯობებს, ის ნელ-ნელა განხორციელდეს. მოხარულები ვიქნებით, თუ მინისტრი მიგვიწვევს და მოსალოდნელ რეფორმებს დეტალურად განვიხილავთ“.**

თავის მხრივ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოდო ჭულუხაძე ამბობს, რომ „გორგასალი“ თითქმის ორი ათეული წელია, საგანმანათლებლო სისტემაში წარმატებით მოღვაწეობს და ყველა პირობა აქვს დაკავებული ადგილის შესანარჩუნებლად: **„ჩვენი პროგრამები აკრედიტებულია და პროფესორ-მასწავლებლებს გააზრებული გვაქვს რეფორმის აუცილებლობაც. გარდაქმნა სკოლიდან უნდა დაიწყოს, აკადემიური პერსონალი, პროფესურა დამოუკიდებელი უნდა იყოს. მის მიერ შექმნილი პროდუქტი — განათლება ხარისხით უნდა გამოირჩეოდეს, რათა სტუდენტმა კონკურენციას გაუძლოს და ადგილი დაიმკვიდროს. გვესმის, რა სირთულეები იქნება ამ გზაზე. საერთაშორისოდ აღიარებული პროფესორების მოწვევა არც ისე ადვილი იქნება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, უნივერსიტეტი „გორგასალი“ ამ სივრცეში დარჩეს, სადაც ღირსეული ადგილი გვიკავია“.**

სამართლის პროფესორის, ზაურ ჯინჯოლავას თქმით, ადამიანი ყოველ ახალ წამოწყებას შეუძლებელია, არ დაეთანხმოს, მაგრამ აჩქარებაც არასწორია: **„ყველა მოვლენას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს... არაერთ ნაჩქარევ რეფორმას დაგისახელებთ, სადაც სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ. აჩქარება ყველა კერძო უმაღლეს სასწავლებელს ეკონომიკურ პრობლემას შეუქმნის. მაშინ სწავლის საფასური უნდა გაიზარდოს, ქვეყანაში კი არ არის ისეთი ეკონომიკური დონე, გაზრდილი საფასურის გადახდა შეძლოს მშობელმა. სასურველია რეფორმის ეტაპობრივად განხორციელება. ჩვენ დღევანდელ მოთხოვნებს ვაკმაყოფილებთ და მეტი ეკონომიკური საშუალება რომ გვქონდეს, პრობლემების მოგვარებაც უკეთ შეიძლებოდა, მაგალითად, უცხოელ სპეციალისტებს მოვიწვევდით. მოქმედი პედაგოგი იმას არ უნდა განიცდიდეს და ფიქრობდეს, ხვალ რა აჭამოს ოჯახს. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში არ უნდა დარბოდეს. იმდენი ხელფასი უნდა მისცე, მხოლოდ შენთან იყოს. ამ გარემოს შექმნას დრო სჭირდება. აჩქარება არაა სწორი, თორემ რეფორმისა და წინსვლის წინააღმდეგი არავინაა“.**

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის, ხათუნა ამაღლობელის ინფორმაციით, „გორგასალმა“ პირველი ინსტიტუციური აკრედიტაცია 2007 წელს მიიღო. ბოლოს 2012 წლის 23 ნოემბერს 5 წლით ავტორიზაცია მიენიჭა: **„ეს პროცესი მუდმივად ფორმაში ყოფნის საშუალებას გვაძლევს. განათლება ნებისმიერი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ უნივერსიტეტი ცდილობს, განავითაროს ისეთი სპეციალობები, რომელიც არამარტო მიბმული იქნება შრომის ბაზარზე, არამედ ხელს შეუწყობს განვითარებას, პროფესიულ ზრდას. მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი გვყავს დასაქმებული, აბსოლუტურად ჰუმანური დამოკიდებულებაა სტუდენტების მიმართ და მათ მიერ დაყენებულ ნებისმიერ საკითხზე სასწრაფო რეაგირება ხდება... ასე რომ, უნივერსიტეტმა არსებობის უფლება საკუთარი შრომით დაიმსახურა. რა თქმა უნდა, საჭიროა შიდა რესურსების მობილიზაცია, რათა ადმინისტრირების უფრო მაღალ დონეზე გავიდეთ“.**

რეფორმა ნებისმიერ სფეროში აუცილებელია განვითარებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად, ეს განსაკუთრებით, განათლებას ეხება, რადგან არსებული გამოწვევები მუდმივ ზრდას მოითხოვს, მაგრამ ამ ნაბიჯს მაღალი დონის უმაღლესი სასწავლებლები არ უნდა გადაყვეს და დამსახურებული პედაგოგები სამსახურის გარეშე არ უნდა დარჩნენ, ამიტომ მართებულია, პროფესორების მოთხოვნა, ახალი მთავრობის საგანმანათლებლო გეგმები, ყოველგვარი აჩქარების გარეშე განხორციელდეს.

„რუსეთი ცდილობს, საქართველოს ახალი პრემიერი დსთ-ში დაბრუნებაში დაარწმუნოს“

ეკონომისტი და ექსპერტი რუსეთის საკითხებში ანდერს ასლუნდი Obserwator Finansowy.pl-სთან ინტერვიუში აცხადებს: **„ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სიტუაცია უმჯობესდება და გაცხადებულია სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა, რომელიც 2006 წელს შეწყდა, თუმცა მოსკოვში ხშირად ვარ და ბოლო სამი თვის განმავლობაში, არ შემინიშნავს, რუსულ მაღაზიებში ქართული ღვინო და მინერალური წყალი დაბრუნებულიყო. მსგავსი სიტუაციაა აფხაზეთის გავლით სარკინიგზო ტრასის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებითაც. როგორც ჩანს, რუსეთი ცდილობს, დაარწმუნოს საქართველოს ახალი პრემიერი დსთ-ში დაბრუნებაში, ასევე თავისუფალი სავაჭრო ზონაში შესვლაში, თუმცა მეორე მხრივ, საქართველო მუდმივად ახდენს ევროპული ამბიციის დეკლარირებას და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს“.**

„პირველი“

ერთ წელიწადში გიგა ბოკერიამ პრემიის სახით 45 850 ლარი აიღო

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, გიორგი ბოკერიამ, პრემიის სახით, 45 850 ლარი აიღო.

ამასთან, 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეებმა შემდეგი ოდენობის პრემიები აიღეს: თამარ კინწურაშვილმა 38 930, ბათუ ქუთელიამ 47 456.87, ლევან დუჩიძემ 41 351.50, თორნიკე თურმანიძემ კი 39 555 ლარი.

უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობრივი სარგო 3 540 ლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, გიგა ბოკერიას 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით, პრემიის სახით, ხელფასის ერთმაგი ოდენობა ჩაერიცხა.

მთლიანობაში, უშიშროების საბჭოს მდივანსა და მის ოთხ მოადგილეზე პრემიის სახით, 13 თვის განმავლობაში გაიცა 213 143.37 ლარი, ხოლო ამავე პერიოდში აპარატის სხვა თანამშრომლებზე 373 905 ლარის პრემია დარიგდა.

„პირველი“

სქემა, რომლითაც თბილისის მერია სამედიცინო დაწესებულებების შენობებს ხელში იგდებდა

მერაბ ბერიძე

სამედიცინო დაწესებულებების სადავო ვითარებაში გასხვისების პროცესი ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც გაგრძელდა. შედეგად, ექიმებს უმუშევრობა, პაციენტებს კი, პირველადი სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩენა ემუქრება. ამ პროცესის წინააღმდეგ, გასხვისებული პოლიკლინიკების ექიმებმა და მხარდამჭერებმა აღიმაღლეს ხმა. არსებულ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე უფლებადამცველ ლაშა ჩხარტიშვილს ვესაუბრებით.

როგორ გაყიდა უგულავამ მე-13 პოლიკლინიკა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და რას აპირებენ დაზარალებული ექიმები

— რეალობა ისაა, რომ წინა ხელისუფლება სახელმწიფო ქონების საკუთარ თავზე გადაფორმებას ცდილობდა. სააკაშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას, მათ შორის გიგი უგულავას, ამის მასშტაბური პროცესი ჰქონდა დაწყებული, რაც გარკვეულწილად, კვლავ გრძელდება იმავე პირების მიერ. ასეთივე მიდგომა იყო ჯანდაცვის სფეროში. პოლიკლინიკები, კლინიკები, სტაციონარები თუ ამბულატორიები ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე იყიდებოდა, ისინი ფიქტიურ კომპანიებზე აფორმებდნენ ქონებას ან კორუფციულ გარიგებებში იყვნენ ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ ორგანიზაციებთან. თბილისში თითქმის ყველა პოლიკლინიკა გაყიდულია, ძირითადად, ოთხ ფიქტიურ კომპანიაზე და ხშირად მხოლოდ ასლარიანი სადამფუძნებლო თანხაა სახეზე. ისე, როგორც მიკროავტობუსების ბიზნესში — ასლარიან სადამფუძნებლო კაპიტალიან კომპანიაზე გაიყიდა მგზავრთა მიკროავტობუსით გადაყვანის უფლება, მერე აღმოჩნდა, რომ ყველაფერი შარანგიებს უკავშირდებოდა, ბოლოს კი, ვინმე მაქაცარია გამოჩნდა ამ ბიზნესში.

ჯანდაცვის სფეროში ამგვარი პოლიტიკის შედეგები უფრო მძიმეა, რადგან საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ერთ-ერთი ბოლო მეცამეტე პოლიკლინიკა გაასხვისეს 20 ნოემბერს, რომელიც თითქმის 80 წელი არსებობდა და ემსახურებოდა, დაახლოებით, 25 ათას ადამიანს. პოლიკლინიკის გაყიდვა უგულავამ და მისმა გარემოცვამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაბედა. თვითმმართველობის დონეზე უმრავლესობაში ნაციონალები დარჩნენ და ისინი ამ აღვირახსნილ ქმედებებს კვლავ განაგრძობენ.

— ამ პროცესს წინ როგორ უნდა აღვუდგეთ?

— უპირველესად, ეფექტური და დროული გამოძიებაა საჭირო. სხვა შემთხვევაში, მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ექიმებზე ზეწოლას ახორციელებენ მერიასთან დაკავშირებული მთავარი ექიმები თუ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რადგან მათი ინტერესი მეცამეტე პოლიკლინიკის შენობის გამოთავისუფლებაა. მედპერსონალს აიძულებენ, გადავიდნენ სხვა, ასევე გასხვისებულ პოლიკლინიკაში. საუბარია კლინიკა „შუა ქალაქზე“, თუმცა ამ შემთხვევაში, იგივე შინაარსის უფრო რთულ სქემასთან გვაქვს საქმე — მეცამეტე პოლიკლინიკის შენობა კომპანია „მედიკომისთვის“ ვერ გაიმეტეს, რომელზეც გაყიდულია „შუა ქალაქი“, ასეთივე დღეშია რამდენიმე სხვა პოლიკლინიკა. მეცამეტე პოლიკლინიკა გაასხვისეს როგორც ექიმებისა და მედიკოსების გაერთიანება და, როგორც იტყვიან, ექიმები შენობის გარეშე გაყიდეს, შენობა კი სათავისოდ, მერიის ბალანსზე დაიტოვეს. ეს ალბათ, უგულავასთან დაკავშირებული კონკრეტული კლანის კორუფციული ინტერესებისთვის გაკეთდა.

— დღეს რა ხდება მეცამეტე პოლიკლინიკაში?

— „მედიკომს“ თანხა არ გადაუხდია, ამიტომ მას, ფორმალურად, უფლება არ აქვს, ექიმებს შენობა დააცლევინოს. მიუხედავად ამისა, მაინც, სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ზეწოლითა თუ მუქარით ცდილობენ, ექიმები „შუა ქალაქში“ გადაიყვანონ და პოლიკლინიკა გააუქმონ. ცხადია, ეს გამოიწვევს მედპერსონალის მასობრივ შემცირებასა და ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის სერიოზულ დაცემას. პაციენტებსაც სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. შესაბამისად, მრავალი ათასი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება.

— რა კონკრეტული მოთხოვნები აქვთ თავად ექიმებს?

— შენარჩუნდეს ორივე პოლიკლინიკა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილები. ჩვენი მოთხოვნაა, ფინანსურმა პოლიციამ და პროკურატურამ დროულად გამოიძიოს ეს საკითხები, რადგან, უკანონო პროცესის პარალელურად, დევნიან და ავიწროებენ ექიმებს, მძიმდება პაციენტების მდგომარეობა, უფრო და უფრო ნაკლებია დაწესებულება, რომელსაც სამედიცინო მომსახურების გაწევა შეუძლია, რაც ხელს უშლის საყოველთაო ჯანდაცვის იმ პროგრამას, რომელიც ახალმა მთავრობამ წამოიწყო. ეს, თავისთავად, კარგი გადაწყვეტილებაა, მაგრამ მის აღსრულებას სათანადო რაოდენობის მატერიალური ბაზა, კლინიკები სჭირდება, ასევე სათანადო კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი, რომლსაც ესენი ქუჩაში ყრიან.

— ექიმების მოთხოვნებზე მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა რეაგირება უკვე მოახდინეს?

— ისინი ამბობენ, რომ გასხვისება კანონიერია და ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ეს საკითხი მერიას არასოდეს აწუხებდა და არც დღეს აღელვებს. იმედი მაქვს, კანონი აღსრულდება და ამ დანაშაულებრივ გარიგებებში გარეული ადამიანები, მათ შორის უგულავა, პასუხს აგებენ. ახალი ხელისუფლება კი იზრუნებს, რომ საქართველოში იყოს სათანადო რაოდენობის სამედიცინო ცენტრი.

— გაქვთ ინფორმაცია, გაყიდულ-გაუქმებულ სამედიცინო დაწესებულებებს, მათ შორის მეცამეტე პოლიკლინიკას მერია რას უპირებს?

— ჩანს, მეცამეტე პოლიკლინიკის შენობა სხვა, უფრო სარფიანი გარიგებისთვის შემოინახეს. იქ რის გახსნას აპირებს მერია, ამ ეტაპზე, უცნობია, შეიძლება, ეს იყოს კაზინო, მაღაზია, ბიზნესცენტრი... შენობა რუსთაველის გამზირის კვეთაზეა და ალბათ, უფრო მომხიბლავი პირადი ინტერესისთვის სჭირდებათ.

— მოსახლეობა აპროტესტებს პოლიკლინიკების გასხვისებას?

— პირველ აქციაზე, პაციენტების დიდი რაოდენობა მოვიდა და, იმედია, უფრო მეტი ადამიანი გამოეხმაურება ექიმების ბრძოლას. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს მათთვისაც უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან მხოლოდ პოლისი ადამიანს ვერ გადაარჩენს და მას განაღდება სჭირდება. პირველადი მომსახურება პოლიკლინიკებში უნდა ხორციელდებოდეს, რათა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ დამძიმდეს, ასეთ შემთხვევაში კი პაციენტიც ზარალდება და სახელმწიფოც, რადგან დამძიმებული და გართულებული დაავადების მკურნალობა ბევრია, ვიდრე დროული პრევენცია. პოლიკლინიკებს საკვანძო როლი ეკისრება ჯანდაცვის სისტემაში. პოლიტიკური წნეხის მოხსნის პირობებში, საზოგადოება გააქტიურდა, რაც ძალიან კარგია, დაიწყო რეალური პროფკავშირების ჩამოყალიბების პროცესი, ექიმებმაც შექმნეს „მედიკოსთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი“, რომელიც აქტიურობს... საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს საკუთარი უფლებების დასაცავად, ხელისუფლება კი ხალხის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ვერსიანიუსი

რუსმა მესაზღვრეებმა 18 წლის ახალგაზრდა დააკავეს

კონფლიქტის ზონასთან ახლოს, სოფელ კირბალიდან, რუსმა მესაზღვრეებმა 18 წლის ახალგაზრდა დააკავეს. 18 წლის უშანგი დოთიაშვილი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან აიყვანეს.

ოჯახის წევრების ინფორმაციით, დაკავებული ახალგაზრდა ჯერ სოფელ ღრომში ჰყავდათ, შემდგომ კი ცხინვალში გადაიყვანეს. ადგილობრივი მოსახლეობა მომხდარის გამო შეშფოთებულია, მით უმეტეს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რუსი მესაზღვრეების მიერ საქართველოს მოქალაქის დაკავების უკვე მე-15 ფაქტია.

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოლაპარაკებების შედეგად, ქართველ ძალოვანებს ოსურმა მხარემ ორი პატიმარი გადასცა — ამირან ჯეირანაშვილი და ლევან შუბითიძე ცხინვალიდან 27 მარტს გაათავისუფლეს. ორივე ქარელის რაიონის სოფელ ჭვრინისის მკვიდრია და ისინი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით იყვნენ დაკავებულნი.

28 მარტისთვის, კიდევ ორი დაკავებულის — ანა გიგოლაევასა და ირა ხუბაევას გათავისუფლება იყო დაგეგმილი, უშანგი დოთიაშვილი გათავისუფლება კი 29 მარტს იგეგმება.

ცხინვალელ სამართალდამცველებთან მოლაპარაკებაში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის გარდა, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მონაწილეობდა.

„ვერსიანიუსი“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

დიაბეტი ზოგისთვის ცხოვრების წესია, ზოგისთვის — განაჩენი. პაციენტების უმეტესობას, ჯანმრთელობის კონტროლი ხშირად სჭირდება და წლების განმავლობაში, ამ პრობლემის მოგვარება საკუთარი სახსრებით უწევდა. „ვერსია“ დაინტერესდა, თუ შეიცვალა რამე დიაბეტით დაავადებულებისთვის ახალი ხელისუფლების პირობებში, ამოქმედდება თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები ან რა ვითარებაა ამ მხრივ რეგიონებში. ინფორმაციის მისაღებად, დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორს, პროფესორ რამაზ ყურაშვილს ვესაუბრეთ.

რატომ არ უწევენ ამ კატეგორიის პაციენტებს ანგარიშს „სასწრაფო“ თუ სადაზღვევო კომპანიები და დაანესებს თუ არა შეღავათებს ახალი ხელისუფლება

საქართველოში ყველა მეათე ადამიანი დიაბეტითაა დაავადებული, დიაბეტიანი ბავშვების რაოდენობაც იზრდება!

— წინა ხელისუფლების დროს, ინსულინით მომარაგების პროგრამაში მყოფ პაციენტებს პრობლემები ექმნებოდათ — ფორმა №100 კი მოჰქონდათ, მაგრამ მათ ინსულინის გაცემაზე თვეობით აწვალებდნენ. საბედნიეროდ, ახლა პაციენტებს ეს პრობლემა აღარ აქვთ — მთავარია, ჰქონდეთ ფორმა №100 და არგუმენტირებული განცხადება დაიწეროს, რომ ინსულინის ანალოგი სჭირდებათ; ინსულინი კი უფრო მარტივად გაიცემა — ფორმა №100-ის მოტანის შემდეგ, სამინისტრო იმავე დღეს აძლევს უფლებას, ადამიანმა საწყობიდან მიიღოს პრეპარატი. საერთოდ, დასავლეთ ევროპაში ავადმყოფების უდიდესი ნაწილი იღებს ინსულინის ანალოგებს, ჩვენც ნელ-ნელა იქით მივდივართ.

— რა შემთხვევაში გამოიყენება ინსულინის ანალოგები და რა უპირატესობა აქვს?

— მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ინსულინსა და ინსულინის ანალოგებს ერთნაირი შედეგი აქვს, უბრალოდ, ინსულინის ანალოგი უფრო მოხერხებული პრეპარატია, რადგან უშუალოდ, ჭამის წინ კეთდება. წინა თაობის ინსულინის მოხმარების შემთხვევაში, დიაბეტით დაავადებულ ადამიანს, 30-35 წუთი ცდა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეპარატი კარგად არ მოქმედებს. ეს, ცხადია, პაციენტს დისკომფორტს უქმნის.

— თუ ასეა, ყველა რატომ არ იღებს ინსულინის ანალოგებს?

— ზოგი წინა თაობის პრეპარატსაა შეჩვეული და შეცვლა არ უნდა.

— დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს სხვადასხვა სახის გამოკვლევის ჩატარება ხშირად უწევთ, აქამდე სახელმწიფო მათ სრულად არ აფინანსებდა. ახალი ხელისუფლების პირობებში, ამ მხრივ, რამე შეიცვალა?

— ის გამოკვლევები, რომლებიც დიაბეტიანი პაციენტებისთვის უფასო პროგრამაში მოექცა, მიზერული და სასაცილოა. სახელმწიფო ერთჯერადი გამოკვლევების თანხას კი იხდის, მაგრამ იქაც შეზღუდვებია — უფასო გამოკვლევა პაციენტს წელიწადში ერთხელ უტარდება.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სადაზღვევო კომპანიები დიაბეტიან პაციენტებს ანგარიშს არ უწევენ და სპეციალიზებული კლინიკების ნაცვლად, ყველას ე.წ. ემერჯენსში მიაქანებენ. არადა, შესაძლოა, ამ კატეგორიის პაციენტისთვის ყოველი წუთი გადამწყვეტი იყოს, როგორ შეიძლება, მისი გადაყვან-გადმოყვანა ერთი საავადმყოფოდან მეორეში? იმედი მაქვს, ეს ვითარება გასწორდება.

ასევე ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ადამიანები ჯანმრთელობას დააფასებენ და თავს მოუვლიან. სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში, ბევრს მიაჩნია, რომ მუდმივად ჯანმრთელი იქნება, ხშირია თვითმკურნალობის შემთხვევებიც, არადა, დიაბეტის დროს, ასეთი რამ დაუშვებელია.

— დიაბეტის ცენტრმა უნდა გასცეს ფორმა №100, პაციენტმა კი განცხადებით უნდა მიმართოს ჯანდაცვის სამინისტროს, რათა გამოკვლევა დაუფინანსონ — ეს პროცედურა არ უქმნით პრობლემას რაიონში მცხოვრებ ადამიანებს?

— სამწუხაროდ, არ გვაქვს ისეთი განვითარებული სამსახური, რომ რაიონებში დიაბეტიან პაციენტებს ადგილზე მოვემსახუროთ. განვითარებულ ქვეყნებსაც კი არ აქვთ რაიონებში ნორმალური მომსახურეობა.

„ბავშვებში რისკს ზრდის სიმსუქნეც. სამწუხაროდ, უცხოურ საიტებზე უკვე გამოჩნდა ძალიან მსუქანი ქართველი ბავშვების სურათები. ისინი, მაღალი ალბათობით, მომავალში უნაყოფოებიც იქნებიან...“

— რა ანალიზების გაკეთება შედის თქვენ მიერ ნახსენებ უფასო ერთჯერად გამოკვლევაში და დიაბეტით დაავადებულ პაციენტს წელიწადში რამდენჯერ სჭირდება გამოკვლევის ჩატარება?

— „მოვლილი“ პაციენტს გამოკვლევის ჩატარება 3 თვეში ერთხელ სჭირდება, თუ სახეზეა დიაბეტის დეკომპენსირებული ფორმა, შესაძლოა, თვენახევარში ერთხელაც დასჭირდეს ზოგი ანალიზის გაკეთება. დაავადების ვერაგობა ისიცაა, რომ შაქრიანი დიაბეტი, გამოვლენამდე, ფარულად მიმდინარეობს და აზიანებს ჯანმრთელობას, ამიტომაცაა, დიაბეტის დადგენის მომენტში, პაციენტების 55%-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, უკვე სერიოზული გართულებები აქვს. თუ გარკვეული რისკფაქტორები არსებობს, სასურველია, ადრეულად ჩატარდეს სკრინინგი და გამოკვლევები.

— რისკფაქტორებში რა იგულისხმება?

— გენეტიკური ფონი, ოჯახური დიაბეტი, ჭარბი წონა, ასაკი, თამბაქოს მოხმარება, მაღალი არტერიული წნევა... რისკფაქტორები აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რადგან ისინი უმეტესად, სოციალურად დაუცველები არიან...

— დიაბეტით დაავადებულ ადამიანს აუცილებელი ანალიზების გაკეთებისთვის რა რაოდენობის თანხა სჭირდება?

— ნაწილს სადაზღვევო გადაუხდის, ნაწილი კი საკუთარი ჯიბიდან უნდა დაფარონ, თანხა 100 ლარის ფარგლებში მერყეობს და ნამდვილად ღირს გადახდა მხედველობის ხარისხის, ქვედა კიდურების ან კარგი მეხსიერების შესანარჩუნებლად...

— ბავშვებში მოიმატა დიაბეტის შემთხვევებმა?

— დიაბეტი ისეთი ენდოკრინული დაავადებაა, ყველა ასაკის ადამიანებში მატულობს და მსოფლიო ტენდენციის მიხედვით, მომავალშიც მოიმატებს. საქართველოში ყოველი მეათე ადამიანი დიაბეტითაა დაავადებული.

— ამის მიზეზი მხოლოდ თქვენ მიერ ჩამოთვლილი რისკფაქტორები არ იქნება.

— შობადობა გაიზარდა და იმუნური დაავადებების რიცხვმაც იმატა... სტრესიც მაღალია, მშობლები გვიან ქორწინდებიან, რაც დიაბეტის რისკს ზრდის, სიმსუქნეც ერთ-ერთი მაპროვოცირებელია. სამწუხაროდ, უცხოურ საიტებზე უკვე გამოჩნდა ძალიან მსუქანი ქართველი ბავშვების სურათები. ისინი, მაღალი ალბათობით, მომავალში, უნაყოფოებიც იქნებიან — რეპროდუქციული ფუნქცია არ ექნებათ. მსოფლიო სტატისტიკით, თუ ადამიანი დიაბეტით 50 წლის ასაკში დაავადდა, 25 წლის შემდეგ მიოკარდიუმის ინფარქტი დაემართება, თუ 15 წლის ბავშვს აქვს უნივერსალური სიმსუქნე, მეტაბოლური სინდრომი — 25 წლის შემდეგ მას ინფარქტი ექნება. სამწუხაროდ, მშობლების უმეტესობამ არ იცის, რას ნიშნავს ჯანსაღი კვება და შვილებს ზედმეტ საკვებს აძლევენ. დღევანდელი ბავშვები ჰარმონიულად არ ვითარდებიან, ვერ მოძრაობენ... პირობებიც არ არის, ქუჩაში რომ გაისეირნოს ადამიანმა, ნახევარ საათში იღლება, რაც გამონაბოლქვის ბრალია. ამ ფონზე, კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ წონას თავიდანვე უნდა მივაქციოთ ყურადღება და მარილის მოხმარება შევამციროთ.

ფინანსთა სამინისტროს პოზიცია გადამზიდავ კომპანიებთან დაკავშირებით

ფინანსთა სამინისტრო მზადაა, გაითვალისწინოს „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ რეკომენდაციები და შენიშვნები, რათა კვლავ არ მოხდეს ბაზრის ხელოვნური მონოპოლიზება. **„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“,** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანების გამოცემის მიზანია, ამ სფეროში სიტუაციის მოწესრიგება კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით.

სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ საკითხის გარშემო ფინანსთა სამინისტრო კონსულტაციებს მართავს საგადასახადო ომბუდსმენთან, სხვადასხვა გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოსთან“: **„მზადყოფნას გამოვთქვამთ, აქტიური მუშაობის რეჟიმში გავითვალისწინოთ მათი რეკომენდაციები და შენიშვნები, რათა მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილება, კვლავ არ მოხდეს ბაზრის ხელოვნური მონოპოლიზება, ქვეყანაში არ დაირღვეს ფისკალური წესრიგი და ყველა კომპანიამ დააკმაყოფილოს აღნიშნულ სფეროში მუშაობისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტები“.**

„ინტერპრესნიუსი“

აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა

გადაწყვეტილება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 26 მარტს გამართულ სხდომაზე, საბჭოს წევრებმა მიიღეს. საბჭოს წარმომადგენლებმა შეისწავლეს საკითხი და მიიჩნიეს, რომ ხარვეზების უმრავლესობა უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს წევრებს შედარებით კრიტიკული მიდგომა ჰქონდათ უნივერსიტეტში აკადემიური კონკურსების გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით, თუმცა გაირკვა, რომ ამ მხრივაც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გააჩნია მზაობა, აღმოიფხვრას ხარვეზები და პროფესორ-მასწავლებლების დანიშვნის კონკურსები გახდეს უფრო გამჭვირვალე. მათივე თქმით, საკუთარი რისკის საფუძველზე, ნდობას უცხადებენ აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით და პარალელურად, იტოვებენ უფლებას, ამ პროცესის მონიტორინგი განახორციელონ მომავალში.

სხდომაში მონაწილეობდნენ, უშუალოდ, აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომელთა სურვილი იყო, ავტორიზაციის ხელახლა ძალაში შესვლას არ მოჰყოლოდა პროცესის წყვეტა, ამას არ გამოეწვია აკრედიტებული სასწავლო პროგრამების გაუქმება და შემდგომ აკრედიტაციის ხელახლა გავლა არ გამხდარიყო აუცილებელი. აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს დაპირება ავტორიზაციის საბჭოსგან, რომ პროცესი იქნება უწყვეტი და ახალი გადაწყვეტილება, ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, ძალაში შევა იმდღესვე, როდესაც გაუქმდება 12 მარტის გადაწყვეტილება, ავტორიზაციის შეჩერების შესახებ.

ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, განათლების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა ბენდუქიძეს მიულოცა, რომ უკეთესი მოქალაქე გახდა: **„მინდა, მივულოცო აგრარულს, ის დღეს უკეთესი უნივერსიტეტია და კანონის ფარგლებშია მოქცეული. პირადად, ბენდუქიძეს მინდა, მივულოცო, რომ უკეთესი მოქალაქე გახდა და კანონის დამორჩილება სრულიადაც არ ყოფილა მძიმე. მომწონს, როცა კანონს ვემორჩილებით, რის შედეგადაც, უკეთესი ქვეყანა, უკეთესი სისტემა გვექნება“.**

„ვერსიანიუსი“

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

ნაციონალური მოძრაობა გელა ომანიძემ დატოვა და განაცხადა, რომ არც ერთ პარტიას არ უერთდება და თბილისის საკრებულოში დამოუკიდებელ დეპუტატად რჩება.

რაც შეეხება მიზეზს, ომანიძე განმარტავს, რომ ნაციონალური მოძრაობა პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე დატოვა: **„არ ვუერთდები არც ერთ პარტიას, ვრჩები თბილისის საკრებულოში, ფრაქციის დატოვების არანაირი მიზეზი კი არ ყოფილა, უბრალოდ, ჩემი შეხედულებებიდან გამომდინარე, ასე გადავწყვიტე. ნაციონალურ მოძრაობაში ბევრი ჩემი მეგობარი და კოლეგაა, რომელთაც დიდ პატივს ვცემ“.**

გელა ომანიძის წასვლის მიუხედავად, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა თბილისის საკრებულოში უმრავლესობას, 26 დეპუტატით მაინც ინარჩუნებს.

„პირველი“

გორის საუღელტეხილო გვირაბში მოძრაობა დროებით შეიზღუდება

ამ ინფორმაციას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. როგორც ირკვევა, 28 მარტიდან, გორის საუღელტეხილო გვირაბებში, პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად, ბორდიურებისა და მასზე განთავსებული უსაფრთხოების სანათი მოწყობილობების მოწესრიგების სამუშაოები დაიწყება.

ჩქაროსნულ გზატკეცილზე ცალმხრივი მოძრაობის შენარჩუნების მიზნით, გვირაბებში სამუშაოები იწარმოებს მონაცვლეობით, რაც, ერთ-ერთ გვირაბში ავტოტრანსპორტის გამტარობას უზრუნველყოფს.

აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, გორის საუღელტეხილო მონაკვეთზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ავტოტრანსპორტის მოძრაობა ერთ-ერთი გვირაბის გავლით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, გვირაბების შემოვლითი გზით განხორციელდება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, უღელტეხილზე ავტოტრანსპორტის გადაადგილების დროებითი რეჟიმი ერთ კვირას გაგრძელდება.

„ინტერპრესნიუსი“

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროები ტაქტიკურ სწავლებას გადიან

ოსური მედიის ინფორმაციით: **„ძარცემის პოლიგონზე, სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსი სამხედროების მოტომსროლელი ბრიგადა საბრძოლო სროლებში ტაქტიკურ სწავლებას გადის, რაშიც დაახლოებით, 1500 სამხედრო მონაწილეობს, ხოლო წვრთნებში, ჯარისკაცებთან ერთად, ჩართულია 100 ერთული სამხედრო ტექნიკა“.**

დასკვნით ეტაპზე, სამხედროები „T-72“ ტიპის ტანკიდან და ჰაუბიცებით სროლაში გაივლიან წვრთნას.

„ინტერპრესნიუსი“

„ვაჩვენებთ, რა დონის სპექტაკლები უნდა დაიდგას მოზარდმაყურებელთა თეატრში“

როგორ შეუნარჩუნა ოთარ ბაღათურიამ „კუკარაჩას“ შალვა გაწერელიასეული სული

ნათია ვასაძე
555-98-61-65



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრი კიდევ ერთი პრემიერისთვის ემზადება. რეჟისორი ოთარ ბაღათურია, პედაგოგისა და კოლეგის, შალვა გაწერელიას სპექტაკლის, „კუკარაჩას“ აღდგენაზე მუშაობს. სწორედ ბატონი შალვას სახელს უკავშირდება მოზარდმაყურებელთა თეატრის შემოქმედებითი მიღწევების 40-წლიანი პერიოდი — ამ თეატრში მან მაყურებლისთვის საყვარელი ბევრი სპექტაკლი დადგა. მათ შორისაა „ანა ფრანკის დღიური“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „ირინეს ბედნიერება“, „კუკარაჩა“... განახლებული „კუკარაჩა“ შალვა გაწერელიას ხსოვნას ეძღვნება და მისი პრემიერა 5 აპრილს, რეჟისორის გარდაცვალების წლისთავზე გაიმართება. მანამდე კი, რეჟისორი ᲝᲗᲐᲠ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐ „ვერსიას“ იმაზე ესაუბრება, რა სიძნელეებს წააწყდა სპექტაკლის აღდგენისას და შეიტანა თუ არა გაწერელიასეულ „კუკარაჩაში“ ცვლილებები.

— შალვა გაწერელია დიდი რეჟისორი, პედაგოგი იყო და შედეგრები აქვს დადგმული. მასთან მუშაობით, რომ იტყვიან, დიდი სკოლა გავიარე — ბატონი შალვას სტუდენტი გახლდით და გარდა იმისა, რომ იმ დროიდან მოყოლებული, მის თითქმის ყველა სპექტაკლში მითამაშია, ასისტენტობასაც ხშირად ვუწევდი. „კუკარაჩაში“ მურტალოს როლის შესრულებაც მომიწია და რეჟისორის ასისტენტობაც, ამ სპექტაკლის აღდგენაც სწორედ ამიტომ მომანდეს. „კუკარაჩა“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და კოლორიტული სპექტაკლია, რომელიც ყველა ასაკის მაყურებლის მოთხოვნას აკმაყოფილებს, თანაც სიმბოლურია — მოზარდ მაყურებელთა თეატრი ხომ ნოდარ დუმბაძის სახელობისაა.

— სპექტაკლის პირვანდელ ვარიანტში ცვლილებები შეიტანეთ?

> **— შეიძლება, რაღაც ნიუანსები შეიცვალა, მაგრამ ის სული, რაც ბატონმა შალვამ „კუკარაჩაში“ ჩადო, უცვლელი დარჩა. გაწერელიას სპექტაკლის მეორე ვარიანტიც ჰქონდა გაკეთებული, რამაც მუშაობის პროცესში გარკვეული სირთულეები შექმნა — რაღაც ერთი ვარიანტიდან მომწონდა, რაღაც — მეორედან... საბოლოო ჯამში, ორივე ვარიანტი შევათავსეთ, ვნახოთ, მაყურებელი როგორ შეაფასებს. გამოგიტყდებით, ძალიან ვნერვიულობ, რადგან შალვა გაწერელია ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორია, ქართველი რეჟისორების სამეულშიც კი მოიხსენიებენ და მისი სახელის პატივსაცემად, მართლაც, ღირსეულად გვინდა წარვდგეთ მაყურებლის წინაშე.**

— მსახიობების ძველი შემადგენლობიდან ბევრი აღარავინ შემორჩა, ზოგს ასაკი აღარ უწყობს ხელს. ეს პრობლემა როგორ გადაჭერით?

— ძველი მსახიობებიდან არიან: რეზო თავართქილაძე, ლადო მექვაბიშვილი, თამრიკო მამულაშვილი, მარიკა გოგიჩაიშვილი. რა თქმა უნდა, მურტალოს როლისთვის ვეღარ გამოვდგები, მაგრამ საკმაოდ ნიჭიერი მსახიობებით ჩავანაცვლეთ ძველი შემადგენლობა. სპექტაკლში 56 მსახიობია დაკავებული, მართალია, სულ 26 როლია, მაგრამ ყოველ მსახიობს თავისი დუბლიორი ჰყავს. ალბათ, მალე მოხდება შემცირება, ამიტომ გადავწყვიტე, თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება რაც შეიძლება მეტ მსახიობს მივცე. თეატრში 130-მდე მსახიობია და ეს რაოდენობა საჭირო რეალურად არც არის, ამიტომ კასტინგის საშუალებით გადავარჩევთ მათ.

— კასტინგი ყველა მსახიობს შეეხება?

— კასტინგს არ გაივლიან ის მსახიობები, ვისაც წლები აკავშირებს თეატრთან და გარკვეული დამსახურებებიც აქვს. ეს სპექტაკლი თითოეული მსახიობის ნიჭის წარმოჩენის შესანიშნავი საშუალება, ერთგვარი კასტინგია.

— ბატონო ოთარ, მოზარდმაყურებელთა თეატრში ახალი მმართველის მოსვლის შემდეგ რა შეიცვალა?

— აქ ანთაძის დროსაც ვმუშაობდი, თუმცა ერთ-ერთი პირველი გამიშვა თეატრიდან. შეიძლება ითქვას, შემოქმედებითი კონფლიქტი მოგვივიდა.

> **3 წლის განმავლობაში გული მისკდებოდა, რომ ვხედავდი, რას უშვრებოდა ეს ადამიანი მოზარდ მაყურებელთა თეატრს, მადლობა ღმერთს, ეს კოშმარი, როგორც იქნა, დასრულდა, სამართლიანობა აღდგა და უსაფუძვლოდ გათავისუფლებული ხალხი თეატრში დაბრუნდა, შეიცვალა დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ, უხარისხო რეპერტუარს ნელ-ნელა, ხარისხიანი სპექტაკლები ანაცვლებს. ამ თეატრის მმართველობა დიდი პასუხისმგებლობაა — სწორედ აქ უნდა მოხდეს ერთი მხრივ, ადამიანის და მეორე მხრივ, კულტურული მაყურებლის ჩამოყალიბება. „კუკარაჩას“ აღდგენით, გვინდა ვაჩვენოთ, რა დონის სპექტაკლები უნდა დაიდგას მოზარდ მაყურებელთა თეატრში.**

— არსებობს თუ არა თეატრში დრამატურგიის პრობლემა?

— კარგი დრამატურგია ცოტა ჭირს, მაგრამ არც ისე ცოტაა ქართული თუ უცხოური კლასიკური ნაწარმოები. სპექტაკლი, რომელიც ბავშვმა ან მოზარდმა უნდა ნახოს, აუცილებლად მაღალი დონის ლიტერატურაზე უნდა შეიქმნას. ამისთვის ქართველი კლასიკოსებიც გამოდგებიან. მაგალითად, ამავე თეატრში დადგმული ჩემი სპექტაკლი „სათაგური“ გაკეთდა ვაჟა-ფშაველას სამი მოთხრობის მიხედვით — „სათაგური“, „ამოდის, ნათდება“ და „მგელი“. ეს სპექტაკლი ჯერ კიდევ წინა მმართველის დროს დავდგი, როგორც იქნა, რვა პიესიდან, ამ ერთზე დამთანხმდა, თუმცა აღარ გვითამაშია — თეატრიდან რომ გამიშვა, ამ სპექტაკლის კვალიც კი მოსპო ანთაძემ.

— 14 აპრილს, მოზარდმაყურებელთა თეატრის წინ, რეზო თავართქილაძის ვარსკვლავის გახსნა იგეგმება. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

— ბატონი რეზო მართლა ვარსკვლავია — უნიჭიერესი მსახიობი და ძალიან თავმდაბალი, შრომისმოყვარე, ენერგიული ადამიანი. ბედნიერი ვარ, მასთან ურთიერთობის საშუალება რომ მომეცა — არაერთ სპექტაკლში ვიყავით პარტნიორები. აბრეშუმივით დამყოლი მსახიობია, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად. დღესაც რამდენიმე თეატრში მუშაობს და არც ერთ როლზე უარს არ ამბობს. სრულიად მოუმზადებელი რომ შეუშვა სპექტაკლში, ძველ შემსრულებელზე უკეთ შეასრულებს. ბატონი რეზო, ასაკის მიუხედავად, ისეთივე იუმორითა და ენერგიით თამაშობს მოშეს როლს „კუკარაჩაში“, როგორც შალვა გაწერელიას დროს. ბატონი რეზო საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო არტისტია, ნამდვილი თეატრალი, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი და უდავოდ, იმსახურებს ვარსკვლავის გახსნას.

დემოკრატიული განვითარების ქართული გაკვეთილები

მაიკლ ჩეჩირე

The AMERICAN INTEREST

საქართველოს დემოკრატია ჯერ ბოლომდე შეფასებული არ არის. შარშან, ოქტომბერში, ჩატარებული შთამბეჭდავი არჩევნების მიუხედავად, რომლითაც ხელისუფლებაში მოულოდნელად ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა, საბოლოო ჯამში, მაინც გაურკვეველია, ამ ტურბულენტურმა კავკასიურმა რესპუბლიკამ მკაფიოდ გაიკვალა თუ არა გზა დემოკრატიისკენ, თუ ის კვლავ ერთი ძლიერი ლიდერის მეორით ჩანაცვლების პროცესშია. თუმცა, უდავოა, რომ ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი შეცვლით საარჩევნო ურნების გზით, საქართველომ გარდამტეხ წარმატებას მიაღწია თავის პოლიტიკურ განვითარებაში. იმავდროულად, ის გარკვეულ გაკვეთილადაც კი იქცა პოტენციური დემოკრატიებისთვის მსოფლიოში.

ქართული ოპოზიციის მოულოდნელი, ძლიერი გამარჯვება არჩევნებში და ხელისუფლების შედარებით მშვიდი გადაცემის პროცესი, რაც მიხეილ სააკაშვილის მხრიდან მარცხის აღიარებას მოჰყვა, ძალიან კარგია ქვეყნისთვის, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული იყო „გარდამავალ პერიოდში“ – პოლიტიკური განვითარების ბუნდოვანების ზონაში. „გარდამავალი რეჟიმები“ ხშირად უიმედოა. ბოლოდროინდელი არჩევნების მიუხედავად, საქართველო დემოკრატიზაციაში მტკიცე და თვალსაჩინო წინსვლის მხოლოდ მცირე ნიშანწყალს თუ იძლეოდა. ეს იყო მიზეზი, თუ რატომ იყვნენ დამკვირვებლები დარწმუნებულნი, რომ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა დამაჯერებლად გაიმარჯვებდა.

ტიპურ გარდამავალ რეჟიმზე მეტად, ქართულ მოდელს, როგორც ჩანს, უფრო სტივ ლევიცკისა და ლუკან ვეის განსაზღვრება შეეფერება: **„კონკურენტული ავტორიტარიზმი“.** ეს არის ის, როდესაც ინსტრუმენტები, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს ლიბერალურ დემოკრატიაში – ოპოზიციური პარტიები, არჩევნები, ზოგჯერ ცხარე დებატებიც კი – მიბმულია ყოვლისმომცველ პოლიტიკურ და უშიშროების აპარატზე, რაც ერთპარტიული მმართველობის გარანტიას უზრუნველყოფს. ასეთი რეჟიმები განსაკუთრებით კოშმარულია დემოკრატიის დამცველებისა და ოპოზიციებისთვის, რადგან მათი გარჩევა საშუალოდ დემოკრატიული სახელმწიფოებისგან რთულია. მათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ მუდმივად „გარდამავალ პერიოდში“ არიან, მაგრამ არანაირი განზრახვით, რომ ოდესმე მაინც გადასცემენ ძალაუფლებას პოლიტიკურ ოპოზიციას.

საქართველოში, მოდერნიზატორული პროგრამებისა და მტკიცედ პროდასავლური რიტორიკის მიუხედავად, კონკურენტულმა ავტორიტარიზმმა მიიღო ისეთი ფორმა, რომელშიც მთავრობა იყენებდა უზარმაზარ ადმინისტრაციულ რესურსს, ქვეყანაში დომინირებდა პროსამთავრობო მედია და ამომრჩევლების დაშინებასაც კი ჰქონდა ადგილი. ცოტა დამკვირვებელს თუ შეუძლია იმის თქმა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იყო სხვა რამ, თუ არა მძიმე ბრძოლა მილიარდერი ოპონენტის, ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. Freedom House-ის მონაცემების თანახმად, საქართველოს 2012 წლის რეიტინგი 2005 წლის შემდეგ უცვლელი იყო და მხოლოდ ოქტომბრის შოკური შედეგის შემდეგ გაუმჯობესდა. იმავდროულად, Economist Intelligence Unit-ის შეფასებამ აჩვენა დემოკრატიული უკუსვლა 2011 წლის ანგარიშში 2006 წლის ანგარიშთან შედარებით. თუკი ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ როგორ მიაღწია „ქართულმა ოცნებამ“ გარღვევას?

დემოკრატებს, რომლებსაც თავს ესხმიან სხვა კონკურენტულ ავტორიტარულ სისტემებში, ვერ გაამტყუნებ, თუკი ისინი ვერ დაინახავენ განსაკუთრებულ გაკვეთილებს ცალკეულ სიტუაციაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მხარჯველი მილიარდერი პოლიტიკური მეტოქე და შედარებით ლიბერალი, თუ ანტიდემოკრატიული არა, მთავრობა, რომელსაც დასავლეთი ეტრფის. საბოლოო ჯამში, ამ არჩევნებმა მართლაც, შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ავტორიტარული რეჟიმების შესახებ და იმაზე, თუ როგორ უნდა ავუაროთ მათ გვერდი. ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ ლიდერები — უფრო მნიშვნელოვანი. ივანიშვილი, რომლის კაპიტალიც Forbes-მა 5.3 მილიარდზე მეტ დოლარად შეაფასა, ძალიან მდიდარია, მაგრამ ისეთი კანონმდებლობის პირობებში, როდესაც კამპანიის დაფინანსება შეზღუდული იყო, ხოლო ნაციონალური მოძრაობა, პერიოდულად, ბომბავდა ოპონენტს ჯარიმების დაკისრებით. ჩანს, ივანიშვილის სიმდიდრემ ცოტა რამ თუ განსაზღვრა კამპანიის დროს. **„ივანიშვილს ფულმა არ მისცა არჩევნების ყიდვის შესაძლებლობა“,** – აღნიშნავს კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის მკვლევარი ლინკოლნ მიტჩელი, — **„უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას ამან კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა მისცა ნაციონალური მოძრაობისთვის, რომელსაც შეეძლო სამთავრობო რესურსების გამოყენება პარტიული პოლიტიკური მიზნებისთვის“.**

არსებობს შეფასების კიდევ ერთი გზა, კერძოდ, ივანიშვილის, როგორც ოპოზიციონერი ლიდერისა და დამფინანსებლის, შედარებით ხანმოკლე კარიერის შედარება მისი წინამორბედის, აწუკვე გარდაცვლილი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის კარიერასთან. პატარკაციშვილი, რომელიც გარდაცვალების მომენტისთვის 2008 წელს, დაახლოებით 12 მილიარდ დოლარს ფლობდა, ივანიშვილზე ორჯერ მდიდარი იყო, მაგრამ ვერც კი მიუახლოვდება მის წარმატებას პოლიტიკურ სფეროში. გარდაცვალებამდე იგი აქტიურად აფინანსებდა ოპოზიციას, რომელსაც სათავეში ედგნენ ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი და ლევან გაჩეჩილაძე – უკმაყოფილო გარიყულთა ჯგუფი და შემცირებული ნომენკლატურა, რომელსაც აკლდა პოლიტიკური ხედვა, ერთობა და ყველაზე მთავარი, სახალხო მხარდაჭერა. ამის საპირისპიროდ, ივანიშვილმა 2013 წლის ოქტომბერში თქვა, რომ პოლიტიკაში მოდის, თავი ქართული ოპოზიციის გამაერთიანებლად წარმოადგინა და მედიის საშუალებით, საკუთარ სამიზნედ არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა, არამედ ძველი ოპოზიციის ზოგიერთი ელემენტიც გამოაცხადა. შემოიკრიბა დასავლური, პოლიტიკაზე ორიენტირებული ისეთი ლიდერები — გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე. „ქართული ოცნება“ შეეცადა, ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობის მტკიცე მმართველ ალტერნატივად გარდაექმნა. სწორედ ამ დამაჯერებლობის განცდამ შეუწყო ხელი ოპოზიციის გაერთიანებას და ელექტორატის მობილიზებას.

მნიშვნელოვანია გზავნილებიც. თუკი ნაცმოძრაობისა და მისი მოკავშირეების კამპანიას რეფრენად გასდევდა „რუსეთი, რუსეთი, რუსეთი“, „ქართული ოცნების“ პასუხი იყო „სამუშაო ადგილები, სამუშაო ადგილები, სამუშაო ადგილები“. იმ დროს, როდესაც ნაცმოძრაობა ცდილობდა არჩევნების წარმოდგენას, როგორც შეჯიბრს მოსკოვის მიერ მხარდაჭერილ მარიონეტსა და პროდასავლელ ჩინოვნიკებს შორის, „ქართულმა ოცნებამ“ არ დაუშვა, ჩათრეულიყო ამ, დიდწილად, დაუსაბუთებელი ბრალდებების უარყოფის მორევში. განსხვავებით ოპოზიციის წარსული ლოზუნგებისგან, „ქართული ოცნების“ კამპანია ორიენტირებული იყო შედარებით მკაფიო გზავნილებზე ეკონომიკური განვითარების, სახელმწიფო დაუსჯელობისგან გათავისუფლების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დასაქმების შესახებ. ბრალდებებმა ივანიშვილის კრემლთან კავშირებზე, რეალურად, ვერ იმუშავა. მართალია, მან ქონება რუსეთში დააგროვა (საკმაოდ დამახასიათებელი რამ ბევრი მდიდარი ქართველისთვის, რომელთა რიცხვშიცაა სააკაშვილის რამდენიმე მდიდარი მოკავშირე), თუმცა ივანიშვილის ბიოგრაფია მკვეთრად გამორჩეულია იმ სხვა მაგნატების ისტორიებისგან, რომლებიც ელცინის თავქარიან 1990-იან წლებში გამდიდრდნენ. შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ელექტორატის მოტივაციას არა ივანიშვილის რუსეთთან ურთიერთობა, არამედ ნაცმოძრაობის საშინაო მარცხი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ წარმატებას მიაღწია ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტების მოდერნიზებაში, წვლილი შეიტანა კორუფციის აღმოფხვრაში, ახალი საქართველოს ამ სიკეთეებით, დიდწილად, მცირერიცხოვანი ელიტა სარგებლობდა, რომელიც დილით საშინაო პოლიტიკაში ჩაურევლობას ქადაგებდა, შუადღისას კი უცხოურ დახმარებას ლობირებდა.

„ქართულმა ოცნებამ“ უზრუნველყო ისიც, რომ ამ ისტორიის მისეულ ვერსიას მიეღწია საერთაშორისო აუდიტორიამდე. განსხვავებით ძველი ოპოზიციის არარეგულარული კამპანიისგან საერთაშორისო მედიაში, „ქართული ოცნება“ სისტემატურად ავრცელებდა განცხადებებს, პოლიტიკურ გეგმებსა და კომენტარებს კარგი ინგლისურით, იმ მიზნით, რომ უცხოეთში მოვლენების მისეულ ვერსიასაც გაიგებდნენ. მართალია, მან შეძლო, დაექირავებინა საკუთარი ლობისტები ნაციონალური მოძრაობის კამპანიაზე საპასუხოდ და საკუთარი გზავნილის გარეთ გასატანად, მაგრამ მისი მხრიდან უფრო იაფი პლატფორმების განვითარებამ, როგორებიცაა ბლოგები და სოციალური მედია, შთამბეჭდავად იმუშავა.

ფიქტიური სახალხო წარმომადგენლობითობა და ელექტორალური პლურალიზმი კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმების სასიცოცხლო ბაზისია. პოტიომკინის არჩევნებიდან საპარლამენტო სპექტაკლებამდე, კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმები ყვავიან შედარებითი ღიაობის ნარატივზე, რითაც მათ გახსნილი აქვთ გზა დასავლეთში, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შენარჩუნების ბერკეტებზე ძალიან მტკიცედ არიან ჩაბღაუჭებულები – ორივე სამყაროზე უკეთ. ასეთი ბუნდოვანი რეგიონების მერყეობა ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის, ასეთ რეჟიმებს გამორჩეულად მიდრეკილს ხდის დანგრევისკენ. ისინი ზღუდავენ სივრცეს ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის (დევნითა და აღურიცხავი დაკავებებით), თუმცა სწორედ ასეთმა ფონმა შეიძლება, შექმნას საკმარისი სივრცე ოპოზიციის გაერთიანებისა და მმართველი პარტიის მახეში შეტყუებისთვის. საქართველოში ნაციონალური მოძრაობა შეცდომით წამოეგო თავისივე პოპულარობის მითს და დაიჯერა, რომ მის პოზიციას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ციხეებში ძალადობის შესახებ დაწყებულმა სკანდალმა, სხვა სურათი აჩვენა: მოვლენებმა შეუქცევადი სახე მიიღო, „ქართული ოცნების“ აქციები გაიზარდა, და გამოჩნდა, რომ ნაცმოძრაობა იმაზე ნაკლებ პოპულარულია, ვიდრე მისი მხარდამჭერები ფიქრობდნენ. საქართველოს მსგავსად, ოპოზიციურ მოძრაობებს თავიანთ კონკურენტულ ავტოკრატიებში რეჟიმების ფიქტიური ღიაობა, შეუძლიათ, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. ოპოზიციებს შეუძლიათ, თავი შეაფარონ იმ ინსტიტუციონალურ სივრცეებს, რომელიც პლურალიზმის ნიშნად არსებობს, საიდანაც მათ შეუძლიათ, არჩევნები დე ფაქტო ერთი მოთამაშის ღონისძიებიდან, რეალურად, კონკურენტულ შეჯიბრად აქციონ.

მართალია, ჯერ ადრეა, მას დემოკრატია უწოდო, თუმცა საქართველომ ყველა შემთხვევაში გადადგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მის პოლიტიკურ განვითარებაში, შეიძლება, წყალგამყოფად იქცეს. „ქართული ოცნების“ წარმატება შესასწავლია და მას ძნელად თუ ვუწოდებთ ფორმულას; და მიუხედავად ოპოზიციის უნარისა, გადალახოს დაბრკოლებები და გაიმარჯვოს, საქართველოს პოლიტიკური განვითარების ბედი ცხადი ჯერ არ არის. დემოკრატიას ნამდვილად აქვს შანსი საქართველოში. მაშინ, როდესაც ბევრი ოპოზიციური ძალისთვის მხოლოდ შანსია ის, რისი იმედიც შეიძლება მათ ჰქონდეთ თავიანთ კონკურენტულ ავტორიტარულ რეჟიმებში.

ვერსიანიუსი

კეტრინ ეშტონი და შტეფან ფულე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას გამოეხმაურნენ

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონი, ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე საქართველოში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ: **„მივესალმებით საქართველოს პარლამენტის მიერ ერთობლივად მიღებულ მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ცვლილებებს. ორივე პარტიის მიერ მიღწეული კონსენსუსი, რომელიც ამყარებს ამ შეთანხმებას, მეტყველებს მხარეების ვალდებულებაზე ქართულ პოლიტიკაში სამართლიან მმართველობაზე. საკონსტიტუციო ცვლილებები ადასტურებს დემოკრატიული არჩევნებით მოსული პარლამენტის როლს ახალი მთავრობის დანიშვნის საკითხში, აერთიანებს საქართველოს და აყალიბებს ყველა პარტიის ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვან პრეცედენტს. ევროკომისარი ფულე მოუწოდებს საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, გააგრძელონ ერთობლივი მუშაობა ამ კონსტრუქციული სულისკვეთებით ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე“.**

„ინტერპრესნიუსი“

სალომე ზურაბიშვილმა ჯერ არ იცის, სად იქნება საჭირო მისი გამოცდილება

„საქართველო გზის“ ყოფილი ლიდერი სალომე ზურაბიშვილი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატი გახდეს, თუმცა განმარტავს, რომ ყოველთვის გეგმავდა პოლიტიკაში დაბრუნებას: **„როდესაც წავედი, მაშინვე გამოვაცხადე, რომ ეს იყო ტაიმ-აუტი და არა სამუდამო წასვლა. ამჟამად, საქართველოში ჩამოვედი სხვა მისიით, სხვა საქმით, კერძოდ, გაერო-ს მისიით, რასაც 2 წელზე მეტია ვემსახურები“.**

კითხვაზე, თუ შესთავაზა პრემიერ-მინისტრმა რაიმე თანამდებობა, ზურაბიშვილმა უპასუხა, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ, რამდენჯერაც ჩამოვიდა საქართველოში, ბიძინა ივანიშვილს იმდენჯერ შეხვდა და, შესაბამისად, იყო განხილვაც, **„როგორი იქნებოდა ჩემი დაბრუნება. ყველაფერზე გვქონდა საუბარი, თუმცა არა კონკრეტულ თანამდებობაზე. მე ვემზადები ყველაფრისთვის და ჯერ გარკვეული არ არის, სად ვიქნები საჭირო“.**

ზურაბიშვილმა განმარტა, რომ ბოლო ვიზიტისას ივანიშვილს არ შეხვედრია, რადგან სხვა მისიით იყო ჩამოსული, პარტია „საქართველოს გზა“ კი ადგილობრივ არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან მოლაპარაკებები ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად უნდა წარიმართოს: **„პირველ რიგში, ქვეყანამ უნდა გააანალიზოს, სად ვართ. ამის შემდეგ, ჩვენი ხვალინდელი ევროპული და ამერიკული გზები გადის მშვიდობაზე, გარკვეული ფორმის მოლაპარაკებასა და არა დათმობაზე. ნორმალურია ალბათ, როცა ურთიერთობებში სიმწვავე მთავრდება და რაღაც ახალი იწყება, მოლაპარაკებები კი, უნდა შედგეს ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად. ჟენევის ფორმატი ჩემთვის არაფერია, რადგან წინა ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, მასში აღარ ვმონაწილეობთ. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და არ გვაქვს უნარი, მოლაპარაკებებზე ერთი ერთზე დავრჩეთ, აუცილებლად გვჭირდება პარტნიორები, რომლებიც დავკარგეთ“.**

„ვერსიანიუსი“

საბურთალოს გამგებლის მოადგილედ მაკა გიგაური ინიშნება

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი მაკა გიგაური საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილედ ინიშნება. ინფორმაციას თავად მაკა გიგაური ადასტურებს და განმარტავს, რომ საბურთალოს გამგებლის, გია ხუროშვილის მოადგილედ მისი დანიშვნა აპრილიდან იგეგმება: **„პარლამენტიდან ჩემი გათავისუფლების შესახებ განცხადებისთვის ხელი პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს ჯერ არ მოუწერია. ამას უსუფაშვილი, სავარაუდოდ, აპრილში გააკეთებს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ჩემი დანიშვნა გამგებლის მოადგილედ“.**

„ინტერპრესნიუსი“

წინ ცოდნისა და ინოვაციებისაკენ

დავით გაბუნია
საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი

ცივილიზაციის მამოძრავებელ ფაქტორებს მეცნიერული მიღწევები და მათი შედეგების პრაქტიკული რეალიზება წარმოადგენს. ახალი იდეების გენერირებამ და ეფექტურმა გამოყენებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში, როცა ცოდნა გახდა ეკონომიკური ზრდის, ახალი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისა და ბაზარზე წარმატების მიღწევის ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი. სამწუხაროდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში, საქართველოში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა მძიმე ზეგავლენა იქონია ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნოლოგიური სფეროს მდგომარეობაზე. პრაქტიკულად, მოხდა ამ სფეროების სრული მარგინალიზაცია, რეფორმების განხორციელების ეგიდით, ხელისუფლებამ ისინი გახადა უსისტემო და არაპროფესიონალური გადაწყვეტილებების ობიექტად. ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრიორიტეტების გამოკვეთა და აქ არსებული მაღალკვალიფიციური კადრების ამ მიმართულებით კონსოლიდაცია, დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების დახურვის და შერწყმის ვოლუნტარისტული პროცესი. კატასტროფულად შემცირდა კვლევითი სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსება, ბევრი ცნობილი მეცნიერი დარჩა უმუშევარი. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში მეცნიერისა და ინჟინრის საქმიანობა გახდა არაპრესტიჟული და დაბალანაზღაურებადი, წლიდან წლამდე იკლებს საქართველოში შექმნილი გამოგონებების რაოდენობა, პრაქტიკულად, არ ხდება მათი კომერციალიზაცია. მკვეთრად შემცირდა მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტებზე სწავლების მსურველთა რიცხვი.

საქართველოში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროებში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობაზე არაერთხელ ყოფილა მითითება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ისე ქართველი მკვლევარების გამოქვეყნებულ მასალებში. **მსოფლიო ბანკის 2012-2013წ. ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ „შესაბამისად, საქართველოს 144 ქვეყანას შორის უკავია: 114 ადგილი განათლების ხარისხის; 125 ადგილი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ხარისხისა და 116 ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. საქართველო ამ მაჩვენებლებით ჩამორჩება თავის უახლოეს მეზობლებს — როგორც სომხეთს (შესაბამისად, 79,111, 62 ადგილები), ისე აზერბაიჯანს (შესაბამისად, 109,65,39 ადგილები).**

სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში საქართველოში ამჟამად არსებული ვითარება უნდა შეფასდეს როგორც კატასტროფული, რასაც სამომავლოდ, შეიძლება, მოჰყვეს ქვეყნისთვის დამღუპველი შედეგები. დღეს, როცა კონკურენტულმა ბრძოლამ მიიღო გლობალური ხასიათი, მხოლოდ მაღალგანათლებულ და ინოვაციებზე ორიენტირებულ ერებს ეძლევათ მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესაძლებლობა, თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების რეალური შანსი. ამასთან, სრულიად მიუღებელია შეხედულება, თითქოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფერო დიდი სახელმწიფოების პრეროგატივას წარმოადგენს, ხოლო მცირე ქვეყნებს მხოლოდ მათი მიღწევების მომხმარებლების როლი განეკუთვნება. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე ინოვატური ქვეყნების სიას სათავეში უდგანან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა დანია, შვეცია, ფინეთი, ირლანდია, ისლანდია, ისრაელი. გააზრებული და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საფუძველზე, ბოლო პერიოდში, ამ სფეროში საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლებმა სლოვენიამ და ესტონეთმა. შესამჩნევია ამ მიმართულებით ადრე ნაკლებად ცნობილი ისეთი ქვეყნების, როგორიცაა კვიპროსი და შრი-ლანკა შედეგები. ყველა ამ ქვეყანამ წარმატებებს მიაღწია გააზრებული და მიზანმიმართული საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე.

მისასალმებელია, რომ ახალმა მთავრობამ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები — გაიზარდა განათლებაზე გამოყოფილი დაფინანსება, სახელმწიფო უნივერსიტეტებში შემოღებულ იქნა უფასო სწავლება საბუნებისმეტყველო, მათემატიკისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სხვა სპეციალობებზე, პროფესორ გია დვალის ხელმძღვანელობით, შემუშავდა ტენუარის პრინციპზე აგებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფცია, რომლის მიზანს ქვეყანაში საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრების შექმნის სტიმულირება წარმოადგენს.

როგორც მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს განათლებისა და მეცნიერების რეფორმების შედეგების შემდგომი ტრანსფორმირება ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებაში, რაც საზოგადოდ, ასეთი რეფორმების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფოს პირდაპირი ზრუნვის საგანი ასევე უნდა გახდეს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის ინოვაციური კომპონენტის განვითარება.

ამ მიდგომამ, რომელიც ცოდნის სამკუთხედის კონცეფციის სახელითაა ცნობილი, ბოლო ათწლეულებში მკაფიო გამოხატულება ნახა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებში. იგი დაედო საფუძვლად ევროკავშირის ინოვაციური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს — ლისაბონის პროცესს და ჰორიზონ 2020-ს; აისახა ევროკავშირის როგორც ეროვნული, ისე რეგიონული დონის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტებში. მიგვაჩნია, რომ ევროპული საინოვაციო პოლიტიკის პრინციპები უნდა გახდეს ძირითადი გზამკვლევი საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისთვის, ხოლო ინოვაციური სფერო მიჩნეულ იქნეს ევროკავშირთან თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტად.

როგორც ევროპული, ისე სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინოვაციური პროცესის წარმატებულად წარმართვა საჭიროებს:

ა) შესაბამისი ადამიანური რესურსის განვითარებას;

ბ) კვლევა-დამუშავება-ინოვაცია ერთიანი ეფექტური სისტემის ორგანიზებას;

გ) საწარმოო სექტორის ინოვაციური პოტენციალის ზრდის უზრუნველყოფას;

დ) ინოვაციური პროცესების სახელმწიფო მართვის მაღალეფექტური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

დღესდღეობით, საქართველო ყველა ამ სფეროში დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე. ქვეყანას სჭირდება ძლიერ პოლიტიკურ ნებაზე დაფუძნებული, კარგად ორგანიზებული და მიზანმიმართული ძალისხმევა ამ მიმართულებით, რათა მიაღწიოს ინოვაციური პროცესების შედეგიანად წარმართვისთვის აუცილებელ მინიმალურ კონდიციებს.

ადამიანური რესურსის განვითარება

ინოვაციური პროცესების შედეგიანად წარმართვა ითხოვს: მაღალი კლასის მკვლევარებს, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებში და არიან ღია ინდუსტრიასთან თანამშრომლობისთვის;

ნოვატორ მეწარმეებს, მაღალპროფესიონალ ინჟინრებსა და სპეციალისტებს, რომლებიც კოოპერირებენ ახალი პროდუქტების, სერვისებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად და მათი ბაზრისათვის და საზოგადოებისათვის შესათავაზებლად.

საქართველოში შესაბამისი ადამიანური რესურსის გენერირება მოითხოვს მეცნიერისა და ინჟინრის საქმიანობის პრესტიჟულობის აღდგენას, განათლების სისტემის ისეთ რეფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მაღალი ხარისხის დამკვიდრებას, მოსწავლეებსა და სტუდენტებში კრეატიულობისა და ინოვატურობის განვითარებას.

სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების დონის ამაღლებას, მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, მათი მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევებით დაინტერესებას, ამ მიზნით მოსწავლეების სხვადასხვა შემოქმედებით და სამეცნიერო-ტექნიკურ წრეებში ჩაბმას; უნდა შემუშავდეს სპეციალური სამაგისტრო პროგრამა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლების მოსამზადებლად. მასწავლებლის პროფესია უნდა იქცეს ერთ-ერთ პრესტიჟულ და მაღალანაზღაურებადად. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ ობამას ინიციატივით, 2012 წელს ასეთი პროგრამა ამუშავდა შეერთებულ შტატებში.

უნივერსიტეტებში უპირველეს ამოცანად უნდა განისაზღვროს მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფილის ფაკულტეტების უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლებით დაკომპლექტება, მათი კარიერული ზრდის ეფექტური მოდელის დანერგვა. საყოველთაო პრაქტიკად უნდა იქცეს სასწავლო პროცესში მეცნიერ-მკვლევართა ფართო მონაწილეობა, მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სპეცკურსების წასაკითხად უცხოელი ლექტორების მოწვევა და ცნობილი მეცნიერების ვიდეო ლექციების გამოყენება; მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით და საინოვაციო პროექტებში ჩართვას, მათ

წინ ცოდნისა და ინოვაციებისაკენ

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მივლინებას, უცხოეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტების გაცვლის ინტენსიფიცირებას. უნივერსიტეტებში უნდა ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტის სტრუქტურული ერთეულები, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფილის ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნას სავალდებულო კურსები დაკავშირებული სამეწარმეო- საინოვაციო საქმიანობის წარმართვასა და ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტთან. მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროფილის დარგებში დოქტორების მომზადების მრავალწლიანი გეგმა და მაქსიმალურად გამოიყენოს მის განსახორციელებლად საერთაშორისო კოოპერაცია.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებათა კომპლექსი სამეცნიერო და საინჟინრო საქმიანობის პრესტიჟულობის აღსადგენად, ხელი შეუწყოს ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას და ჩაბმას სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობაში. ქვეყანაში მაღალი ინოვაციური კულტურის ჩამოყალიბება უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი. ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ტელევიზია და მასმედიის სხვა საშუალებები.

სამეცნიერო-კვლევითი და საინოვაციო საქმიანობის ორგანიზება

შეზღუდული ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, საქართველო ვერ გახდება ერთნაირად წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საინოვაციო საქმიანობის უმრავლეს სფეროებში. არსებული შესაძლებლობების ეფექტიანად და ოპტიმალურად გამოყენებისათვის უნდა მოხდეს პრიორიტეტების გამოკვეთა და ქვეყნის რესურსების ამ მიმართულებებით კონცენტრაცია.

სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების დამუშავების სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი კრიტერიუმები უნდა იყოს:

— კვლევებისა და დამუშავებების შედეგების საერთაშორისო აღიარება;

— ქვეყნისთვის სტრატეგიულ სოციო-ეკონომიკურ ამოცანებზე ორიენტაცია;

— ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

ქვეყანამ ასევე უნდა უზრუნველყოს კვლევების გარკვეული დივერსიფიკაცია, რომლებიც გამომდინარეობენ საზოგადოების საერთო კულტურული და საგანმანათლებლო მიზნებიდან.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების არეალში უნდა მოექცეს დღევანდელობის საბაზისო ტექნოლოგიების (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, თანამედროვე მასალების მიღება) განვითარება, რომელთა საწარმოო გამოყენება განსაკუთრებით მაღალ დამატებულ ღირებულებას სძენს პროდუქციას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. დასახული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს კვლევების გარშემო კრიტიკული რაოდენობის მოტივირებული და მაღალი დონის სამეცნიერო და საინჟინრო რესურსის შემოკრებას, კვლევების, დამუშავებებისა და დემონსტრირებისათვის აუცილებელი თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ფორმირებას, დაფინანსების რელევანტური მექანიზმების ამოქმედებას. რთული და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისთვის უნდა გამოყენებულ იქნას პროგრამული მიდგომები უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციების მონაწილეობით.

უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურად, სახელმწიფო უნივერსიტეტების საქმიანობა უნდა გაცდეს ტრადიციულ აკადემიურ ჩარჩოებს და მნიშვნელოვნად იქნას ორიენტირებული ინოვაციური პროექტების განხორციელებაზე. ხელი უნდა შეეწყოს უნივერსიტეტებთან ტექნოლოგიური ინკუბატორებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრების შექმნას, მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევების საფუძველზე სტარტაფების ფორმირებას. სამეცნიერო- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, სახელმწიფო სტრატეგიას ძვირადღირებული დანადგარებისა და მოწყობილობების ერთობლივი გამოყენების ცენტრების შექმნა უნდა წარმოადგენდეს.

საწარმოო სექტორის ინოვაციურობის გაძლიერება

ქვეყანაში ინოვაციური პროცესის განხორციელება დამოკიდებულია საწარმოების ინოვაციურ პოტენციალზე, მენეჯმენტის მიერ რისკების გათვლისა და გაწევის უნარზე, ვენჩურული კაპიტალის მოზიდვის საშუალებაზე, ინოვაციური საქმიანობის წარმართვისთვის ხელსაყრელი ფისკალური გარემოს არსებობაზე.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის აქტიურობის შემცირების ფონზე, ფართო ხასიათი მიიღო სახელმწიფოების უშუალო მონაწილეობამ ინოვაციურ პროექტებში სრული დაფინანსების ან თანადაფინანსების საფუძველზე, რაც, ჩვენი აზრით, ასევე უნდა გახდეს საქართველოს ინოვაციური პოლიტიკის ერთერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. ხელი უნდა შეეწყოს საწარმოების თანამშრომლობას უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მხარდაჭერა უნდა გაეწიოს მცირე და საშუალო საწარმოებს, რისთვისაც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას საინოვაციო ვაუჩერები და ბონუსები. მცირე და საშუალო საწარმოებს უნდა გაეწიოთ უფასო დახმარება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოვლენაში, მათ მენეჯმენტსა და დაცვაში.

უნდა შემუშავდეს საწარმოებში საინოვაციო პროექტების განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც სტიმულს მისცემენ სასწავლო და საკვლევ ორგანიზაციებს ასეთ პროექტებში მონაწილეობას, ამ პროექტებს საფუძვლად უნდა დაედოს მონაწილეთა შორის სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის თავისუფალი გაცვლისა და ინტელექტუალური საკუთრების ერთობლივი ფლობის პრინციპი. უნდა მოხდეს ფისკალური პოლიტიკის ორიენტირება ინოვაციური საქმიანობის წახალისებაზე, ამ მიზნით გამოყენებულ იქნას საგადასახადო შეღავათები და სხვა ინსტრუმენტები.

საქართველოში ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, ინოვაციური პროცესების მთავარ წყაროს ტექნოლოგიური საშუალებების იმპორტი წარმოადგენს, რომელიც, ძირითადად, უცხოური, პირდაპირი ინვესტიციების ხარჯზე ხორციელდება. ასეთი ინვესტიციების მოზიდვის პირობას ქვეყანაში კვალიფიციური ადამიანური რესურსების არსებობა, საკუთრების ხელშეუხებლობა, ინვესტიციების განთავსებისთვის ხელსაყრელი გარემოს (მათ შორის თავისუფალი ზონების) შექმნა წარმოადგენს. ამ ტიპის ინოვაციების ხელშეწყობა ასევე, სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

ინოვაციური პროცესების მართვა

ბოლო ათწლეულების საერთაშორისო გამოცდილებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ინოვაციური პროცესების წარმართვა, მხოლოდ საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე, ვერ აღწევს სათანადო მიზანს და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან როგორც ორგანიზაციულ, ისე ფინანსურ ინტერვენციას. დღეს, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ინოვაციური პროცესების მართვა, ძირითადად, ხორციელდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური სქემების შეხამებით, სახელმწიფო ფონდებისა და კერძო ინვესტიციების ერთობლივი გამოყენების საფუძველზე. გამომდინარე პრობლემის ხასიათიდან და მასშტაბებიდან, მის მართვას შეიძლება ჰქონდეს დარგობრივი ან დარგთაშორისი ხასიათი. უკანასკნელ შემთხვევაში, მართვა საჭიროებს დარგთაშორისი ინსტიტუციების ფორმირებას, რომლებადაც, ძირითადად, გვევლინებიან დარგთაშორისი კონსორციუმები და პროგრამები უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და საწარმოების მონაწილეობით. პროგრამების მართვას ახორციელებენ სპეციალურად შექმნილი საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში ჩვეულებრივ შედიან ოფიციალური სტრუქტურებისა და პროგრამის მონაწილეთა წარმომადგენლები.

განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც დღეს ენიჭება სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პროცესებს ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში, მათი მართვა საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბებში უმრავლეს ქვეყნებში აყვანილია უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე და ხორციელდება სპეციალური საბჭოების მონაწილეობით, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქვეყნის პირველი პირები. ასეთი საბჭოების ძირითადი ფუნქციებია: სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, მათი მხარდაჭერის საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების შემუშავება, ამ სფეროებში მიმდინარე საქმიანობის შეფასება და კოორდინაცია, სამეცნიერო და ინოვაციური ფონდების განვითარებასთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება და სხვა.

მიუხედავად დეკლარირებული ევროპული განვითარების გზისა, რომლის მთავარ ინსტრუმენტად ევროკავშირმა მეცნიერული მიღწევები, ტექნოლოგიური დამუშავებები და ინოვაციები მიიჩნია, წინა ხელისუფლების პირობებში ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარება, პრაქტიკულად, ტაბუდადებული თემა იყო და ვერ ნახულობდა მეტნაკლებად სერიოზულ სახელისუფლებო მხარდაჭერას, რამაც არაერთხელ ნახა ასახვა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკულ შეფასებებსა და რეკომენდაციებში.

ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს აქტუალიზება მოხდა მხოლოდ 1 ოქტომბრის შემდეგ. ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯებიდან და საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე, გაჩნდა დიდი იმედი, რომ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარება თანდათანობით შეიძენს საჭირო მიზანდასახულობასა და მასშტაბურობას. ამ ამოცანის გადაწყვეტის უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური საინოვაციო განვითარების კონცეფციისა და მისი რეალიზების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება გვესახება, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ხელისუფლებამ, ისე აკადემიური და ბიზნესწრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

დავით ნარმანიას ბრალდებები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერების თაობაზე გაკეთებული განცხადებების გამო, სიცრუეში ადანაშაულებს: **„რეგიონებში სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, მიხეილ სააკაშვილი კი დადის და საუბრობს, რომ ახალი ხელისუფლება ხალხზე არ ზრუნავს. მოვიყვან ორ მაგალითს: პირველი, მან თქვა, რომ ე.წ. ოქროსქვიშიანი პლაჟის პროექტი, რომელიც ბათუმში უნდა განხორციელებულიყო, შეჩერდა. სააკაშვილის ინიციატივით, ბათუმში ოქროსქვიშიანი სანაპიროს გაკეთება იყო დაგეგმილი, რომლის ჯამური ღირებულება 200 მილიონ ლარს შეადგენდა. ახალი ხელისუფლების პირობებში, დავიწყეთ ამ პროექტის მოდიფიცირება და დაიზოგება 80 მილიონი ლარი, რომელიც სოციალურად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას მოხმარდება, არადა ოქროსქვიშიანი პლაჟის შენახვის ყოველწლიური ხარჯი 3 მლნ ლარზე მეტი იქნებოდა. მეორე, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა, სამცხე-ჯავახეთში ჩაკეტილი გზაა და ესეც მორიგი სიცრუეა. საუბარია ტიკმატაჟის უღელტეხილზე, რომელიც, ზამთარში იკეტება. 2007 წელს მიღებული დასკვნით კი, საქართველოში ასეთი რამდენიმე გზა არსებობს და ინფორმაცია, თითქოს ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნის პირობებში გზები იწმინდებოდა, სიცრუეა, რაც ხალხის შეცდომაში შეყვანას ემსახურება“.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ქვეყნის პირველ პირს მოუწოდა, ცრუ ინფორმაციების გავრცელებისგან თავი შეიკავოს: **„თუ სააკაშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას, შეუძლიათ, მობრძანდნენ სამინისტროში ან ეწვიონ ჩვენს ვებგვერდს“.**

ნარმანიამ გორში უხარისხოდ გადახურული მაღალსართულიანი სახლების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შესაძლოა, სამი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს: **„მრავალსართულიანი სახლების უმეტესობა, რომელსაც ქარმა გადახადა სახურავი, სავარაუდოდ, 2012 წელსაა გადახურული სამი კომპანიის მიერ. ხელწერა ერთი და იგივეა, ჩვენ კი წინასაარჩევნოდ, სწრაფად და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოსთან გვაქვს საქმე. ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, შესაძლებელია, დადგეს იმ კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც ეს სამუშაო შეასრულეს“.**

მინისტრი ტურიზმის თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგების მიუხედავად, აჭარაში ტურისტული სეზონის ჩავარდნის საფრთხე არ არსებობს, აჭარაში გაწმენდითი სამუშაოები თითქმის დასრულებულია და ნაპირდაცვითი სამუშაოებიც მიმდინარეობს: **„უფრო ინტენსიური სამუშაოები ნაპირდაცვასთან დაკავშირებით, 2014 წლიდან განხორციელდება, ტურისტულ სეზონამდე კი თავისუფლად მოესწრება ძირითადი სამუშაოები, რაც სანაპიროს ზედმეტი ქანებისგან გაწმენდასა და მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის აღდგენას სჭირდება, ზაფხულის ტურისტულ სეზონს არანაირი საფრთხე არ დაემუქრება“.**

მინისტრის ინფორმაციით, სტიქიისგან მიყენებული ზარალის ოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს და 5 მლნ ლარს გადააჭარბოს: **„სტიქიით დაზარალებულ მუნიციპალიტეტებს დაემატა ორი ადგილობრივი თვითმმართველობა, სადაც საკუთარი რესურსებით გაუჭირდებათ გამკლავება სტიქიის შედეგებთან, ესაა დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტები“.**

„ვერსიანიუსი“

ჰოროსკოპი
29 მარტი

ვერძი — რაც უნდა კარგი განზრახვა გქონდეთ, დღეს ეგელასფერი ისე არ იქნება, როგორც გსურთ. მოვლენების ეპიცენტრში მოხვდებით და თავის დაღწევა ძალიან გაგიჭირდებათ. ნაკლებად აუვით ემოციებს და მეტი მოთმინება გამოიჩინეთ, ნელ-ნელა ეგელასფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

კურო — ზომიერების გრძნობა იქონიეთ და თუ ვერ არმივეთ თავს ამ ამოცანას, მაშინ სჯობს, სხვას სთხოვოთ დახმარება. დღეს დაშვებული ნებისმიერი შეცდომა, უსიამოვნებას გიქადით, ამიტომ ეურადღების კონცენტრაცია ნამდვილად არ გაწყენთ.

ტყუპები — დღეს თქვენს გარშემომყოფებს ის უფრო დაინტერესებთ, რას აკეთებთ კონკრეტულ სიტუაციაში, ვიდრე სამომავლო გეგმები... ასე რომ, სჯობს, ამ თემაზე ნაკლები ისაუბროთ, რადგან უეურადღებობამ, შესაძლოა, მათი განხორციელების სურვილი დაგიკარგოთ.

კირჩხიბი — არ ღირს იმის დაუფასებლობა, რაც ბედმა გარგუნათ. ამის გამო შესაძლოა, ფორტუნა გაგინაწყენდეთ და ზურგი გაქციოთ, ამიტომ მადლიერი იყავით იმისთვის, რაც გაგაჩნიათ და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა განაგრძეთ.

ლომი — თუ დღეს თავს დასვენების უფლებას მისცემთ და მომდინარე მოვლენებს არ გააკონტროლებთ, შესაძლოა, ეს ძვირად დაგიჯდეთ. არც დასვენება გამოგივათ და სიტუაციაზე კონტროლსაც დაკარგავთ, ამიტომ იყავით მობილიზებული და ეს თქვენს კარიერაზე დადებითად აისახება.

ქალწული — დღეს ენთუზიაზმით ხართ სავსე. ნურავის მისცემთ უფლებას, ჩაახშოს თქვენში ეს შესანიშნავი თვისება. უდავოდ, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ და ძალე ამაში გარშემომყოფებიც დარწმუნდებიან.

სასწორი — ნუ დაგავიწყდებათ, რომ გალიაში გამოკეტილი ცხოველი არ ხართ და არაფერი გიშლით ხელს, დატოვოთ ადგილი, სადაც ეოფნა ძალიან მოგბეზრდათ. არ შეგაშინოთ ცვლილებებმა, რისკს შედეგი აუცილებლად გაამართლებს.

ღრიანკალი — ნუ დაივიწყებთ იმ ადამიანებს, ვინც თქვენთვის სულერთი არ არის. გახსოვდეთ, რომ ტკბილი სიტყვა ეგელას სიამოვნებს, მათ უმეტეს, კოლეგებს.

მშვილდოსანი — დღეს, ისე როგორც არასდროს, გეჭირდებათ, აკონტროლოთ მომდინარე მოვლენები. ერთი წამითაც რომ მოწყდეთ ამ ეგელასფერს, სიტუაცია თავდაყირა დადგება, მერე კი საკმაოდ გაგიჭირდებათ არსებულ ქაოსში გარკვევა.

თხის რქა — თუ გარშემომყოფთა მოსაზრებებს შორის, ჭეშმარიტებასთან მიახლოებული არც ერთი არ აღმოჩნდა, მოგიწევთ, არსებულ პრობლემებს საკუთარი ძალებით გაუმკლავდეთ.

მერწყული — დღეს შესაძლოა, პროტესტის გრძნობა გაგიჩნდეთ ეგელასა და ეგელასფრის მიმართ. თუკი ობიექტურობის შენარჩუნებას ვერ მოახერხებთ, შეეცადეთ, სიტუაციას გაერიდოთ. ასე, გამოუსწორებელ შეცდომებს აიცილებთ თავიდან.

თევზები — შესანიშნავ ხასიათზე მეოფი თევზები, დღევანდელი სიტუაციის საერთო დაძაბულობას ერთგვარ სიმსუბუქეს შესძენენ. ასეთი დამოკიდებულება ზოგს გულწრფელად გაუხარდება, ზოგი კი სამუშაო პროცესის ჩაგდებაში დაგადანაშაულებთ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდამა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰოროსკოპი
30 მარტი

ვერძი — დღეს მეტი მოთმინება გმართებთ, თუ არ მისცემთ გასაქანს ემოციებს და მცირე ძალისხმევას მაინც გაიღებთ სიმშვიდის შესანარჩუნებლად, ეს მხოლოდ დადებითად აისახება თქვენს სამომავლო პერსპექტივაზე.

კურო — დღეს მარტივად მოახერხებთ იმის გაკეთებას, რაც გარშემომყოფებს, უბრალოდ, შეუძლებლად მოეჩვენებათ და მათ აღტაცებასაც დაიმსახურებთ.

ტყუპები — დღეს, სჯობს, რაიმე გლობალური წამოიწყოთ, მაგრამ თუკი ამის სურვილი არ გაქვთ, არ დაგავიწყდეთ, რომ წვრილმანი პრობლემებიც უხვადაა და დროა, მათ მოგვარებაზეც იზრუნოთ.

კირჩხიბი — დღეს არსებობს რისკი, საკმაოდ კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. გამძლეობა და თავდაჯერებულობა დაგჭირდებათ, საგრძნობი დანაკარგის გარეშე რომ დაადწიოთ თავი არსებულ ქაოსს.

ლომი — სასურველია, დღე მეგობრების გარემოცვაში გაატაროთ, დაისვენეთ, გაერთეთ და ეცადეთ, ცოტა ხანს მაინც არ იფიქროთ სამსახურზე, რადგან საქმიანი მოდვაწეობა წარმატებული ნამდვილად არ იქნება.

ქალწული — თავი ხელში აიყვანეთ და ეცადეთ, გუმკლავდეთ ცდუნებას. სადი აზრი და ემოცია ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნეთ და ასე არსებულ ვითარებაში ნაკლებად დაზარალდებით.

სასწორი — დღეს მეგობრებს თქვენი მხარდაჭერა და თანაგრძნობა დასჭირდებათ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტი ლოიალობა მათთვისვე იქნება საზიანო, ამიტომ ნუ მოერიდებით სიმართლის თქმას და ეს პირდაპირობა კოლეგებთან ურთიერთობაშიც გამოიყენეთ.

ღრიანკალი — გირჩევთ, ნაკლებად გამოხატოთ თქვენი აზრი იმ პირთა შესაძლებლობებზე, ვისთანაც ეოველდღე ურთიერთობთ. მართალია, ისინი დიდ აღფრთოვანებას არ იწვევენ, მაგრამ ამის გამო, სულელებად ნუ გამოაცხადებთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს უდავოდ, წაადგებათ ფიზიკური დატვირთვა. ასეთი სახის აქტიურობა ოდნავ მაინც გაანელებს თქვენს სულში მოგიზგიზე ცეცხლს და გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმის რისკსაც შეამცირებს.

თხის რქა — ზოგადად, თანამშრომლობა აადვილებს ცხოვრებას, თქვენი შემთხვევაც არ არის გამონაკლისი. ჩართეთ შინაურები თქვენს საქმიანობაში, მათაც გაუზიარეთ პასუხისმგებლობა და მთელი ტვირთის ზიდვა მარტოს აღარ მოგიწევთ.

მერწყული — თუ რაიმე დაუსრულებელი საქმე გაქვთ, სჯობს, დღეს მიხედოთ, გადადება აღარ ღირს, რადგან ეს სამომავლო პერსპექტივებზე უარეოფითად აისახება.

თევზები — დღეს იოლი შემოსავლის მიღების ცდუნებამ, შესაძლოა, სულელური შეცდომები ჩაგადენინოთ. მით უმეტეს, რომ თქვენი შემოსავალი არც ისე დიდია. ეცადეთ გააკონტროლოთ თავი და ნურც გარშემომყოფებს შეუქმნით პრობლემებს.

მწვანე ჩაი ტვინის უჯრედებს იცავს

თუ მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, არ გაგიკვირდეთ, ექიმმა სამკურნალოდ მწვანე ჩაი თუ დაგინიშნათ. ძილის დროს სუნთქვის დარღვევა, სისხლში ჟანგბადის ნაკლებობას იწვევს და ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს. შედეგად, ვითარდება ისეთი დაავადებები, როგორიცაა არტერიული ჰიპერტენზია, ინფარქტი, ინსულტი და მეხსიერების დაქვეითება. ანტიოქსიდანტები კი, რომელსაც მწვანე ჩაი შეიცავს, აუმჯობესებს ადამიანის ჯანმრთელობას და ტვინის უჯრედებს იცავს ნეიროდეგენერაციული დაზიანებისგან. ამერიკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი თაგვებზე ჩაატარეს, რამაც ეს მოსაზრება დაადასტურა.

ტრუსი პრეზერვატივით

თეთრეულის ახალი ხაზი, რომელიც დიდ ბრიტანეთში გამოვიდა, ადამიანებს უსაფრთხო სექსის გარანტიას აძლევს, „საჭირო ადგილას ჩამონტაჟებული“ პრეზერვატივით. თეთრეულის მწარმოებელი კომპანია Swansky ამ სიახლით უსაფრთხო სექსის პროპაგანდას ეწევა, ტრუსის დიზაინი მარტივია, მისი უნიკალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ პატარა ჯიბე აქვს მიკერებული, სადაც იდეალურად თავსდება კონდომი. ახალი საცვლის ფასი 7 გირვანქა სტერლინგია, მსურველებს კი მოდელიერები კლასიკური — შავი და თეთრი ფერის თეთრეულს სთავაზობენ.

რუმინელმა საკუთარი ქელეხი გადაიხადა

73 წლის რუმინელმა მამაკაცმა საკუთარი დაკრძალვის ცერემონია გადაიხადა, ახლობლები რომ არ შეეწუხებინა და დარწმუნებული ყოფილიყო, ეს ღონისძიება სწორედ ისე ჩაივლიდა, როგორც თავად სურდა. მარტინ ვოინიცუმ სუფრა გაშალა, სადაც ნათესავები, მეგობრები... დაპატიჟა და ცოტა ხნით კუბოშიც კი ჩაწვა. სოფლის მღვდელმსახურმა წესი აუგო „მომავალ მიცვალებულს“, ვოინიცუმ ახლობლებს სთხოვა, ხმამაღლა დაეტირებინათ, ბოლოს კი განაცხადა — კმაყოფილი ვარ საკუთარი დაკრძალვითო. ვოინიცუს ოჯახმა ეს გადაწყვეტილება მოიწონა — მისი გარდაცვალების შემდეგ გაცილებით რთული იქნებოდა დაკრძალვის ორგანიზება, რადგან ძალიან დამწუხრებულები ვიქნებოდითო.

სოლარიუმში კანი დაიწვა

ამერიკელი ქალბატონი პატრიცია კრენსტილი ცხოვრების აზრს ხელოვნური მზის გარეშე ვერ ხედავს — ის ყოველდღე მიდის სოლარიუმში გასარუჯად და კანი მუქ ყავისფერ შეფერილობამდე მიჰყავს. ნიუ-ჯერსის მცხოვრები პატრიცია იხსენებს, რომ ფერმკრთალი არასოდეს ყოფილა — საათობით იწვა ზღვის სანაპიროსა თუ საკუთარ ბაღში მზის გულზე, 12 წლის წინ კი აღმოაჩინა, რომ ნამზეურის მიღება თავისუფლად შეეძლო სოლარიუმში. ახლა ხელოვნურ მზის აბაზანებს პატრიცია ყოველდღე იღებს და ამას საკუთარ ოთხ შვილსაც აჩვევს. როცა სკოლის მედდამ რვა წლის გოგონას სახეზე დამწვრობის კვალი შენიშნა, დედა სკოლაში დაიბარეს, ეს ისტორია გახმაურდა, რის შემდეგაც პატრიციას ქმარი და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი სამსახურიდან დაითხოვეს. ქალბატონ კრენსტილს ექიმები კანის კიბოს უწინასწარმეტყველებენ და ვარაუდობენ, რომ მას ტანორექსია — ულტრაიისფერ სხივებზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულება აქვს, მაგრამ ქალი მაინც არ ნებდება. ყველაზე მეტად კი ახლა იმას განიცდის, რომ ფულის ნაკლებობის გამო, იძულებულია, სოლარიუმში სეანსები „ჩააგდოს“. ამჟამად, ოჯახი ლონდონში გადასასვლელად ემზადება, პატრიცია კი იმედოვნებს, რომ ნისლიან ალბიონზე საკუთარი მისწრაფებისთვის არავინ განსჯის და სოლარიუმში ისე „დაიხრუკება“, როგორც თავად სურს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	8	4	7	2	6	5	3	9
9	3	6	1	5	8	7	4	2
2	7	5	4	3	9	6	1	8
8	2	3	9	1	7	4	6	5
7	6	9	8	4	5	3	2	1
5	4	1	3	6	2	9	8	7
6	1	2	5	9	4	8	7	3
4	5	8	2	7	3	1	9	6
3	9	7	6	8	1	2	5	4

საშუალო

3	9	7	5	8	6	4	2	1
1	8	2	4	3	7	9	6	5
6	5	4	2	1	9	8	7	3
4	1	6	8	5	2	3	9	7
9	3	8	7	4	1	6	5	2
7	2	5	9	6	3	1	8	4
2	7	3	6	9	4	5	1	8
8	6	1	3	2	5	7	4	9
5	4	9	1	7	8	2	3	6

რთული

4	3	2	1	9	8	7	5	6
7	6	1	5	4	3	2	9	8
9	5	8	2	7	6	4	3	1
6	2	9	4	8	1	5	7	3
5	1	7	3	2	9	8	6	4
8	4	3	7	6	5	1	2	9
3	7	6	8	5	4	9	1	2
2	9	4	6	1	7	3	8	5
1	8	5	9	3	2	6	4	7

ექსკლუზიური

5	4	8	3	6	7	2	1	9
3	7	2	9	1	8	6	5	4
6	1	9	5	2	4	3	7	8
4	9	7	2	5	1	8	6	3
2	8	6	7	3	9	1	4	5
1	5	3	4	8	6	9	2	7
9	3	5	1	7	2	4	8	6
8	2	4	6	9	5	7	3	1
7	6	1	8	4	3	5	9	2


ბალეტი
ბიბლიური ტიტანი
ჯორდანი
ბ
ბ
ბ

ჰოროსკოპი
31 მარტი

ვერძი — დღე განსაკუთრებით ხელსაყრელია შემოქმედებითი ადამიანებისთვის. აუცილებელია ძარღვიანი, ცხიმიანი და მწარე საკვების შეზღუდვა. დღის პირველ ნახევარში მოსალოდნელია გეგმების შეცვლა.

კურო — წინა პლანზე წამოწიეთ პროფესიული პასუხისმგებლობა და მატერიალური მოთხოვნილება გამოდის. სამსახური დაგიტავთ ზედმეტი განცდისგან. ხელსაყრელი დროა გაწეული საქმის ანგარიშის შედგენისთვის.

ტყუპები — სამსახურებრივი და პროფესიული საქმიანობისთვის იდეალური პირობები იქმნება. თქვენი შრომა კარგად ანაზღაურდება, მხოლოდ საქმეზე კონცენტრირება და ეოველდღვარ ავანტიურაზე უარის თქმა დაგჭირდებათ.

კირჩხიბი — დღეს საუკეთესო მენეჯერი, ხელმძღვანელი იქნებით, რაშიც მეგობრები თუ კოლეგებიც დაგეხმარებიან. შესაშური წარმატების იმედი არ უნდა გქონდეთ, მაგრამ შეძლებთ მატერიალური მდგომარეობის სტაბილურობის შენარჩუნებას.

ლომი — პარტნიორთან ურთიერთობით დიდ სიამოვნებას მიიღებთ, თუ თქვენი შეხვედრის მოტივი უჩვეულო არ იქნება. საქმიანი მოლაპარაკებაც წარმატებით დასრულდება, რასაც თქვენი პროფესიონალიზმი განაპირობებს.

ქალწული — საეკარელი საქმის კეთება სიამოვნებას მოგანიჭებთ, დღე მშვიდ გარემოში ჩაივლის და არც წარუმატებელი იქნება. ნებისმიერი საქმიანობა, იურიდიული საქმეები თუ სასამართლო პროცესები მხოლოდ თქვენი გამარჯვებით დასრულდება.

სასწორი — იმისთვის, რომ თქვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღოს და მოღვაწეობა სათანადოდ დაგიფასდეთ, ცოტა ხნით განმარტოება მოგიწევთ. უმიზნო დროსტარება სხვა დროისთვის გადადეთ, რადგან დღის განმავლობაში ბევრი შანსი გაქვთ, საიმედო პარტნიორის მხარდაჭერა მოიპოვოთ.

ღრიანკალი — ოჯახური საქმეების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. ხელსაყრელი დროა მშობლების მონახულებისა და მათზე ზრუნვისთვის. წარმატებით გადაიჭრება ფინანსური პრობლემები, თუ მათ ობიექტურად შეაფასებთ და მოგვარების გზებსაც დასახავთ.

მშვილდოსანი — დღეს უდავოდ, გჭირდებათ სიმშვიდე და განმარტოება. შინაგანი დისციპლინა და მტკიცე მოტივაცია კი, დაგეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში. თუ ზომიერების გრძნობა არ გიღალატებთ, არც პრობლემები იჩენს თავს.

თხის რქა — დღეს საიმედო პარტნიორს შეიძენთ, ხელს მოაწერთ შეთანხმებას და საჭირო ინფორმაციასაც მოგაწვდიან, რაც კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს.

მერწყული — დღეს მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულება მოგიწევთ, რასაც ადვილად შეძლებთ ერთგული მეგობრის დახმარებით. ხელსაყრელი დღეა საქმიანი შეხვედრებისთვის და ძომგებიან შეთანხმებასაც მიაღწევთ, რაც განსაზღვრავს თქვენს მომავალს.

თევზები — მოგიწევთ, არსებულ წესებს დაემორჩილოთ, შესაძლოა, ეს თქვენთვის ნაკლებად სასიამოვნო იეოს, მაგრამ სხვაგვარად უსიამოვნებებს ვერ აიცილებთ თავიდან.

მიანმაში ტურისტული პოლიცია ჩამოაყალიბეს

ამ აზიურ ქვეყანაში, რომელიც ადრე, ბირმის სახელწოდებით იყო ცნობილი, სპეციალური პოლიცია შექმნეს უცხოელი ტურისტების მეთვალყურეობისთვის. დამოუკიდებელი სამსახური მხოლოდ და მხოლოდ, ტურისტული ცენტრების პატრულირებას განახორციელებს, ეს გადაწყვეტილება კი ქვეყანაში ტურისტული ბუმის გამო მიიღო ხელისუფლებამ, თანამშრომლებს სპეციალური ტრენინგები ჩაუტარეს და მოგზაურებთან ურთიერთობაც ასწავლეს. ტურისტთა უსაფრთხოების პრობლემა ქვეყანაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც გაირკვა, რომ მათ მისაღებად არც სასტუმროებია საკმარისი და არც კვალიფიციური პერსონალი. შედეგად, სტუმრებს საეჭვო ადამიანები ემსახურებოდნენ, რაც ქვეყნის იმიჯზე უაყოფითად აისახებოდა.

კლინიკაში პაციენტებს ხოცავდნენ

ბრაზილიის ქალაქ კურიტიბაში შემზარავი ფაქტი გამოვლინდა — აქაური კლინიკა Hospital Evangelico-ს ექიმი ვირჯინია სუარეს და სოუზა სამართალდამცავებმა იმის გამო დააკავეს, რომ იგი უკიდურესად მძიმე პაციენტებს სასიკვდილოდ იმეტებდა, კერძოდ, წამლის გადაჭარბებულ დოზას უკეთებდა ან ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მყოფებს, ჟანგბადის მიწოდებს უმცირებდა, რათა პალატებში ადგილი გათავისუფლებულიყო და საავადმყოფოს ახალი პაციენტების მიღება შეძლებოდა. ექიმს 20 ადამიანის მკვლელობაში ედება ბრალი, თუმცა გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოკლულთა რაოდენობა გაცილებით დიდია — ბრაზილიის ჯანდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ 300-მდე ავადმყოფის გარდაცვალების მიზეზია გამოსაძიებელი. როგორც ირკვევა, დე სოუზა მარტო არ მოქმედებდა და მასთან ერთად, სამი ექიმსა და ერთი ექთნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დგას.

ჰარინის დისშვილი საქმიანობა დააკავეს

დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის, პრინც ჩარლზის დისშვილი და ცნობილი ტელეწამყვანი ტარა პალმერ-ტომპკინსონი შვეიცარიაში, ციურიხის აეროპორტში დააკავეს მეტად უცნაური მიზეზით. 41 წლის ტარა სამთო-სათხილამურო კურორტ კლოსტერსიდან ბრიტანეთში ბრუნდებოდა, როდესაც აეროპორტის თანამშრომელთა ყურადღება მისი ბარგის შიგთავსმა მიიპყრო. ეს აურზაური მოდის სახლ „შანელის“ 2009 წლის კოლექციის ფეხსაცმელმა killer heels-მა გამოიწვია, რომელიც კარლ ლაგერფილდის დიზაინითაა შექმნილი და მისი 9-სანტიმეტრიანი ქუსლი ცეცხლსასროლი იარაღის ზუსტი ასლია. ჩარლზის დისშვილმა პოლიციის განყოფილებაში 7 საათი გაატარა და სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ — მსგავს ინციდენტს 2009 წელსაც ჰქონდა ადგილი, როცა მებაჟეებმა მიიჩნიეს, რომ ფეხსაცმლის იარაღად გამოყენება თავისუფლად შეიძლებოდა.

პროდუქტების დათვალიერებაში ფულს გადაახდევინებენ

ავსტრალიაში, ცელიაკიით (გლუტენის აუტანლობა) დაავადებულთა სპეციალური კვების მაღაზიის მეპატრონემ გადასახადი დააწესა იმ კლიენტებისთვის, ვინც მის დაწესებულებაში მხოლოდ ასორტიმენტის დასათვალიერებლად შედის და არაფერს ყიდულობს. სავაჭრო წერტილის მეპატრონე ჯორჯინა აცხადებს, რომ მისი დრო ფული ღირს და არ აპირებს, „საზოგადოებრივი სამუშაო შეასრულოს ან ქველმოქმედებით დაკავდეს“. ქალაქ ბრისბენთან ახლოს არსებული მაღაზიის მესაკუთრე აღიარებს, რომ მომხმარებელი ხშირად მიდის, კონსულტაციას იღებს ამა თუ იმ პროდუქტის არჩევისას, მერე კი არაფერს ყიდულობს. ასეთმა მდგომარეობამ აიძულა ჯორჯინა, „ჯარიმა“ დააწესოს საყიდლების გარეშე წასული კლიენტებისთვის — „უბრალოდ სანახავად“ შესულებს, იგი ხუთ დოლარს გადაახდევინებს. აღსანიშნავია, რომ ცელიაკიით დაავადებულებს ეკრძალებათ პურის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის, ძეხვეულის, პაშტეტის, ორცხობილასა და სხვა პროდუქტის მიღება.

სუდოკუ

ადვილი

			4			2		9
4			2	1				
	1	9				8		
6	5							
			5	2	1			
							5	7
		6				9	3	
				7	2			5
9		1			3			

სტანდარტი

		5				9		
			6	9			2	
2		9						3
1		4		8		5		
				4				
		3		2		8		9
3						1		5
	7			5	4			
		8				3		

რთული

1		9		2				
	6		7		5			9
	3				9	8		
	4				2	1		8
				8				
9		8	1				3	
		6	8				5	
7			5		6		8	
				9		3		7

ექსპერტი

		9		6	5		8	7
7	8		3					9
	4	3					2	
			9	7				
	2		1		6		7	
				8	2			
	9					7	4	
3					9		1	2
8	6		2	1		5		

ალკოჰოლი – ქალის სილამაზის მტერი

სპირტიანი სასმელი განსაკუთრებით ვნებს ქალის სილამაზეს. კანის ელასტიურობის დაკარგვა და ადრეულ ასაკში გაჩენილი ნაოჭები — ეს ალკოჰოლის მძიმე შედეგია. სასმელი ძილის რეჟიმის დარღვევას იწვევს, რაც თვალის ირგვლივ, წრიულ ნაოჭებს აჩენს, სახის კანი ფერმკრთალდება, თმა კი უსიცოცხლო ხდება. გარდა ამისა, ალკოჰოლი ხელს უშლის სწორად კვებას და არ ტოვებს თავისუფალ დროს ფიზიკური დატვირთვისთვის. გამოკვლევებით დადგინდა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელი, რომელიც ხშირად იღებს ალკოჰოლს, რამდენიმე წლის შემდეგ გაცილებით ასაკოვნად გამოიყურება, ვიდრე მისი თანატოლი არამსმელი მანდილოსანი. შოტლანდიის მოქალაქეების მზარდმა მისწრაფებამ სპირტიანი სასმელისკენ, ქვეყნის მთავრობას ფხიზელი ცხოვრების პროპაგანდა „აიძულა“. გადაწყდა, პროგრამის განხორციელება ქალბატონებიდან დაეწყოთ: მედიკოსებმა, თვალსაჩინოებისთვის, ალკოჰოლი ლამაზ სამკაულს შეადარეს და აღნიშნეს, რამდენადაც სამკაული ამშვენებს ქალის სხეულს, ალკოჰოლი იმდენად ამახინჯებსო. სპეციალისტების მტკიცებით, კვირაში 2-3 არაფხიზელი დღეც კი მაშინვე აისახება სახის კანზე, თმაზე, აღნაგობასა და, ზოგადად, სასიცოცხლო ტონუსზე.

ბუდე ადამიანებისთვის

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში მცხოვრები ხელოვანი ჯეისონ ფენი, ბუდეებს აშენებს, ოღონდ არა ფრინველების, არამედ იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურვილი აქვს, ფრინველების ცხოვრებას გაეცნოს და თან ბუნებით დატკბეს. ფენი ტოტებისგან ბუდის ფორმის მსგავს „დასასვენებელ კომპლექსს“ ქმნის, სადაც გარკვეული თანხის საფასურად, ნებისმიერ მსურველს სუფთა ჰაერზე დასვენება შეუძლია. რასაკვირველია, ამ უჩვეულო ქმნილებას კონპლექსს ნაკლებად უწოდებ, რადგან იქ კომფორტზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ სამაგიეროდ, ხიდან გადმოვარდნის რისკი ნაკლებია — ჯეისონი ყველა ტოტს საგულდაგულოდ ამოწმებს და ბუდის ასაშენებლად მხოლოდ ისეთებს არჩევს, რაც ადამიანის წონას უდავოდ გაუძლებს.

მაისური 91 500 დოლარად

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მაისური 91 500 დოლარი ღირს, რომელიც ნიანგის ტყავისგანაა დამზადებული და მისი შეძენა მსურველებს ნიუ-იორკში, Hermes-ის მაღაზიაში შეუძლიათ. ფრანგული მოდის სახლი ნიანგის ტყავისგან ხშირად ქმნის ძვირადღირებულ ნივთებს. მაგალითად, შარშან, Hermes-ის დიზაინერებმა ჩანთა დაამზადეს, რომლის ღირებულებაც 1 980 034 დოლარი იყო და მოდის მიმდევრებში საკმაო პოპულარობითაც სარგებლობდა, ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია (PETA) კი, ასეთ ტენდენციას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და მიიჩნევს, რომ ამ „უსამართლობას“ ბოლო უნდა მოეღოს — მოდური კოლექცია სისასტიკის გზით არ უნდა იქმნებოდეს. ცხოველები მხოლოდ იმიტომ იღუპებიან, რომ ვიღაცებმა ძვირადღირებული აქსესუარები ატარონ. ერთი ხელჩანთის შექმნას ოთხი ნიანგის სიცოცხლე არ უნდა შეეწიროსო, — აღშფოთებას ვერ მალავენ ცხოველთა უფლებების დამცველები.

რუსეთი ინტერნეტ-აუქციონზე იყიდება

ბაშკირეთის ქალაქ ბელებეის მცხოვრებმა რუსეთი ინტერნეტაუქციონ eBay-ზე გაიტანა: „ქვეყანა ოფიციალურად მოიხმარებოდა ათასი წელი და ახლაც ნორმალურ მდგომარეობაშია“, — ასეთი განცხადება ამშვენებს ლოტს და მას კრემლის ფოტო, რუსეთის რუკა, ფეხბურთის გულშემატკივრისა და სარაკეტო დანადგარის „ტოპოლ-მ“-ის ფოტოები ახლავს. რუსეთის სასტარტო ფასი ერთი ამერიკული ცენტი ანუ 31 რუსული კაპიკია, თუმცა ჯერჯერობით, ლოტს არავინ გამოხმაურებია. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა აუქციონზე გასაყიდად ქვეყანა გააქვთ: შარშან eBay-ზე საბერძნეთი გაიტანეს და მაშინ ლოტის ფასმა 48 ათას დოლარს მიაღწია, 2008-ში კი აუქციონს ბელგია და ისლანდია ამშვენებდა.

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.